საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 2004 წელი. №215 (4944) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი **50** თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◉ პარლამენტის თავმჯდომარე

სინამდვილეში ვინ არღვევს ვალდებულებებს?

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს რუსეთის მიმართ აღებული არც ერთი ვალდებულება არ დაურღვევია.

როგორც ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ვერ დაასახელა საქართველოს მიერ დარღვეული ვერც ერთი კონკრეტული ვალდებულება, თუმცა ასტანაში მიმდინარე სამიტზე ხმამაღლა განაცხადა, რომ „საქართველო რუსეთის მიმართ აღებულ ვალდებულებებს არღვევს“.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, რუსულ მხარეს პრეზიდენტის დონეზე აქვს ხელი მოწერილი დსთ-ს ფარგლებში სხვადასხვა ვალდებულებაზე, რომლებიც ნამდვილად არ ითვალისწინებს მოსკოვი-სოჭის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას.

– რუსეთმა ნამდვილად დაარღვია ნაკისრი ვალდებულება, როცა მოსკოვი-სოჭის მიმართულებით აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთი გახსნა, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძე ინგლისს გაემგზავრა

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ინგლისში გაემგზავრა. ბურჯანაძე კემბრიჯის უნივერსიტეტის მიწვევით კასპიის ზღვის რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარების და რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ ლექციებს წაიკითხავს.

პარლამენტის თავმჯდომარე ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრებს გამართავს.

ნინო ბურჯანაძე საქართველოში 18 სექტემბერს დაბრუნდება.

◉ თითქმის დაუჯერებელი

ხევსურეთის მუცო აღსდგება!..



სამიოდე თვის წინათ ჩვენი გაზეთის მკითხველმა შეიტყო, რომ არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია „არსმა“ კიდევ ერთი ახალი პროექტის – „ქართული სახლი – მუცო“ დამუშავება დაიწყო. ეს იყო ეროვნული, ხალხური არქიტექტურის გულითადი ჭირისუფლობის ისეთი გამოვლინება, რომელიც არავის ტოვებდა გულგრილს... მუცო ხომ, ჩვენს სახელოვან მწერალსა და რეჟისორს გოდერძი ჩოხელს თუ დავესესხებით, „მსოფლიოს პატარა საოცრებაა, რომელიც დავიწყების ფერფლით იფარება“.

ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის, რა მშვენიერია მუცო. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, უგზოობაა. შატილამდე, ასე თუ ისე, სამანქანო გზით ჩააღწევ, შატილიდან კი 11 კილომეტრი მუცო-არდოტის ხეობაში ფეხით უნდა იარო, რომ ეს საოცრება ნახო.

იხ. მე-4 გვ.

ნომერში წაიკითხავთ:

მეცნიერება ერის კულტურის განუყოფელი ნაწილია

ქართული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე გვესაუბრება ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი კიტი მაჩაბელი.

მე-4 გვ.



კავკასია ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას „რას უქადის რუსული იმპერიალიზმი კავკასიას“, ეხმაურება რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი მიხეილ ქურდიანი.

მე-6 გვ.

XXVIII ოლიმპიური თამაშები, ფაქტობრივად, ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) გახსნა

რა არის სოფტბოლი და რა პერსპექტივა აქვს მას საქართველოში?

მე-7 გვ.



◉ აქტუალური თემა

რას მოგვიტანს ასტანის სამიტი?

ასტანის სამიტზე, რომელიც 16-17 სექტემბერს ყაზახეთის დედაქალაქში გაიმართება, დსთ-ს ქვეყნების მეთაურები, ძირითადად, ალბათ, ტერორიზმზე და მის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე იმსჯელებენ. ცხადია, კაცობრიობამ ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის გზები და მეთოდები უნდა ეძიოს, მაგრამ აუცილებელია, რომ ეს მეთოდები სამართლებრივ ნორმებს და ადამიანის ძირითად უფლებებს არ ლახავდეს. დაძაბულობამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში უკვე პიკს მიაღწია. ამდენად, ოფიციალური მოსკოვის განცხადება, რომ რუსეთი ტერორისტთა განადგურების მიზნით, ყველგან, სადაც ამას საჭიროდ ჩათვლის, პრევენციულ დარტყმებს განახორციელებს, შეშფოთების საფუძველს ნამდვილად იძლევა. როგორც ჩანს, ბესლანის მოვლენების შემდეგ რუსეთს სჭირდება პრობლემები საქართველოს სიბრტყეზე გადაიტანოს.

სამიტის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. პარლამენტართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამიტზე სააკაშვილი-პუტინის შეხვედრამ შესაძლოა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად გარკვეული როლი შეასრულოს. ეს შეხვედრა გართულებული ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე მართლაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თუმცა, ექნება თუ არა ასტანის სამიტს საქართველოსთვის რამე მნიშვნელობა, ამის თქმა ძნელია. კარგად გვახსოვს, ტრადიციულად დსთ-ს სამიტები მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თითქმის არასოდეს იღებენ. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი შეხვედრების დროს ხელისუფლების უმაღლეს პირებს შორის კულუარულ შეხვედრებს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. სავარაუდოდ ასეთი შეხვედრები ასტანაშიც გაიმართება.

ოპოზიციონერი დეპუტატები პარლამენტის იმ დადგენილებების შესრულებას მოითხოვენ, რომელიც საქართველოს დსთ-დან გამოსვლასა და ჩვენი ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას ეხება. შესაბამისად, მათი აზრით, ამ საკითხებთან დაკავშირებით, პრეზიდენტი ასტანის სამიტზე რუსეთთან მიმართებაში მკვეთრად კატეგორიული უნდა იყოს.

იხ. მე-2 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ავტორიტარული ლიბერალიზმი გარდუვალია?

„არგუმენტი ი ფაქტი“, 15 სექტემბერი.

პოლიტოლოგმა ალექსეი პუშკოვმა „არგუმენტი ი ფაქტის“ გაუზიარა თავისი მოსაზრება იმის თაობაზე, რაც ხდება რუსეთში და ამ ქვეყნის საზღვრებთან. გთავაზობთ ფრაგმენტს ამ ინტერვიუდან.

რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ავტონომიების შემოერთება არის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემა. მაგრამ, სააკაშვილს თითქოს დაავიწყდა, რომ ყველაზე მთავარია ეკონომიკის აღორძინება, ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ. იგი კი ცდილობს, თანამოქალაქეთა ყურადღება ჩამოაშოროს ამ პრობლემებს იმით, რომ ყველა უბედურებაში ადანაშაულებს „გარეშე მტერს“ – რუსეთს.

– და მაინც, ისე გამოდის, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი პრინციპული საკითხია როგორც საქართველოსთვის, ისე რუსეთისთვის, მომავალში რა გველის – დიდი ომი?

– სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება მას ტერიტორიების დაბრუნებაში, მათ შორის ძალის გამოყენების გზითაც. როგორც ჩანს, ამერიკელმა ძალოვანებმა და „ომისმოტრფიალეებმა“ მას არაოფიციალურად უთხრეს: „მიდი, უფრო ხისტად იმოქმედე, თუ საჭირო იქნება, მხარს დაგიჭერთ...“ მე კი, სააკაშვილის ადგილზე, გადაჭარბებით არ შევაფასებდი მათ მხარდაჭერას. ამერიკელებისთვის ახლა მთავარია ერაყი და არა – საქართველო.

რუსეთის პოლიტიკა სადღეისოდ იძულებითი წინააღმდეგობებით არის აღსავსე. ჩვენ ვერ დავხუჭავთ თვალს კონფლიქტზე საზღვრისპირა ტერიტორიებში, თანაც მაშინ, როცა იქ რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ, ვერ შევაქცევთ მათ ზურგს. მაგრამ ჩვენ არც ის შეგვიძლია, რომ აშკარად დავუჭიროთ მხარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კურსს თვითგამორკვევისთვის. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიგვითითებენ ჩეჩნეთზე. ამიტომ, საჭიროა, რომ ჩეჩნეთში საბოლოოდ დამარცხდეს სეპარატიზმი და დამყარდეს მშვიდობა. მანამდე კი რუსეთს ხელ-ფეხი შეკრული აქვს.

არ არის გამორიცხული, რომ მომავალში დროის მიხედვით ერთმანეთს დაემთხვეს სამი მოვლენა: კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარება და რეფერენდუმები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ამ ტერიტორიების სტატუსის შესახებ. კოსოვოს ბედი, პრაქტიკულად, უკვე გადაწყვეტილია. ამერიკელებისა და ევროპელების წაყრუებით, კოსოვოდან ახლა ხდება ჯერ კიდევ დარჩენილი თითო-ოროლა სერბის გამოდევნა.

იხ. მე-2 გვ.

◉ ინფორმაცია

მხარს უჭერენ სოზარ სუბარის კანდიდატურას

საპარლამენტო უმრავლესობამ გუშინ პრეზიდენტის მიერ სახალხო დამცველის თანამდებობაზე წარდგენილი სოზარ სუბარის კანდიდატურა განიხილა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, პარლამენტი დღევანდელ პლენარულ სხდომაზე განიხილავს სოზარ სუბარის კანდიდატურას. იგი დარწმუნებულია, რომ სოზარ სუბარი კარგი ომბუდსმენი იქნება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით კი, სოზარ სუბარის დანიშვნა სახალხო დამცველის თანამდებობაზე ჯერ კიდევ ორი თვის წინათ იყო გადაწყვეტილი. მას პარლამენტში მოწინააღმდეგე არ ჰყავს და მისი კანდიდატურა ერთხმად იქნება დამტკიცებული.

კოკოითის მორიგი მონაჭორი

– სამხრეთ ოსეთი მზად არის საქართველოსთან იმეგობროს, მაგრამ სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია, – განაცხადა გუშინ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა.

მისი მტკიცებით, წუხელ ცხინვალის რეგიონის დასახლებულ პუნქტებს ქართულმა მხარემ ცეცხლი გაუხსნა და ეს ფაქტი სამშვიდობოებმა და ეუთოს დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს.

– ჩვენ სროლებს და პროვოკაციებს შევეჩვიეთ. მაგრამ ამაზე მაღლა უნდა დადგე, როცა ოსი და ქართველი ხალხების ბედზეა საუბარი, – თქვა კოკოითმა.

ინფორმაცია ნაღმტყორცნებიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დაბომბვის შესახებ გუშინ რუსეთის ზოგიერთმა საინფორმაციო სააგენტომ სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის კომიტეტის წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. წყარო ამტკიცებს, რომ სროლა სოფელ თამარაშენის მხრიდან წარმოებდა. ქართული მხარე ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

დავალიანება სრულად დაიფარება

2004-2005 სასწავლო წლის დაწყებისთვის საქართველოს ხელისუფლებას პედაგოგების მიმართ დავალიანება აღარ ექნება. გუშინ ფინანსთა სამინისტრო პედაგოგთა სახელფასო დავალიანების დარჩენილ ნაწილს – 17,3 მლნ. ლარს გადარიცხავს, რაც მასწავლებლებს 4 დღის განმავლობაში დაურიგდებათ. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროში გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ განაცხადეს.

როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, უპრეცედენტო მოვლენაა, რომ 1998 წლიდან 2003 წლის ჩათვლით, პედაგოგების მიმართ დაგროვილი დავალიანება სრულად დაიფარება. – აღნიშნული დავალიანება შევარდნაძის რეჟიმის დროს დაგროვდა, – ხაზგასმით აღნიშნა განათლების მინისტრმა.

ინტერ-პრესი.

◉ სიტუაცია

23 სექტემბერს ქართული ოქროს ბედი გადაწყდება

ამ დღეს დაგეგმილია სს “მადნეულის” პარტნიორთა კრება, რომელზეც საბოლოოდ გაირკვევა, დარჩებიან თუ არა კომპანიაში ავსტრალიელი პარტნიორები.

როგორც ინტერ-პრესს „მადნეულის“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ცოტაძემ განუცხადა, 23 სექტემბერს საბოლოოდ უნდა გაირკვეს შეძლებენ თუ არა ავსტრალიელები, ქართველი ოფიციალური და არაოფიციალური ლობისტების დახმარებით ქართულ მხარეს ოქროს წარმოების უფლება ჩამოართვან.

– წლების განმავლობაში ჩამორჩენილი „მადნეული“ მოგებაზე გავიდა და წინა ხელისუფლების დროს დაგროვებული ვალების გასტუმრებას შეუდგა. მას შემდეგ, რაც ავსტრალიელების დაუხმარებლად პირველი ქართული ოქრო მივიღეთ და ავსტრალიელი პარტნიორები 40 მლნ. დოლარის მითვისებაში ვამხილეთ, გამოჩნდნენ პირები, რომლებსაც „მადნეულის“ მომავალი განსხვავებულად წარმოუდგენიათ, – განაცხადა ცოტაძემ.

„მადნეულის“ გენერალური დირექტორი ამგვარ პიროვნებად პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ვაჟა კილაძეს ასახელებს და აღნიშნავს, რომ კილაძის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული პრესკონფერენცია „იმ ავსტრალიელი ე.წ. ინვესტორების ღია ლობირებაა, რომლებიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროიდან აჩანაგებენ „კვარციტს“ და რომელთა მიმართაც პოლიტიკური ლიდერები კრიტიკულები არიან“. ცოტაძისთვის გასაგებია კილაძისა და ავსტრალიელთა სხვა ლობისტების მოქმედება, რადგან მიაჩნია, რომ ლობისტებს სურთ, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება 23 სექტემბრამდე მოასწრონ.

– სხვაგვარად ვერ ავხსნი იმ სასწრაფო პრესკონფერენციას და აბსულუტურად მიუღებელ და დაუსაბუთებელ ბრალდებებს. ბატონი კილაძე ექსპერტის ტონით აცხადებს, რომ ჩვენეული ხერხით ოქროს მიღება თურმე ნებისმიერ ოქროს მჭედელს შეუძლია. თუ ეს ასეა, მით უმეტეს, რაღა საჭიროა საეჭვო წარმომავლობის ავსტრალიურ ფირმასთან პარტნიორობა, რომელმაც კაბალური ხელშეკრულების წყალობით უკვე ისედაც მეტისმეტად იხეირა, – აღნიშნა ცოტაძემ, რომელიც თვლის, რომ შევარდნაძე-მამალაძის კორუმპირებული კლანის ახალი კორუმპირებული კლანებით ჩანაცვლება ხდება.

„მადნეულის“ გენერალური დირექტორი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს მოუწოდებს, მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დაესწრონ 23 სექტემბერს დაგეგმილ პარტნიორთა კრებას.

13 სექტემბერს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა კილაძემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც პირველი ქართული ოქროს წარმოებას პიარ-აქცია უწოდა და განაცხადა, რომ „მადნეულში“ ფინანსური მაქინაციები კვლავაც გრძელდება.

ინტერ-პრესი.

◉ კალათბურთი

წუხელ სკოპლეში გაიმართა „ევრო-2005“-ის საკვალიფიკაციო ტურნირის II ტურის მატჩი ვაჟ კალათბურთელთა შორის მაკედონია-საქართველო. სამწუხაროდ, ჩვენმა კალათბურთელებმა შეხვედრა დათმეს – 81:77.

◉ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის I ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„ა“ ჯგუფი: „ლივერპული“ – „მონაკო“ 2:0, „დეპორტივო“ – „ოლიმპიაკოსი“ 0:0. **„ბ“ ჯგუფი:** „რომა“ – „დინამო“ (კიევი) **მატჩი შეწყდა**, „ლევერკუზენი“ – „რეალი“ 3:0. **„გ“ ჯგუფი:** „მაქაბი“ – „ბაიერნი“ 0:1, „აიაქსი“ – „იუვენტუსი“ 0:1. **„დ“ ჯგუფი:** „ლიონი“ – „მანჩესტერი“ 2:2, „ფენერბახჩე“ – „სპარტა“ 1:0.

ინტერპანორამა

ქარიშხალი „ივან“ უახლოვდება ახალ ორლეანს. მეტეოროლოგების ვარაუდით, ქალაქი შესაძლოა 6-მეტრიანმა წყლის ტალღებმა დაფაროს. ქალაქის მორგებში უკვე გაამზადეს 10000 ტომარა ქარიშხლის მსხვერპლთათვის. თუმცაღა, ყველაზე შემზარავი პროგნოზით, 50000-იან დანაკარგსაც ელიან...

უკრაინა ცდილობს სუპერთანამედროვე კოსმოსური ხომალდი ააგოს და მისი ექსპლუატაციისთვის რუსეთთან, ბელორუსიასა და ყაზახეთთან ითანამშრომლოს. ახალი, მრავალჯერადი გამოყენების ხომალდი „კლიპერი“ ექვსადგილიანი იქნება. ის 15 ტონას აიწონის და დაჯდება 120 მილიონი დოლარი.

2050 წლისთვის პლანეტის მოსახლეობა 9 მილიარდს მიაღწევს. მათ შორის 1,7 მილიარდი ღატაკი იქნება, – ასეთი დასკვნა გააკეთეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ყოველწლიურ მოხსენებაში – „მსოფლიოს მოსახლეობა-2004“.

CYAN BLACK

◉ აქტუალური თემა

რას მოგვიტანს ასტანის სამიტი?

(პირველი გვერდიდან)

ოპოზიციისგან განსხვავებით საპარლამენტო უმრავლესობა ამ ეტაპზე საქართველოს დსთ-დან გამოსვლას მართებულად არ თვლის, იმ მოტივით, რომ საქართველო ჯერჯერობით დსთ-დან გამოსასვლელად მზად არ არის. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შეხვედრები დსთ-ს ფორმატში რუსეთის პრეზიდენტთან უშუალო კონტაქტისა და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების შანსს იძლევა.

საპარლამენტო უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კონფლიქტის ზონებიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გაწვევის საკითხზე საქართველოს სერიოზული დაფიქრება და მომზადება მართებს. უმრავლესობის აზრით, ეს არ არის ის საკითხი, რომელიც დსთ-ს სამიტზე გადაწყდება, ის საქართველოში უნდა გადაწყდეს.

ისმება კითხვა, ასტანის შეხვედრაზე დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში საქართველოს შესვლის თემა ხომ არ წამოიწევს? მოგეხსენებათ, ამ გაერთიანებაში შესვლაზე საქართველო უარს აცხადებს, მაგრამ ეახლა, როცა რუსეთი ამა თუ იმ ფორმით, ჩვენი ქვეყნის მიმართ აშკარა მუქარაზე გადადის, საქართველო კომპრომისზე ხომ არ წავა?

მაია ნადირაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი: მოსკოვი ჩვენს დაშინებას ცდილობს, რათა დათმობებზე წავიდეთ. წარმოუდგენელია, რუსეთმა ისე შეგვაშინოს, რომ დასავლურ ორიენტაციაზე უარი ვთქვათ. ჩვენ ამ შემოტევებს აუცილებლად გავუძლებთ და წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანო დათმობებზე არ წავალთ. დსთ-ს სამიტზე დარწმუნდებით, რომ ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა და კომპრომისებზე წასვლას არ ვაპირებთ. ამ სამიტს პრეზიდენტი, ალბათ, იმისთვის გამოიყენებს, რომ პუტინისა და ყველას გასაგონად ითქვას სიმართლე, რომელიც არსებობს.

სხვა მრავალთაგან ჩვენი ერთ-ერთი სიმართლე ის არის, რომ აშშ-სა და საქართველოს ერთობლივი ძალისხმევის წყალობით, პანკისის ხეობა ტერორისტთა თავშესაფარი აღარ არის, რასაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც ადასტურებს.

კოტე გაბაშვილი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე: ყველა განცხადება, რაც პანკისთან დაკავშირებით ვრცელდება, ჭორია. არ ვფიქრობ, რომ პანკისში ან კოდორში ახალი ცხელი წერტილების გახსნის საშიშროება არსებობდეს. საქართველომ ამერიკასთან ერთად დიდ წარმატებას მიაღწია, რომ დღეს აქ ცხელი წერტილი არ არის. თუ დღეს, რომელიმე ელჩი სადღაც რაღაც განცხადებას აკეთებს, ეს არაფერს ნიშნავს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში აშშ-ის ელჩის რიჩარდ მაილსის განცხადებით, პანკისის ხეობას ჯერ კიდევ აფარებს თავს რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტი. ამავდროულად მაილსს მიზანშეუწონლად მიაჩნია ტერორისტთა ლიკვიდაციის მიზნით რომელიმე სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის განხორციელება, რადგან „ამის საჭიროება არ არსებობს“. ელჩის განცხადებას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მკვეთრი რეაქცია მოჰყვა.

ხელისუფლების მაღალ ეშელონებში აცხადებენ, რომ თუ რუსეთის შესაბამის უწყებებს პანკისის შემოწმების სურვილი გაუჩნდება, საქართველოს ხელისუფლება ერთობლივი მოქმედებისთვის მზად არის.

მზია გელენავა.

P.S. გუშინ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დსთ-ს სამიტის მონაწილეები ჩავიდნენ. გუშინვე ამ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურები შეხვდნენ ერთმანეთს, დღეს კი გაიმართება პრეზიდენტების შეხვედრა. გუშინ საღამოსთვის ცნობილი არ იყო შეხვდებიან თუ არა სამიტის ფარგლებში ერთმანეთს პირისპირ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტები, რაზეც გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული ამ ორი სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში არსებული ერთობ დაძაბული სიტუაციის შეძლებისდაგვარად შერბილება.

მ.გ.

◉ პოზიცია

რუსეთს ალიზიანებს დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობა

სპორტის აკადემიის რექტორი, პოლიტოლოგი, პროფესორი ომარ გოგიაშვილი ამ მოსაზრებას ფაქტებით ადასტურებს

რუსეთში ზედიზედ განხორციელებული ტერაქტების შემდეგ, მოსახლეობა ღიად აცხადებს, რომ კრემლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლურია.

პუტინის განცხადებით, ჩრდილო კავკასია, რომელიც, მისივე აზრით, მძიმე სოციალური პირობების გამო ტერორისტების გავლენის სფეროშია, ამიერიდან ცენტრალური ხელისუფლების ზრუნვის საგანი გახდება. ამასთან, აღდგენილია წარსულში გაუქმებული სამინისტრო, რომელიც პასუხს აგებს რეგიონულ და ნაციონალურ პოლიტიკაზე. გაზრდილია ძალოვნების უფლებებიც. ყველა რეგიონში, ყველა ოლქში გაზნდება შინაგანი ჯარის ოფიცერი, რომელიც პირველი პირის მოადგილეა, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი, პირველი პირიც მას ემორჩილება.

რუსეთის საგარეო კურსი საქართველოსთან მიმართებაში უცვლელია. მეორე კვირაა დაკეტილია რუსეთ-საქართველოს საზღვარი, პირველი ოქტომბრიდან კი შესაძლოა საჰაერო მიმოსვლაც შეწყდეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის შუქისა და გაზის მიწოდების საკითხსაც რუსეთი წყვეტს. ამასთან, მიმდინარეობს ლაპარაკი ბესლანის ტერაქტში ქართული კვალის არსებობაზე.

როგორია დღეს რუსეთის ავტორიტეტი მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე, უნდა ველოდოთ თუ არა მისგან სხვა პრობლემური საკითხების წამოჭრას. ამ და სხვა კითხვებით სპორტის აკადემიის რექტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პოლიტოლოგს, პროფესორ ომარ გოგიაშვილს მივმართეთ.



— ბატონო ომარ, მოგეხსენებათ, დღეს საქართველო-რუსეთს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა. როგორ ფიქრობთ, საიდან და როდის დაიწყო ეს?

— 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შემდეგ რუსულ პრესაში რამდენიმე გამკილავი, სალანძღავი სტატიები გაჩნდა, თუმცა მაშინ ამან ფართო მასშტაბებს ვერ მიაღწია. იმდროინდელ ხელისუფლებას იმპერიაში შემავალი რომელიმე ეთნოსის გაღიზიანება ხელს არ აძლევდა, შესაბამისად, ეს ამბებიც მალე დამთავრდა და საქართველო რუსეთისთვის კვლავ საიმედო და მყარ ზურგად დარჩა. იმ პერიოდში ლიტერატურა, მწერლობა, მეცნიერება სავსე იყო საქართველოს ქებით, საქართველოში ჩამოსვლის და ქართველებთან მეგობრობის სურვილით. ეს ყველაფერი 1989 წლამდე გაგრძელდა. როდესაც საქართველოში ფართომასშტაბურმა ეროვნულმა მოძრაობამ ანტისაბჭოური ხასიათი მიიღო, რუსეთისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. იმხანად მათ მხატვრულ ნაწარმოებებსა და პოლიტიკურ პუბლიკაციებში ანტიქართული შტრიხები გაჩნდა, რამაც ფართო და გლობალური სახე 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ შეიძინა. მათი ლოგიკა კი შემდეგში იყო: თქვენ იყავით ყველაზე გაჭირვებული ერი, შველას გვთხოვდით, ჩვენ დაგეხმარეთ, ამის შემდეგ თავდასხმები აღარ გქონიათ, გაგაერთიანეთ და როგორც კი ჩვენ გაგვიჭირდა, თქვენ პირველები გაიქეცით. მათი აზრით, ეს ძალიან მყარი არგუმენტია. ისინი მიიჩნევენ, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევაში ყველაზე დიდი წვლილი შევარდნაძეს მიუძღვის. ის, რომ სოციალისტური ბანაკის დაღუპვა შევარდნაძეს დაბრალო, არასწორია. ამის გამკეთებელი მარტო ის რომ ყოფილიყო, მას დააპატიმრებდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი ისტორიულმა პროცესებმა და ხელისუფლებაში გორბაჩოვის მეთაურობით გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების ჯგუფის მოსვლამ განაპირობა. საფუძველი, რაზედაც ეს სისტემა არსებობდა, მოირყა, ის ამ სისტემას ვეღარ იჭერდა ვერც პოლიტიკურად, ვერც ეკონომიკურად და ვერც იდეოლოგიურად. მათ კი ეგონათ, რომ ამ ყველაფერში დიდი როლი სწორედ შევარდნაძემ შეასრულა, მან გამოიყვანა ჯარები გერმანიიდან და ავღანეთიდან, მან შეუწყო ხელი ბერლინის კედლის დანგრევას და საბჭოთა კავშირის დაშლას. ეს ვერ მოუნელებიათ.

— როგორ შეაფასებდით საქართველოს ურთიერთობას მეზობელ რუსეთთან და შორეულ ამერიკასთან?

— ჩვენი ბოლო ათწლეულის ისტორია აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ საქართველოს პრობლემები აუცილებლად გლობალურ ასპექტში უნდა განვიხილოთ. ყველა პროცესის გასაღები სწორედ იმაში უნდა ვეძებოთ, თუ რა ხდება საქართველოს შიგნით, როგორია საქართველოს დამოკიდებულება მის მეზობლებთან თუ სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან; აღარ არის ის დრო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი თუ პარლამენტი მოინდომებდა და რაღაც დიდ პრობლემას გადაწყვეტდა. ეს ყველაფერი საერთაშორისო კონტექსტში ჩაჯდა, რაც მართებულად მიმაჩნია. სხვაგვარად მეზობელ რუსეთთან ურთიერთობა გაგვიჭირდებოდა.

ჯერჯერობით, ჩვენი დამცველი შეერთებული შტატები და საერთაშორისო ორგანიზაციებია. ამ უკანასკნელთა მხარდაჭერა კარგია, მაგრამ მათი აზრი გადამწყვეტი მაინც არ არის. ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებით არა მგონია, რომ ამერიკას ჩვენთვის რაიმე სერიოზული კამპანიის დაწყება ერჩია. უბრალოდ, მას დღეს ავღანეთთან და ერაყთან მიმართებაში რუსეთის მომდურება არ შეუძლია, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთის გავლენა იქ გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებზე, ეთნიკურ ჯგუფებზე ჯერ კიდევ არის. იქ, თავის დროზე, საბჭოთა კავშირს დიდი სამუშაოები აქვს ჩატარებული და როცა უნდოდა, მთავრობასაც კი ცვლიდა. ამიტომ, ვფიქრობ, როცა ჩვენ რაიმე კამპანიას ვიწყებთ, ეს ყველაფერი კარგად უნდა იყოს გაანალიზებული და იმის იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად და კატეგორიულად მხარში დაგვიდგება.

ზოგჯერ, როდესაც პრეზიდენტები დახურულ კარს მიღმა საუბრობენ, ის პოლიტიკოსების მხრიდან არ უნდა გახმაურდეს. პუტინი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობებში არ ჩაერევაო, თუ ეს სადმე ითქვა, საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, როცა ეს გახმიანდა, პუტინს სხვა გზა აღარ დარჩა, ის ამ პროცესებში უნდა ჩართულიყო.

— სამხედროები მაინც არ მოასვენებდნენ, ალბათ ამისი თქმა გინდათ...

— რუსეთში, ყოველთვის გარკვეულ პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ სამხედროები. აშკარაა ისიც, რომ დღევანდელი თავდაცვის მინისტრი ივანოვი უფრო პოლიტიკოსია, ვიდრე სამხედრო პირი და ყოველთვის პოლიტიკურ კომენტარებს აკეთებს, თავის თავზე იღებს იმას, რაც მას არ ეკითხება. სხვათა შორის, ივანოვის ერთგულება პუტინის მიმართ დიდს არაფერს ნიშნავს. იქ მთავარი გენერალიტეტია, რომელიც აბსოლუტურად დესტრუქციული ძალაა, ამიტომ პუტინიც თავის არჩევანში ხშირად თავისუფალი არ არის. რუსეთს ერჩივნა შევარდნაძისთანა პოლიტიკოსი ჰყოლოდა, რომელიც ძალებს შორის დაბალანსების სპეციალისტი იყო. დაბალანსებას კი, ფაქტობრივად, პროცესების გაყინვა მოსდევდა. სააკაშვილი არის ენერგიული, დაკავშირებულია დასავლურ წრეებთან და თავის ორიენტაციას არც მალავს. მას შეუძლია დასავლეთიდან დიდი დახმარება მიიღოს, აქვს თავისი ხალხის ნდობის მანდატი. ეს ყველაფერი რუსებს აშფოთებს, რადგან, რას გააკეთებს ეს კაცი ხვალ და ზეგ, მათ არ იციან.

— როგორ შეაფასებდით მათ განცხადებას საქართველოსთან საჰაერო და სახმელეთო გზის ჩაკეტვაზე?

— არა მგონია, რომ მათ ასეთი რამ განახორციელონ. აქ უკვე აშკარად გამოდის საქართველოს იზოლაციაში მოქცევის მცდელობა. თუ მათ ასეთი რამ განზრახული აქვთ, მაშინ გაცილებით ეფექტიანი მეთოდები შეუძლიათ გამოიყენონ, მაგალითად, ენერგეტიკული მეთოდები, მით უმეტეს დღეს, ჯერ კიდევ ვერ გავერკვიეთ, ვის ვისი ვალი აქვს, რაც წლების განმავლობაში გრძელდება. ისინი პატარა პრობლემით იწყებენ ხოლმე. რა თქმა უნდა, პრინციპში, მათ კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ, როგორიც არის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა.

— როგორ ახსნიდით რუსეთის განცხადებას იმის შესახებ, რომ თითქოსდა ბესლანის ტრაგედიის კვალს ისინი საქართველოსკენ მიჰყავს.

— უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი განცხადებები პირველი კაცისგან მოდის. არის მითითება, რომ ყველა სფეროში ურთიერთობა დაიძაბოს, — რკინიგზა, სახმელეთო თუ საჰაერო ტრანსპორტი, ბუნებრივი გაზი, ელექტროენერგია... ისინი შეიძლება ამით ჩვენს გაღიზიანებას ცდილობენ. ეს საერთო სიტუაციის დაძაბვის კომპონენტებია. მათ სურთ, რომ საქართველოს საწინააღმდეგო საზოგადოებრივი განწყობა შექმნან. ისინი ამ ფაქტს გადაჭრით არ ამტკიცებენ, უბრალოდ, კვალს ეძებენ, ანუ საზოგადოებას ეჭვს აღუძრავენ. შემდეგ შეიძლება გამოაცხადონ, რომ არ დადასტურდა, ან საერთოდ აღარ ახსენონ, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ეჭვი ცნობიერებაში ჯდება, ის დადასტურდება თუ არა, თავის საქმეს მაინც გააკეთებს.

იხ. მე-3 გვ.

◉ ინფორმაცია

აი, რუსეთი!

„დათვი“ ვარ და საკითხის განხილვასაც თათს ვადებ!..

საქართველოს წინადადებას, დსთ-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე რუსეთ-აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი განხილულიყო, რუსულმა მხარემ ვეტო დაადო.

გუშინ ყაზახეთის ქალაქ ასტანაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე ქართულმა მხარემ დააყენა წინადადება, საბჭოს მიეღო შესაბამისი დოკუმენტი აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის უკანონოდ აღდგენასთან დაკავშირებით.

ამ საკითხზე მწვავე დებატების გამართვის შემდეგ გამოიკვეთა, რომ საქართველოს მხარს რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი უჭერდა, რის გამოც რუსეთი იძულებული გახდა, წინადადების განხილვაზე ვეტო დაედო.

აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალი რუსეთის მიმართულებით, ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, 10 სექტემბერს, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

ურთიერთობა

ბელორუსი გვიახლოვდება

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გუშინ ბელორუსის პრემიერ-მინისტრს სერგეი სიდორკის შეხვდა.

პრემიერ-მინისტრებმა შეხვედრაზე ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განიხილეს, მათ შორის მანქანათმშენებლობის დარგში. ისაუბრეს საქართველოსა და ბელორუსს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე.

— ამ თანამშრომლობის განვითარებაზე იქნება დამოკიდებული ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის საკითხიც, თუნდაც საქართველოში ბელორუსის საელჩოს გახსნა და ბელორუსში საქართველოს საელჩოს გახსნა, — აღნიშნეს მხარეებმა.

ამასაც მოვესწარით!

საგადასახადო თანხებს აბრუნებს...

გადამხდელებს ბიუჯეტისთვის ზედმეტად გადახდილი თანხები უკან უბრუნდებათ. როგორც ინტერ-პრესს ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, სახაზინო სამსახურში განხორციელებულმა რეფორმამ შესაძლებელი გახადა გადამხდელების მიერ ზედმეტად და არასწორად გადახდილი გადასახადების დაბრუნების პროცესის ეფექტურად წარმართვა.

მხოლოდ სექტემბრის თვის პირველი ათი დღის განმავლობაში ხაზინამ გადამხდელებს 525 031.33 ლარი დაუბრუნა.

— საგადასახადო და საბაჟო სამსახურები გადამხდელების მოთხოვნათა საფუძველზე, ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნების შესახებ სახელმწიფო ხაზინაში სათანადო დოკუმენტების წარდგენას განაგრძობენ. თანხის დაბრუნება ხორციელდება ბიუჯეტის შემოსავლების ერთიანი ანგარიშის ქვეანგარიშზე დაგროვილი თანხების ხარჯზე, — განაცხადეს ფინანსთა სამინისტროში.

ხაზინამ საგადასახადო დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე, 15 გადამხდელ ორგანიზაციას ერთი კვირის განმავლობაში არასწორად და ზედმეტად გადახდილი 87 388.58 ლარი დაუბრუნა. საბაჟო დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე, არასწორად და ზედმეტად დარიცხული თანხა 10 გადამხდელს დაუბრუნდა, საერთო თანხამ 61 199.24 ლარი შეადგინა.

საექსპორტო საქონლის სტიმულირების უზრუნველსაყოფად, ექსპორტიორი გადამხდელებისთვის გრძელდება დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადში ზედმეტობის ხარჯზე წარმოქმნილი თანხების დაბრუნება.

ინტერ-პრესი.

◉ არმია

შინაგანი ჯარი შეიარაღებულ ძალებს დაექვემდებარება

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შეიარაღებული ძალების ეფექტურად და კოორდინირებულად მართვის მიზნით, შს სამინისტროს შინაგანი ჯარები შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში გადავა.

როგორც თავდაცვის სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე თავდაცვისა და შს მინისტრებმა განაცხადეს, აღნიშნული პროცესი 1 ნოემბრამდე დასრულდება. შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობა შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდება. შინაგან ჯარებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მხოლოდ სპეცდანიშნულების რაზმი დარჩება.

რაც შეეხება შინაგანი ჯარების სარდალს გოგი თათუხაშვილს, იგი შესაბამისად შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე გახდება, თუმცა, რა თანამდებობას დაიკავებს, ჯერჯერობით უცნობია.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, შინაგანი ჯარების შემადგენლობაში გარკვეული ოპტიმიზაცია განხორციელდება და გაუქმდება ის სტრუქტურები (შტაბები და მომარაგების განყოფილებები), რომლებიც შეიარაღებულ ძალებშიც ფუნქციონირებს.

◉ კანონმდებლები

ციხეები აივსო, განსასჯელები „ზოოპარკში მოვათავსოთ!“

უახლოეს მომავალში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულებთან ერთად განსასჯელებსაც მოათავსებენ. საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო „პატიმრობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები, რომლის ავტორიც საქართველოს პარლამენტის წევრი გიგა ბოკერიაა.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, საპატიმრო განყოფილებებიდან შესაძლებელი იქნება იმ პატიმრების გადაყვანა, რომელთა საქმე უკვე განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ, მაგრამ მათ განაჩენი გაასაჩივრეს.

კანონპროექტის ავტორთა განცხადებით, დღეისთვის საპატიმრო განყოფილებებში მყოფ პატიმართა რაოდენობა ბევრად აღემატება დასაშვებ ნორმას და არსებული სიტუაცია სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. მათი მონაცემებით, №1 საპყრობილეში პატიმართა რაოდენობა დღეისთვის უკვე 1000 პატიმრით აღემატება დასაშვებ ნორმას.

ამით, კანონპროექტის ავტორთა აზრით, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმეთა განხილვისას თავიდან იქნება აცილებული პატიმრის საპატიმრო განყოფილებებში თვეობით გაჩერება, საპყრობილეები კი დაახლოებით 400 პატიმრით განიტვირთება.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გადაყვანილ პატიმარს შეუნარჩუნდება ის პირობები, რაც პატიმრობაში ყოფნის პირობებშია დადგენილი. პროკურორი უფლებამოსილი იქნება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, წერილობითი პროტესტით შეაჩეროს პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.

კანონპროექტის ავტორები აცხადებენ,

რომ აღნიშნული ნორმა დროებითია და იმოქმედებს ქუთაისისა და რუსთავის მახლობლად ორი ახალი ციხის აშენებამდე. — ამ დაწესებულებების ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი გახდება ზემოაღნიშნული პრობლემების უმტკივნეულოდ მოგვარება, — აცხადებენ ავტორები.

პარლამენტართა ნაწილი ამ ცვლილების მიღების წინააღმდეგ გამოდიოდა და საპყრობილედან ციხეში განსასჯელთა გადაყვანას ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევად აფასებდა. — ზოოპარკში ყველაზე ბევრი ადგილია და ხელისუფლებას ვურჩევ, განსასჯელები იქ მოათავსოს, — განაცხადა სხდომაზე ივლიანე ხაინდრავამ.

დეპუტატთა ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, კანონში ცვლილებებს 122 პარლამენტარმა დაუჭირა მხარი.

◉ დაპირისპირება

„თბილგაზი“, მთავრობა და საკრებულო უნდა დაზავდნენ

დედაქალაქის მთავრობა და საკრებულო „თბილგაზის“ ახალ გენერალურ დირექტორს დავით მორჩილაძეს დაუპირისპირდნენ. გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე გაირკვა, რომ „თბილგაზის“ გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ მოსკოვში „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების დროს ისეთი პირობები დადო, რაც თბილისის მთავრობასა და საკრებულოსთან შეთანხმებული არ ყოფილა.

თბილისის მთავრობისგან დავით მორჩილაძე დამატებით 30 მლნ. ლარის გამოყოფას მოითხოვს, რათა მოახლოებული ზამთრის სეზონის განმავლობაში თბილისის გაზმომარაგება ნორმალურ რეჟიმში განხორციელდეს და დეფიციტი აღმოიფხვრას.

თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე აღნიშნული თანხის გამოყოფის შესაძლებლობას გამორიცხავს და აცხადებს, რომ მთავრობა „თბილგაზის“ მმართველ „ახალ მენეჯმენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ყველა ვალდებულებას ასრულებს, მაგრამ დამატებით 30 მლნ. ლარის გამოყოფა გაჭირდება.

თბილისის პრემიერს ეთანხმება დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი.

ინტერ-პრესი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„კომსომოლსკაია პრავდა“, 15 სექტემბერი

პოლიტოლოგი სტივენ კოენი: „ომის დროს ყოველი მთავრობა ნაკლებად დემოკრატიული ხდება“

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის აზრით, პუტინი იძულებულია იმ ქაოსს ებრძოლოს, რომელიც მას ელცინისგან მემკვიდრეობით გადაეცა. გთავაზობთ ინტერვიუს სტივენ კოენთან:

ევგენი უმერენკოვი, კორესპონდენტი: რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბესლანის ტრაგედიამ რუსეთის პოლიტიკურ სისტემაზე?

სტივენ კოენი: აშკარაა, რომ მსგავსი ტერორისტული აქტები ქვეყანაში არსებული დემოკრატიისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენენ. ჩვენთან, ამერიკაში, ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლის საბაბით, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ არადემოკრატიული ნაბიჯები გადადგა, რომლებიც თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი ომის დროს მთავრობები ნაკლებად დემოკრატიულნი ხდებიან. მეორე მსოფლიო ომის დროს პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა, რომელიც დიდი დემოკრატი ადამიანი იყო, ამერიკაში მცხოვრები ყველა იაპონელი საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნა.

დღეს, ვისაც არ ეზარება, ყველა პუტინს ლანძღავს და დემოკრატიის შეზღუდვაში ადანაშაულებს, მაგრამ ბევრი იმათგანი, რომლებიც თავიანთ თავს დემოკრატად მიიჩნევენ, თავის დროზე ელცინს მხარს უჭერდა. საინტერესოა, რომ პუტინმა ხაზი გაუსვა — პრობლემები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყოო. აქ ელცინზე აშკარა მინიშნებაა, რადგან რუსეთის დასუსტება სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს დაიწყო. განა ეს ქაოსი პუტინმა შექმნა? მას ყველაფერი მემკვიდრეობით ხვდა — უშიშროების სისტემის ნგრევა, ეკონომიკური პრობლემები...

ევგენი უმერენკოვი: ვაშინგტონი პუტინს ტერორისტებთან მოლაპარაკებისკენ მოუწოდებს, მაგრამ თვითონ ამერიკა ამას კატეგორიულად არ აკეთებს. რატომ?

სტივენ კოენი: ჯორჯ ბუში მოლაპარაკებას ვერავისთან ვერ დაიწყებს, რადგან ბენ-ლადენს და მისნაირებს არა მარტო ამერიკის, არამედ მთელი დასავლური ცივილიზაციის, მათ შორის რუსეთის განადგურებაც სურთ. ხვალ რომ ბენ-ლადენი დაიჭირონ, ტერორიზმის ეს სახეობა მაინც იარსებებს. პუტინს, ბუშისგან განსხვავებით, მოლაპარაკების შესაძლებლობა აქვს.

ევგენი უმერენკოვი: როგორ შეიძლება აისახოს ჩრდილოეთ ოსეთში მომხდარი მოვლენები რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებზე?

სტივენ კოენი: ბესლანის შემდეგ მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთდამოკიდებულება გაუარესდა. პუტინმა განაცხადა, ასლან მასხადოვი ბენ-ლადენის მოკავშირეაო. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ეს განცხადება უარყოფითად შეაფასა. ცხადია, ვაშინგტონმა ამისათვის ცუდი დრო შეარჩია — რუსეთში ბესლანში დაღუპული ბავშვების დაკრძალვა მიმდინარეობდა... ისე, მოგვიანებით, ჯორჯ ბუშმა სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების ფაქტობრივი დეზავუირება მოახდინა. მე დიდი ხანია ვამბობ, რომ დღევანდელი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები საკმაოდ უსიამოვნო ფონზე მიმდინარეობს — აშშ-ისა და ნატოს ძალები რუსეთს უახლოვდებიან და მას თანდათანობით „ალყაში აქცევენ“. ეს ბომბი, ალბათ, როცა იქნება, აფეთქდება...

„თაიმ“ (დიდი ბრიტანეთი), 15 სექტემბერი. სარედაქციო სტატია

აბსოლუტური ძალაუფლება

პუტინი თანდათანობით ავტოკრატიზმში გადავარდება. რუსეთი კი, საბოლოო ჯამში, გაძლიერების ნაცვლად, უფრო დასუსტდება

ოთხი წლის წინათ ბორის ელცინმა კრემლში, ვლადიმერ პუტინისთვის ხელისუფლების ოფიციალურად გადაცემის დროს, ისტორიული ფრაზა წარმოთქვა: „გაუფრთხილდით რუსეთს!“. მისმა პროტეჟემ ეს გამონათქვამი სიტყვა-სიტყვით მიიღო. ვლადიმერ პუტინის ძირითადი მიზანი მართლაც რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცება-გაძლიერებაა, რომელიც მას აღმაშფოთებელი ქაოსის მდგომარეობაში მემკვიდრეობით ერგო. როცა სახელმწიფოს ინტერესები მისივე მოსახლეობის ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, პუტინი მტკიცედ ამბობდა: „სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა!“.

წლების მანძილზე ასეთი პრინციპი პოლიტიკურად გონივრული აღმოჩნდა — პრეზიდენტი დღემდე მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის ნდობით სარგებლობს, მას მომხრეები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მოწინააღმდეგეები, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი ვითარება მისთვის მომგებიანი აღარ იქნება — პუტინი თანდათანობით ავტოკრატიზმში გადავარდება, რუსეთი კი, საბოლოო ჯამში, გაძლიერების ნაცვლად, უფრო დასუსტდება.

რუსეთის ხელისუფლების რეცენტრალიზაციის სტიმულად ყოველთვის ჩეჩნეთის ფაქტორი გამოდიოდა, რადგან პუტინს იქ მიმდინარე ომი კავკასიისთვის და, უპირველესად, რუსეთის მთლიანობისთვის დიდ საფრთხედ მიაჩნდა. ამ კვირაშიც პრეზიდენტი, ბესლანის ტრაგედიის ფონზე, შეეცადა ჩეჩნეთის მეშვეობით გამართლება მოეძებნა საკმაოდ მოულოდნელი და დემოკრატიის შემზღუდავი ზომებისთვის — პუტინმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ „ქვეყნის ერთიანობა ტერორიზმზე გამარჯვების მთავარი პირობაა“.

მაგრამ არის განსხვავება ერთიანობასა და უნიტარულ სახელმწიფოს შორის: რუსეთს, თუ მას ჩეჩნური ტერორიზმის დაძლევა სურს, ცხადია, ეფექტიანი სასაზღვრო კონტროლი და უსაფრთხოების სისტემის ძირეული გარდაქმნა მართლაც სჭირდება. პუტინმა ორივეს გაკეთება მოისურვა. ამასთან, მანამდე პრეზიდენტს უნდა ეზრუნა და თავისი დაპირება უნდა შეესრულებინა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში სიღარიბის აღმოფხვრას ითვალისწინებს. მისი განცხადება, რომ ჩეჩნური სეპარატიზმი რუსეთს დაშლით ემუქრება, არასწორია. ცნობილია, რომ ჩეჩენთა მცდელობა ისლამური ექსტრემიზმი ინგუშეთსა და დაღესტანშიც გაევრცელებინათ, წარუმატებლად დასრულდა. კრიტიკას ვერც პუტინის ის განცხადება უძლებს, რომლის თანახმად, ექსტრემიზმი, თითქოსდა, ვოლგისპირეთსა და თათრეთსაც მოედებაო. არადა, ამ რეგიონებში კრემლის მმართველობა მტკიცეა. კიდევ უფრო მიუღებელია რეგიონული გუბერნატორების არჩევის გაუქმება — ამ ნაბიჯს ტერორიზმთან ბრძოლასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს უფრო იმ მდიდარი მეწარმეების წინააღმდეგაა მიმართული, რომლებიც ფეოდალურ სამფლობელოებში პოლიტიკურ ხელისუფლებას ფულით ყიდულობენ, თუმცა, ახლა მათ პუტინის დაყენებული კაცი შეცვლით.



რუსეთის რეგიონებიდან „დემოკრატიის უკანასკნელი წვეთის გამოწოვით“ პუტინი ოპოზიციის ლეგალურ არხებს ახშობს, რითაც ტერორიზმის რისკი მატულობს. მისი აზრით, ეს აუცილებელი ზომაა. პრეზიდენტმა გადადგმული ნაბიჯებით თავისი პოზიცია განიმტკიცა და ხელისუფლების ცენტრალიზება სრულიად წარმატებით მოახდინა. აშკარაა, რომ 2007 წლის საპარლამენტო არჩევნები პუტინისეული დაჯგუფების „ედინნაია როსიას“ უპირატესობით ჩაივლის. თუ ეს მოხდება, ალბათ, მომდევნო საკვანძო საკითხი პრეზიდენტის მესამე ვადით არჩევა იქნება, რითვისაც საკონსტიტუციო შესწორებას განახორციელებენ. მართალია, ვლადიმერ პუტინმა თქვა, რომ მესამე ვადით არჩევა არ სურს, მაგრამ რაც დრო გადის, მისი დაპირება ნაკლებად დამაჯერებელი ხდება.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

ალიარება

ორი ერის შვილი და მსახური

დიქტორ-რედაქტორი, 1982-1999 წ.წ. კი – ამ განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელი.

ამ შაბათს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტის, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის გიგი ღამბაშიძისა და ასოციაციის საპატიო წევრის, მუზეუმის აღორძინების საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ხელმოწერით გაეგზავნა წერილი, რომლითაც თხოვდნენ განეხილა ისრაელის მოქალაქის, ისრაელის ქართულენოვან მწერალთა და ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარის, საქართველოს ებრაელ ქალთა მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარის, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ჟურნალ „ერთობის“ მთავარი რედაქტორის, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მფლობელის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის უცხოელი საპატიო წევრის ქალბატონ თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილისათვის საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭების საკითხი.

„ქალბატონი თამარის მწერლური, მთარგმნელობითი, ჟურნალისტური და საზოგადოებრივი საქმიანობა, ისტორიულ სამშობლოში თითქმის 30 წლის წინათ დაბრუნებული ჩვენი ყოფილი თანამემამულის საქართველოსათვის გულმხურვალე, მაღალსულიერი და დაუცხრომელი მოღვაწე, მგკაცეც საფუძველს ჰქმნის აღვძრათ თქვენს წინაშე ეს შუამდგომლობა. დარწმუნებული ვართ, 70-წლოვანი იუბილარის, საქართველოსა და ისრაელში საყოველთაოდ ცნობილი ქართველი ებრაელი ქალბატონისათვის საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭება კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიშანსვეტი იქნება საქართველო-ისრაელის თანამედროვე და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა“ – ნათქვამი იყო წერილში.

და, აი, შედეგმა არ დააყოვნა და საქართველოს პრეზიდენტმა 2004 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით ქალბატონ თამარ კაბალის (მამისთვალოვი-კეზერაშვილის) საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებრივ და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა განმტკიცება-განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მთარგმნელობითი და ჟურნალისტური საქმიანობისათვის საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ჩვენი გაზეთის ა. წ. 14 მაისის ნომერში ჩვენ უკვე ვუამბეთ მკითხველს ქალბატონ თამარის ღვაწლზე, რუბრიკით „ძუძუმტეები“ დაბეჭდილ წერილში „საჭირო საქმეთა აღსრულება და საქმეთაგან მონაგარს არ ეძიებს“, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მესამედ აირჩიეს სრულიად ისრაელის მწერალთა კავშირის ფედერაციის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (ფედერაცია სხვადასხვაენოვანი 15 მწერალთა კავშირისგან შედგება და მასში გაერთიანებულია 20-ზე მეტი ქვეყნიდან ისრაელში რეპატრირებული 600-მდე მწერალი). შეგახსენებთ მის ზოგიერთ ბიოგრაფიულ მონაცემს.

ქალბატონი თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი დაიბადა ცხინვალში, ცნობილი რაბინის იცხაკ მამისთვალოვის ოჯახში. 1951 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, 1956 წ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (წითელი დიპლომით). 1956-1970 წ.წ. ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა სოხუმში. ისრაელში „ალიას“ შემდეგ (1975 წ.) მუშაობდა ჯერ საქართველოდან „ამოსულ“ უმაღლესდამთავრებულთა გაერთიანების გენერალურ მდივნად, შემდეგ კი – საბჭოთა კავშირიდან გამოსულთა გაერთიანების პრესმდივნად და ამავე გაერთიანების ქართული სექციის გამგედ. 1977 წ. ისრაელში გამომავალ ქართულენოვან გაზეთ „ნერგის“ რედაქტორის მოადგილეა, 1979 წ. – ისრაელის რადიოს „კოლ ისრაელის“ ქართულენოვან გადაცემათა განყოფილების ხელმძღვანელი.

1991 წ. მეთაურობდა მსოფლიო ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ წარმომადგენლობას საქართველოში. 1998-2000 წ.წ. ქალბატონი თამარი საქართველოდან გამოსულთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური დირექტორია. 2002 წ. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ციონი“, 1998 წლიდან არის ქართველ ებრაელ ქალთა მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარე, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ქალთა სექტორის ხელმძღვანელი, გამგეობის წევრი და ახლახან გამოსულ ჟურნალ „ერთობის“ მთავარი რედაქტორი.

ქალბატონი თამარი არის სხვადასხვა კონგრესისა და სიმპოზიუმის ორგანიზატორი და მონაწილე, მათ შორის 1998 წელს გამართული საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 2600-წლოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ფორუმისა.

მინიჭებული აქვს მრავალი სამთავრობო (როგორც საქართველოში, ისე ისრაელში) ჯილდო და ლიტერატურული პრემია. არის მოთხრობების, ნოველების ავტორი, ებრაულიდან ქართულად მრავალი წიგნის მთარგმნელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა თამარმა ძმასთან – მწერალ აბრამ მამისთვალოვსა და აღმოსავლეთმცოდნე ვერშობ ბენ-ორენთან ერთად ებრაულიდან ქართულად თარგმნა და ორივე ენაზე გამოსცა მოსეს ხუთწიგნეული. ამ თარგმანის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისათვის მათ ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭათ (1994 წ.).

2003 წ. ქალბატონმა თამარმა იერუსალიმში ორენოვან – ებრაულ-ქართულად გამოსცა „თანახის წიგნები ქეთუბიმიდან“, რომელმაც ბიბლიოლოგი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამჟამად ქართულად თარგმნის ისრაელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის შაი აგნონის მოთხრობებს, რომელიც მალე გამოიცემა.

ასეთია ამ გამორჩეული ქალბატონის ღიდი ღვაწლის მოკლე აღწერა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ქალბატონ თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილს ულოცავს საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას და კელავაც დიდ წარმატებებს უსურვებს ორი ერის – ქართველებისა და ებრაელების, ორი ქვეყნის – საქართველოსა და ისრაელის წინსვლისა და გამარჯვებისათვის გაწეულ ნაყოფიერ შრომაში.

სანდრო ალეძსიძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

2004 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

თამარ კაბალისათვის (მამისთვალოვი-კეზერაშვილი)

საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებრივ და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა განმტკიცება-განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მთარგმნელობითი და ჟურნალისტური საქმიანობისათვის **თამარ კაბალს (მამისთვალოვი-კეზერაშვილი)** მიენიჭოს საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება.

მიხეილ სააკაშვილი.

პოზიცია

რუსეთს აღიზიანებს დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობა

(გიორგი გვერდწითელი)

აქ ყველაზე ამაბრწენი ფაქტი ბავშვების მძევლებად აყვანა იყო. რუსეთს უთხრეს, რომ რადგან ეს ტერორისტები ასეთ საზიზღრობამდე დავიდნენ, მაშინ ისინი ყველაფრის ღირსები იყვნენ. რუსეთმა მთელი ჩეჩნეთი გაბომბა. ბუნებრივია, ტერორისტი რუს ჯარისკაცს სახლში არ დაელოდება, ის მთაში და ტყეშია გახიზნული. თუ რუსეთი ჩეჩნეთ ერის მოსპობას და უკვე დაწყებული გენოციდის ბოლომდე მიყვანას აპირებს, მაშინ მან ამის უფლება მიიღო და ეს იქნება იმ ცივილიზირებული მსოფლიოს ყველაზე დიდი სირცხვილი, ვინც რუსეთს ამისი უფლება მისცა. მართალია, ნებისმიერი აღამიანის პირველი რეაქცია ამ კადრების ნახვის შემდეგ ტერორისტების განადგურება და ბავშვების გათავისუფლება იყო, მაგრამ ეს არის პირველი რეაქცია, ეს არის ემოცია. როგორ შეიძლება ნორმალური კაცი ტერორისტების დამცველი გახდეს, მაგრამ მათაც ხომ აქვთ ლოგიკა? ისინი ამბობენ, რომ ჩეჩნეთ-რუსეთის ორ ომში მათ 40-45 ათასამდე ჩეჩენი ბავშვი დაეღუპათ, ანუ რუსეთმა მოსპო მათი გენოფონდი, გამრავლების შანსი აღარ აქვთ. ომის დაწყებამდე ჩეჩნები 800000 იყვნენ. 45 ათას ბავშვს რომ მოსპობ, ეს ხომ დემოგრაფიული კატასტროფაა. თაობა, რომელმაც მომავალი უნდა შექმნას, პრაქტიკულად აღარ არის. ისინი გაიძახიან: – ჩეჩნი ბავშვი ბავშვი არ არის?

რუსეთი ამ ოთხი ტერაქტიდან დასკვნებს აუცილებლად გამოიგანს. თუ ეს გაგრძელდა, ნებისმიერ პოლიტიკოსს და მთავრობას ხალხი ბოლოს მოუღებს. აღსანიშნავია ისიც, თუ რა აღგილას მოაწყვეს თვითონ ტერაქტი – ერთადერთი ხალხი, რომელიც თავიდან ბოლომდე რუსეთის დასაყრდენია, სწორედ იქ იყო. ისინი სწორედ რუსეთის ერთგულების გამო დახოცეს.

– როგორ ფიქრობთ, ბოლო პერიოდის მოვლენების შემდეგ როგორია რუსეთის და თვითონ პუტინის ავტორიტეტი მსოფლიოს პოლიტიკურ სპექტრებზე?

– გაზეთები, რომლებიც მსოფლიოში საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, ძალიან სერიოზულად აკრიტიკებენ პუტინის ხელისუფლებას და პირდაპირ წერენ, თუ იგი თავის პოლიტიკას არ შეცვლის და პოლიტიკური საშუალებებით ჩრდილო კავკასიაში არსებულ ვითარებას არ მოაწესრიგებს, მაშინ ეს ყველაფერი არ დამთავრდებაო. ამერიკის მთავრობა, ჯუტინის მიმართ ასეთი კატეგორიული არ არის, რადგან, როგორც ვიმოთ აღვნიშნეთ, მათ რუსეთის გაღამტერება ხელს არ აძლევს.

– ბატონო ომარ, თქვენ ნოდარ ფოკრაქიშვილთან ერთად გამოეცით წიგნი „Безумие и безумцы“, რომელიც რუსეთში გამძაფრებულ ქართველთ-მოძულეობას – გრუზინოფობიას ეხება. რამ გაგაღაწყვეტინათ ამ წიგნის დაწერა?

– წიგნისთვის მასალების შეგროვება 1989 წლიდან, 9 აპრილის შემდგომი პერიოდიდან დავიწყეთ. თვითონ წიგნი 5-6 წელი ი წერებოდა, ეს 4 წიგნისგან შემდგარი პროექტია. პირველი წიგნი უკვე გამოვიდა, მალე დანარჩენი სამი ნაწილიც გამოვა. წიგნში საუბარია რუსეთის პოლიტიკურ ელიტაზე, სამხედროებზე, კულტურის მუშაკებზე, ჟურნალისტებზე, ვინ იყო ეს ხალხი, საიდან მოდის. საუბარია იმ ჟურნალისტებზეც, რომლებიც დღეს ყველაზე დიდი ანტიქართველები არიან. მაგალითად, ლეონტიევი, რომელიც ხშირად ვხვდებით ძღვავს, სასაფლაოს დარაჯი იყო, შემდეგ კუბოების დამამზადებელ საამქროში მიიღეს, შემდეგ სპეცსამსახურებში წაიყვანეს და დღეს კი მოსკოვში პირველი იდეოლოგი და ჩვენი პირველი მტერია. გასაგებია, რომ ასტაფიევი ნაჭიერი მწერალია, მაგრამ კაცი, რომელიც ყოველდღე არაყს დალევს და ცოლს ცემს, იმის ზნეობა ვის რაში სჭირდება. ის უპატრონო ბავშვთა სახლშია გაზრდილი. ჩვენ არ ვეძებთ, ვინ არის ეს ხალხი, ამას თვითონ რუსები ამხელენ. ამასთან, საუბარია ზნეობრივ გარყვნილებაზე, ქურდობაზე, პოლიტიკოსებს შორის მამათმავლობაზე. ჩვენ, ჩვენი მხრიდან ვცდილობთ მათ საკმაოდ დეტალიკატური პასუხი გავცეთ, ჩვენი კომენტარები მრავლად არის. ყველა ფაქტს თავის წყაროს ვუთითებთ, რადგან შეიძლება რომელიმე მათგანმა სასამართლოშიც გვიჩივლოს.

ბუნებრივია, საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ამ წიგნში ვერ ამახვა, თუმცა ვცდილობთ, რომ ცალკე წიგნის სახით რევოლუციის პერიოდიც ავსახოთ, თავი მოვუყაროთ ყველაფერ იმას, რასაც საქართველოზე, ქართველებზე, ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტზე და პოლიტიკურ ლიდერებზე წერენ. თუმცა, ეს მომავალის საქმეა.

ესაუბრა
ლელა ხვადაგიანი.

ინფორმაცია

აქცია

განათლების სისტემა საბოლოოდ დასამარდებაო!

საქართველოს განათლების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას გადადგომის მოთხოვნით გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან პედაგოგთა საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილეები განათლების მინისტრს ანგიქართული და ანგიეროვნული განათლების პროგრამის ლობირებაში და მისი მიღების მცდელობაში ადანაშაულებენ.

მათი თქმით, პარლამენტის მიერ "განათლების სისტემის შესახებ" კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, საქართველოში განათლების სისტემა საბოლოოდ "დასამარდება" და ქართველ ახალგაზრდობას ძირეული და სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა წაერთმევა.

აქციის ორგანიზატორები საქართველოს ხელისუფლებისგან დაუყოვნებლივ რეაგირებას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მთელი ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

საზოგადო

პრეზიდენტისგან, ბავშვებო, მცირედიც შეინირების...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ გუშინ ქალაქის პრემიერს ბიძინა ბერგაძეს თბილისელი პირველკლასელებისთვის განკუთვნილი პრეზიდენტის საჩუქარი – 61 900 ცალი სახელმძღვანელო და 14 000 ჩანთა გადასცა.

თბილისის სკოლებში პირველკლასელები სახელმძღვანელოებს ხვალიდან მიიღებენ, დღეს კი სამინისტროდან თბილისის სკოლებში სახელმძღვანელოებს გადაიგანენ.

ამის პარალელურად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა დანარჩენი მოსწავლე პრეზიდენტის ფონდიდან 20-ლარიან დახმარებას მიიღებს. ორივე პროგრამისთვის ფონდიდან სულ 1 მლნ 063 470 ლარია გამოყოფილი.

"ქვეყნის მასშტაბით კვირის ბოლომდე დარიგდება სახელმძღვანელოები, თუმცა დასავლეთ საქართველოს ყველა სკოლაში უკვე დასრულებულია ეს პროცესი" – აღნიშნა დღევანდელ შეხვედრაზე საქართველოს განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ.

ცხინვალის რეგიონი

სარდალმა პოლიტიკაში ცხვირი არ უნდა ჩაყოს!

ქართული მხარის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ოსური მხარის კონტროლსდაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დროდადრო სროლის ხმა მაინც ისმის. ამგვარი ფაქტი დაფიქსირდა გუშინ გამთენიისას, თუმცა, სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

გუშინწინ საღამოს აჩაბეთში, პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ახლადდანიშნულ სარდალთან, გენერალ-მაიორ მურად კულახმეტოვთან.

ბარამიძემ კატეგორიულად მოითხოვა სამშვიდობოების ახლადდანიშნული სარდლისგან, "მოხდეს მშვიდობის უზრუნველყოფა ქართულ-ოსური კონფლიქტის შონაში და ოსურმა მხარემ შეწყვიტოს პროვოკაციული სროლები ქართული ხეობების მიმართულებით". გიორგი ბარამიძე ასევე კატეგორიულად მოითხოვს კულახმეტოვისგან, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, კონფლიქტის შონაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში "ცხვირის ჩაყოფისგან" თავი შეიკავოს.

გესტაფონი

ცერცვაძე ფერაძემ შეცვალა

გუშინ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში დავით შუმლაძემ ზესტაფონში მოსახლეობას ახალი გამგებელი დპთო ფერაძე წარუდგინა.

ე.წ. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ რაიონის გამგეების მოვალეობის შემსრულებელი თემურ ცერცვაძე იყო. ამჟამად იგი ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში აპირებს მონაწილეობას.

დავით ფერაძე დღემდე ზესტაფონის საგგადასახადო სამსახურის უფროსი იყო.

ინტერ-პრესს.

ეკონომიკა

საქართველოს ძლიერების ძირი სოფელია

ქვეყნის ეკონომიკის ახლანდელ მძიმე მდგომარეობას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები განაპირობებს. რეფორმების პერიოდში ეროვნული ეკონომიკის დაცემის გამომწვევი ფაქტორები მრავალნაირია. ამიტომ მათი მეცნიერული ანალიზი და კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიებაც მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს.

ბოლო ხანებში ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა და ასეთად უნდა დარჩეს მომავალშიც. ამ მოსაზრების გავრცელებას ხელი შეუწყო ეკონომიკურმა პოლიტიკამაც. მასში დღემდე ნათლად არ არის გამოკვეთილი სტრატეგიული ხაზი – ქვეყანა აგრარული თუ ინდუსტრიული გზით განვითარდეს. მძიმე

სოფლის მეურნეობის ადგილი ქვეყნის შიდა პროდუქტში რადიკალური აგრარული რეფორმებისას 19-დან 54 პროცენტამდე მერყეობს. იგი მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების ძირითადი მიმწოდებელია. ამასთან ერთად, იგი ნელლეულს აწვდის მრეწველობის მთელ რიგ დარგებს, რომლებშიც ფართო მოხმარების საქონელს ქმნიან.

სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ მასში დასაქმებულია ქვეყნის მუშაკთა 52 პროცენტი, დარგში იქმნება ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ერთი მესამედი.

სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური და სამეურნეო მოღვაწეობის განხორციელებისას გასათვალისწინებულია წარმოების ტექნოლოგიის, შრომითი, საწარმოო და მიწის რესურსების განლაგების თავისებურებანი. ისინი თვალსაჩინო გახდება, თუ სოფლის მეურნეობაში მათ გამოვლენას მაკროეკონომიკური თვალთახედვით განვიხილავთ. სოფლის მეურნეობის რაციონალური გაძღოლის დასადგენად სწორედ ამ თავისებურებების გათვალისწინებაა საჭირო.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთელი ეროვნული მეურნეობის და, პირველ რიგში, მისი ეკონომიკის ხერხემლის – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპების მიხედვით და მათი რეალიზაციის შესაძლებლობების მობილიზება.

სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღრე საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი სჭარბობდა ყველა სხვა დარგის ხვედრით წილს. მაგალითად, 1913 წელს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის დარგობრივ სტრუქტურაში სოფლის მეურნეობას – 68,9 პროცენტი ეჭირა, მრეწველობას – 18,5, ეკონომიკის სხვა დარგებს – 12,6. საბჭოთა პერიოდში ეს თანაფარდობა მრეწველობის სასარგებლოდ შეიცვალა და 80-იან წლებში ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის ხვედრითი წილი – 43,5, სოფლის მეურნეობისა – 21,2, სხვა დარგებისა კი 35,3 პროცენტს უდრიდა. ამჟამად, რეფორმის მიმდინარეობის პირობებში, ეს თანაფარდობა შეიცვალა. 1992-2005 წლების სამუალო წლიური მონაცემებით, ქვეყნის შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის დარგის ხვედრითი წილი – 32,2, მრეწველობისა – 14,2 და სხვა დარგებისა – 53,6 პროცენტია. ბოლო წლებში ამ ორ ძირითად დარგში შექმნილი დამატებული ღირებულების მთელი მოცულობა მთლიანად ეკონომიკაში – 47,5 პროცენტს შეადგენს. აქედან სოფლის მეურნეობაზე 28,5 პროცენტი მოდის.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მძიმე ვითარების მიზეზია არა მარტო ეკონომიკური და საწარმოო ურთიერთკავშირის მოშლა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ობიექტური სიძნელეები და თავისებურებები, არამედ, უფრო მეტად, გარდამავალი ეკონომიკური პროგრამის უქონლობა. აქედან გამომდინარე, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა იმართება არა საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაბამისად, არამედ ამ პროცესისგან მოწყვეტით. გარდამავალ ეკაპზე საჭიროა სოფლის მეურნეობის დარგის დაჩქარებული განვითარება, რაც თავისთავად დააჩქარებს მრეწველობის აღორძინებას, რადგანაც კვების

მრეწველობის ყველა ქვედარგი მთლიანად კმაყოფილდება ქვეყნის სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული ნედლეულით.

დღეს ქვეყნის მრეწველობა ვერ იძლევა სოფლისათვის ესოდენ აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ინვენტარს, სასუქებსა და შხამ-ქიმიკატებს, საწვავ-საცხებ მასალებს, პირადი მოხმარების მრავალ აუცილებელ საგანს, ელექტროენერგიას და სხვა. თავად სოფლის მეურნეობაც მრეწველობას ვერ აწვდის მისთვის საჭირო ყველა ნედლეულს. ე. ი. დარღვეულია წონასწორობა მათ შორის, რაც ორივე დარგისთვის და მთლიანად ეკონომიკისთვისაც კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში ძირითადი როლი გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ უნდა შეასრულოს, სხვანაირად ძნელია ქვეყნის შიდა რესურსების მობილიზება და მათი გამოყენების სწორი მიმართულებით ეროვნული ინტერესებისათვის დაქვემდებარება, რთული სოციალური ამოცანების გადაწყვეტა. კერძო ბიზნესის განვითარების კვალობაზე სახელმწიფომ ამ საქმეში რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩართოს სამამულო მეწარმეთა ჯახსაღი ნაწილი, უცხოეთის კაპიტალი და ტექნოლოგიები; იმავდროულად მოამზადოს პირობები მკაციე სამართლებრივი ბაზის, მოსახლეობის ჯანსაღი ფსიქოლოგიის, პოლიტიკური გარემოს შექმნისათვის. ესე იგი საჭიროა სახელმწიფოს როლის გაძლიერება გონივრულობისა და აუცილებლობის ფარგლებში.

მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა, რომელთაც წამყვანი როლი ეკისრებოდათ ინდუსტრიული განვითარების ხაზით, სასურსათო პრობლემის ცნობილი კრიზისების პერიოდში სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებით გადაჭრეს. საქართველოში კი რადიკალური აგრარული რეფორმის არასწორი კურსის შედეგად (იგი 1992 წლიდან დაიწყო და ახლაც გრძელდება) არა გვაქვს რაიმე იმედის მომცემი შედეგები. უნაყოფოდ დავკარგეთ 12 წელი, არადა, თავისუფლად შეგვეძლო ორ, ან მაქსიმუმ სამ-ოთხ წელიწადში ძირითადად გადაგვეჭრა სასურსათო პრობლემა, რაც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების ტოლფასი იქნებოდა.

ევროპამ მხოლოდ მანქანურ წარმოებაზე გადასვლით, ინდუსტრიული ტექნოლოგიების დანერგვით შეძლო ჩამორჩენილობისაგან თავის დაღწევა და ეს განხორციელდა კიდეც ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც ათეული და ასეული წლების განმავლობაში გროვდებოდა ჭარბი კაპიტალი, რომელიც ყოველთვის ეძებდა მომგებიანი გამოყენების სფეროებს. ასე სფეროებად მიმდინარე საუკუნის 30-40-იანი წლებიდან ევროპაში იქცა სოფლის მეურნეობა ქალაქების მოსახლეობის ზრდისა და მაღალხარისხოვან სურსათზე მოთხოვნილების სწრაფად გაღიდების გამო. აქეთკენ დაიძრა ყველანაირი – სამრეწველო, სავაჭრო, საფინანსო-საბანკო და სხვა სახის კაპიტალი. განხორციელდა უზარმაზარი კაპიტალდაბანდებები არა მარტო საკუთარივ სოფლის მეურნეობაში, არამედ აგროკომპლექსის ყველა დარგში – სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში, კვების მრეწველობაში, აგროსერვისის დარგებში. გაღაწყდა აგრარული სფეროს ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობა გადავიდა ინდუსტრიულ საფუძველზე და მეორე, საბოლოოდ ჩამოყალიბდა აგროსამრეწველო კომპლექსი ყველა ძირითადი ბლოკით. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივ-ფუნქციურმა სტრუქტურამ ოპტიმალური სახე მიიღო, რაც სურსათის ღიდი დანაკარგების თავიდან აცილების მთავარი ფაქტორია.

ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, ასეთი მიდგომით ქვეყანაში სრულად უნდა ჩამოვაყალიბოთ აგროსამრეწველო კომპლექსი თავისი ოთხი ძირითადი ბლოკით, ერთიან სისტემაში მოვაქცეთ წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია და მოხმარება. ამიტომ არის საჭირო, რომ დღევანდელ ეტაპზე წინა პლანზე წამოვწიოთ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა და უახლოეს პერიოდში მთელი ძალისხმევა წარვმართოთ სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის. გამოვიყენოთ ყველა გზა და წარმოების ზრდის რეზერვები, რათა მაქსიმალურად მოვიახლოთ საჭირო სახსრები. ამიტომაც აუცილებელია, აგრარული სექტორის მიმართ განხორციელდეს სახელმწიფოს ისეთი პროტექციონისტული პოლიტიკა, რომელიც სწრაფი და მაღალი უკუგებით ხასიათდება. ყველა განვითარებულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მისი განსაკუთრებული მნიშველობის გამო სარგებლობს სახელმწიფოს ძლიერი მხარდაჭერით. ჩვენთან ეს ასე არ ხდება. სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების არსი ის არის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშველოვან სახსრებს ხარჯავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტაბილური დონის შესანარჩუნებლად. ამ მიზნით იგი დახმარებას უწევს ფერმერებს, დახმარება გამოიხატება იმაში, რომ იგი ბიუჯეტის სახსრებით აშენებს მელიორაციულ კომპლექსებს, ახორციელებს ღონისძიებებს ნიადაგის ეროზიისაგან დასაცავად, ახალი ჯიშების დასანერგავად და სხვა. სახელმწიფო კისრულობს, აგრეთვე ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ფერმერებმა უნდა მიიღონ მათთვის აუცილებელი რესურსების შესაძენად.

იქ, სადაც სახელმწიფოს არ გააჩნია სათანადო სახსრები ფერმერთა დასახმარებლად, სოფლის მეურნეობა ერთ აღგილს ტკეპნის და კნინდება. ასეთი სავალალო მდგომარეობაა დღეს ჩვენს ქვეყანაშიც. საქართველოს ამჟამად აკლია თითქმის ყველა სახის სასურსათო პროდუქტი (პური და პურ-პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, მცენარეული ზეთი, შაქარი და ა. შ.) არადა, არის სათანადო რესურსი, რომ ამ პროდუქტებზე მოთხოვნილება ძირითადად აღგილზე წარმოებული პროდუქციით დაკმაყოფილდეს. ამისთვის საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული კურსის სოფლის მეურნეობის განვითარების სასარგებლოდ წარმართვა, მისი დაჩქარებული განვითარება, თუმცა ინდუსტრიასაც ჯეროვანი ყურადღება ესაჭიროება. ერი, რომელიც ორიენტაციას აღებს მარტოოდენ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და უგულებელყოფს თანამედროვე ინდუსტრიას თავისი ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული პოტენციალით, წინასწარ განწირულია ჩამორჩენილობისა და დაკნინებისთვის.

ომარ ვაშაკიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

შალვა ვაშაკიძე,
ასპირანტი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 215, ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 2004 წელი.

⊙ რეფორმა

ანტიმონოპოლიური და ფასების ინსპექცია ერთიანდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობს რეორგანიზაციის პროცესი, რომლითაც გათვალისწინებულია სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების ინსპექციის შერწყმა და მათ ბაზაზე ახალი სტრუქტურული ერთეულის — თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სახელმწიფო სააგენტოს ჩამოყალიბება. ინსტიტუციონალური რეფორმირების პროცესში გათვალისწინებულია ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების ინსპექციის თანამშრომელთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების შეცვლა. ამდენად, რეფორმირების პროცესში ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ეკონომიკურ აგენტებს მივმართავთ თხოვნით, გაითვალისწინონ ეს გარემოებანი და ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების ინსპექციის თანამშრომელთა მხრიდან წლეულს, 15 სექტემბრიდან გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და ბრძანების გარეშე შემოწმების განხორციელების შემთხვევაში დარეკონ ანტიმონოპოლიურ სამსახურში მოქმედ ცხელ ხაზზე: 38-85-10.

საკუთარი ინფორმაცია.

⊙ ინფორმაცია

თანამშრომლობა

ნატოს საპარლამენტო დელეგაცია გვეწვია

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ნატოსთან თანამშრომლობისა და დემოკრატიული მმართველობის ქვეკომიტეტების წარმომადგენლები დღეს საქართველოში ჩამოვლენ, რომლებიც ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ერთდღიან კონფერენციას საქართველოს პარლამენტში გამართავენ.

კონფერენციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გახსნის. კონფერენციაზე სიტყვით გამოვა საქართველოს პარლამენტის ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში თანამშრომლობის დელეგაციის ხელმძღვანელი გიორგი არველაძე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრებს.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ქვეკომიტეტების წარმომადგენლების წინაშე საპარლამენტო გეგმას წარმოადგენს, რომელიც საგარეო და თავდაცვის საკითხებს ეხება. გიორგი არველაძე მოხსენებას გააკეთებს საქართველოს წვლილზე რეგიონული სტაბილურობის დამყარების პროცესებში.

დელეგაცია ვიზიტის დროს შეხვდერებს საქართველოს პრეზიდენტთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, თავდაცვის მინისტრთან და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართავს.

წყალმომარაგება

უკვდავების წყალი სამყოფად გვექნება

დღეიდან თბილისის მოსახლეობას წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება. ამის საშუალებას სოფელ მისაქციელში მდებარე გაფართოებული საინფილტრაციო მოედანი მისცემს. მისაქციელის ახალი — 13 ათასი კვადრატული მეტრის საინფილტრაციო მოედანი თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ გახსნა.

ახალი საინფილტრაციო სადგური საშუალებას მისცემს „წყალკანალს" გაცილებით დიდი რაოდენობის წყალი მიაწოდოს დედაქალაქის მოსახლეობას. საინფილტრაციო სადგურის გაფართოება სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში დამატებითი ხარჯები თბილისის ბიუჯეტიდან არ გამოყოფილა, თანხები „თბილწყალკანალმა" თავად მოიძია.

გარდა ამისა, თბილისის მერმა გუშინ მოინახულა სამგორის წყალსადენის საფილტრი სადგური და ბულაჩაურის წყალსაცავის სათავე ნაგებობა.

როგორც მან განაცხადა, ფრანგულ კომპანია „ჯენერალ დეზოსთან" ხელშეკრულების გაფორმებამდე, მან უნდა იცოდეს, თუ რა მდგომარეობაშია დედაქალაქის წყალმომარაგების სისტემა. „როცა სისტემების მდგომარეობას შევისწავლით, უკვე კონკრეტულად გვეცოდინება, მოლაპარაკებათა მაგიდასთან რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა", — აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

ბოდიში!

თქვენ გელით უგაზობა...

მოახლოებულ ზამთრის სეზონზე გაზმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, „თბილგაზი" სარეაბილიტაციო სამუშაოებს განაგრძობს. ამის გამო გუშინდლიდან 4 დღის განმავლობაში, ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდება ვაკის რაიონს და პეტრიაშვილის და მელიქიშვილის ქუჩებს.

როგორც ინტერ-პრესს „თბილგაზში" განუცხადეს, სარეაბილიტაციო სამუშაოები მელიქიშვილის და პეტრიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მიმდინარეობს, რამაც ვერის ერთი ნაწილისა და ვაკისთვის გაზმომარაგების შეწყვეტა გამოიწვია. „თბილგაზი" მომხმარებლებს შექმნილი მდგომარეობის გამო ბოდიშს უხდის.

ინტერ-პრესი.

⊙ თითქმის დაუჯერებელი

ხევსურეთს მუცო აღსდგება!..

(პირველი

მართლაც რა უშიშარნი ყოფილან ჩვენი წინაპრები, პირიქითა ხევსურეთის ამ მიუდგომელ, მაგრამ ულამაზეს მთებში ციხე-კოშკებს რომ აგებდნენ და ჩრდილოეთიდან შემოპარულ მტრებს იგერიებდნენ.

28 კოშკია მუცოში. თითოეული მათგანი, აუცილებელ სათავსებთან, სალოცავებთან ერთად სრულყოფილი ციხე-სახლი იყო, რომელშიც მინიმუმ 3-4 ოჯახი ცხოვრობდა. 4 საბრძოლო-სათვალთვალო კოშკი ყველაზე მაღალი და გამორჩეულია. ეთნოგრაფების და ისტორიკოსების მტკიცებით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ამ ციხე-კოშკებმა თავდაცვის ფუნქცია დაკარგა, მუცოში 70-80 ოჯახი სახლობდა, თითოეულ ოჯახს კი, 5-6 შვილი ჰყავდა. მრავალშვილიანობა მთიელთა უმთავრესი სიმდიდრე, სიძლიერე და პატრიოტული გრძნობის გამოვლინება გახლდათ. მუცოში დღესაც სახლობს დაიაურების 3 ოჯახი, სამივე მრავალშვილიანი. ისინი დანგრეულ კოშკებთან ახლოს, უფრო თანამედროვე სტილით ნაგებ სახლებში ცხოვრობენ და მესაქონლეობას მისდევენ. რაჟდენ დაიაურის თერთმეტშვილიანი ოჯახი სექტემბრის ბოლოს თავის ცხვარ-ძროხიანად აიყრება და გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში, ახალ ფუძეზე ჩამოივაკებს. გაზაფხულზე ისევ შეკრავს გუდა-ნაბადს და ნება-ნება ხევსურეთის მამაპაპისეულ ბილიკებს აუყვება.

— გზა და შუქი რომ გვქონდეს, ექიმი რომ გვყავდეს, შვეულმფრენი კვირაში ერთხელ მაინც რომ მოფრინავდეს, არსად წავიდოდით, სხვაც ბევრი ამოვიდოდა მთაში, — ჩაგვაგონებენ დაიაურები და მოწიწებით, მორცხვად მთაში გვიხმობენ. ჩვენ, ბარის ქალაქებში გამომხვრჩვალნი, ნერწყვის ყლაპვით ვიცქირებით მთისკენ, მაგრამ... უსახსრობის გამო, ჯერჯერობით, ვერც გზას ვპირდებით მუცოელებს და ვერც შუქს. ის კი არა და, ათასში ერთხელ, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპადაც ვერ ავდივართ.

თუმცაღა, თუ ჭკვიანად ვიქნებით და ისეთ საქმით პატრიოტებს, — როგორებიც კომპანია „არსის" და „თი-ბი-სი" ბანკის მესვეურები არიან, საქმითვე გვერდში დავუდგებით, მალე დაუჯერებელი, თითქმის დაუჯერებელი რამ შეიძლება მოხდეს, მუცოს უნიკალური კოშკებიც აღსდგეს და ხევსურეთის აღორძინებაც დაიწყოს.

* * *

მუცოს აღდგენის ინიციატორი იყო დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოციაციის წევრი, წარმოშობით ხევსური ჭაბუკი პაატა შეთეკაური და მისი მეგობრები — ვახტანგ ჯავახიშვილი და გელა წიკლაური. როგორც სამიოდე თვის წინათ გამცნეთ, ეს ინიციატივა გულთან ახლოს მიიტანა კომპანია „არსის" ხელმძღვანელობამ და შეიქმნა მუცოს გადარჩენის საგანგებო პროექტი, რომელიც „თი-ბი-სი" (TBC) ბანკში წარადგინეს. მრავალი საშვილიშვილო საქმის დამფინანსებელ „თი-ბი-სი" ბანკს და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მამუკა ხაზარაძეს ჭკუაში დაუჯდა ეს ორიგინალური იდეა-პროექტი და კომპანია „არსს" ფინანსური დახმარება აღუთქვა.

ამის შემდეგ კომპანია „არსის" კვალიფიციურმა სპეციალისტებმა შექმნეს მუცოს აღდგენა-რესტავრაციის დაწვრილებითი პროექტი.

პირველ ეტაპზე აუცილებელი იყო მუცოს დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა და საჭირო ნახაზების, არქიტექტურული ჩანახატების, აგრეთვე, ფოტონიმუშების შექმნა.

და აი, არქიტექტორ-რესტავრატორთა ახალგაზრდული ჯგუფი, ინიციატორები და სტუდენტები, სულ 14 ადამიანი, ოთხიდან ოცდაოთხ აგვისტომდე, მუცოს ეწვია. როცა ექსპედიციის მიზანი შეიტყვეს, სიხარულით ცას ეწივნენ მუცოელი ალუდა, გელა, იაგო, თორღვა, ზურაბ დაიაურები. თბილისელ ახალგაზრდებს ყველაზე მეტად 81 წლის ბებო, მუცოს დიდი ქალბატონი ზილო დაიაური ეფერებოდა...

ჯგუფს ხელმძღვანელობდა საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გამოცდილი არქიტექტორი სოსო ბანძელაძე. სხვათა შორის, ბატონი სოსო ჯერ კიდევ 1989 წელს, მაშინდელ ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებით იმყოფებოდა მუცოში და პირველი აზომვები განახორციელა. მდგომარეობა მაშინაც საგანგაშო ყოფილა (დღეს, მით უფრო), მაგრამ საქართველოში დატრიალებული მოვლენების გამო, 15 წელიწადი, ამ საქმისთვის ვერავინ მოიცალა. ახლა კი, კომპანია „არსის" პროექტის — „ქართული სახლის" კოორდინატორის და ხელმძღვანელის ნანა მეფარიშვილის ჩვეული გულისხმიერებით, არა მხოლოდ არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფმა იმუშავა ნაყოფიერად, არამედ თვით სტუდენტმა არქიტექტორებმა, დიპლომანტებმა და რეჟისორმაც კი. რადგან ყველა მათგანი ახალგაზრდაა და მუცოს აღორძინების ფუძისჩამყრელნი გახდნენ, მოდით, ისტორიას მათი სახელებიც შემოვუნახოთ, ვინძლო მიმდევრები ბლომად გამოუჩნდნენ: გოგოთურ მისრიაშვილი, გუგა სუთიძე, გიორგი ბანძელაძე (სოსო ბანძელაძის ვაჟი, — რეჟისორი), გიგი შუკაკიძე, გიორგი დათიაშვილი, სალომე ზაზუნიშვილი, ირინა რეკა, სამი ინიციატორი და ხელმძღვანელები უკვე ვთქვით...

გიგი შუკაკიძე.



ნანა მეფარიშვილი.



სოსო ბანძელაძე.

ცალკე უნდა გამოვყო მაიკო ძირკველიშვილი — „თი-ბი-სი" ბანკის იმიჯის ფორმირების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, რომელიც საოცრად გონივრულად და დამაჯერებლად მიხსნის, რომ ამ პროექტის აღსრულებას სერიოზული თანხები დასჭირდება და ოღენ „თი-ბი-სი" ბანკი და კომპანია „არსი" ამდენს, ძალიანაც რომ უნდოდეთ, ვერ მოახერხებენ. თავად განსაჯეთ, ჯერ მეცნიერთა ის ჯგუფია დასაფინანსებელი, რომელიც საბოლოო დასკვნას წარმოგვიდგენს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აღსდგეს მუცო... სამშენებლო მასალა და მუშახელი შვეულმფრენით იქნება გადასატანი. მშენებლებს, ადგილობრივ სპეციალისტებზე დაყრდნობით ციხე-კოშკების აღდგენას რომ შეუდგებიან, სოლიდური ანაზღაურება დასჭირდებათ...



გიორგი დათიაშვილი.

ასე რომ, ქვეყნის სხვა ბიზნესმენებმაც უნდა გამოიღონ ხელი. დარწმუნებული ვარ, როცა ეს საშვილიშვილო საქმე დაიწყება, თუ სათანადო რეკლამა გვექნა, სპონსორების ძებნა არ გაგვიჭირდება. სახელმწიფო სტრუქტურების ხელშეწყობასაც ველოდებით, რადგანაც ეს საერთო-სახალხო, მართლაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტია...

— დეკემბრის ბოლოს გვექნება სრული არქიტექტურული პაკეტი მუცოს რესტავრაციის დასაწყებად, — გვიზუსტებს ნანა მეფარიშვილი, — შემდეგ, გამოვყოფთ პრიორიტეტებს, თუ რა და როდის დავიწყოთ. ისიც ზუსტად გვეცოდინება, თითოეული პრიორიტეტული ამოცანის განხორციელება რა თანხა დაჯდება. ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მუცო მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლია და მას ფრთხილად, ზუსტად აღდგენა უნდა...

— სიფრთხილე აუცილებელია, მაგრამ... ნელა მაინც უნდა ვიჩქაროთ. იცით, ალბათ, ჩვენში მრავალი უძვირფასესი ძეგლის აღდგენის გამო კარგა ხანია დიდი ბაქი-ბუქი ატყდა, მაგრამ ათეული წლები გავიდა და სიტყვა სიტყვად დარჩა, — შევახსენე ახალგაზრდა რესპონდენტებს.

— მუცოს ეს ბედი არ ელის. მას უკვე სერიოზული და კონკრეტული პატრონი ჰყავს კომპანია „არსისა" და „თი-ბი-სი" ბანკის სახით...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. გულწრფელად მიხარია, რომ კერძო კომპანია და ბანკი ახალგაზრდა არქიტექტორთა შორის ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების განვითარების მოთავედ გამოდის. აბა, ამაზე შესანატრი, საშვილიშვილო საქმე რა უნდა იყოს.

სპარტაკ ქოჩულია.

P. S. **ერთ თვეში კომპანია „არსი" უნიკალურ ფოტოგამოფენას გვპირდება დევიზით — „გადავარჩინოთ მუცო!".**

⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან

გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი კონტინგენტი განეკუთვნება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კატეგორიას?

ვანო თუშიშვილი.

საქართველოს კანონით — „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კატეგორიას განეკუთვნებიან: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები და სამხედრო ძალების ვეტერანები.

* * *

ვმუშაობ ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში. ჩართული ვიყავი საარჩევნო კამპანიაში, რისთვისაც მიხდიდნენ გარკვეულ თანხას. იმ პერიოდისათვის მეკუთვნის თუ არა ხელფასი ძირითადი სამუშაო ადგილიდან?

ნანა სიორიძე.

შრომის კანონთა კოდექსის 110-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუშაკს საშუალო ხელფასი უნარჩუნდება, თუ იგი სამუშაო დროს ასრულებს სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას, მათ შორის, თუ იგი ახორციელებს საარჩევნო უფლებას. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სამუშაო სრულდება არასამუშაო საათებში.

* * *

სამუშაოს დაწყებიდან 8 თვის შემდეგ გავედი დეკრეტულ შვებულებაში. მანამდე არსად არ მიმუშავნია.

გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი წესით ამინაზღაურდება დეკრეტული შვებულების თანხა?

ლანა სიხარულიძე.

შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, მომუშავე ქალებს (შრომის სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად), ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე სამოცდაათი კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი (გართულებული მშობიარობის ან ორი და მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში — სამოცდაათი) კალენდარული დღის ხანგრძლივობით. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება გამოიანგარიშება შეჯამებულად და ქალს მიეცემა მთლიანად, მშობიარობამდე ფაქტობრივად გამოყენებული დღეების რაოდენობის მიუხედავად.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

⊙ კომპეტენტური აზრი

მეცნიერება ერის კულტურის განუყოფელი ნაწილია

„თუ ერს მიაჩნია, რომ ცივილიზაციის რომელიმე სტადიაზე შესაძლებელია იყოს უმეცარი და თავისუფალი, ეს ნიშნავს, რომ მას სურს ის, რაც არასდროს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს".

თომას ჯეფერსონი.

ამერიკის განმანათლებლის, მისი მესამე პრეზიდენტის, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პროექტის ავტორის თომას ჯეფერსონის ეს სიტყვები ხშირად მაგონდება ბოლო დროს, როდესაც თვალს ვადევნებ ქართული კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებს. დიდი ამერიკელის ეს აზრი, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენს სინამდვილეში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

მოვლენათა ლოგიკის მიხედვით, ქართველ მეცნიერებს, მთელ ქვეყანასთან ერთად, მხოლოდ ოპტიმიზმი უნდა გვამოძრავებდეს, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით მიმდინარე პროცესების არსს, ოპტიმიზმისთვის ადგილი აღარ რჩება.

ამ წერილის დაწერა, შესაძლოა, ერთგვარად გულუბრყვილობაშიც კი ჩამომართვან. მაგრამ არცთუ ისე შორეულ წარსულში, მკაცრი ცენზურისა და რეგლამენტაციის პირობებში, თუკი მართალი სიტყვა დიდი გაჭირვებით გაიკვლევდა გზას, მას განსაკუთრებული წონა და რეზონანსი ჰქონდა საზოგადოებაში. დღეს კი თავისუფალი პრესის ფურცლებზე აზრებისა და იდეების ისეთი კორიანტელია, რომ ბეჭდვური სიტყვა თითქოს გაუფასურდა. ხშირად საღი აზრის წვეთები იკარგება ინფორმაციის ოკეანეში. ამის მიუხედავად, ვიტოვებ იმედს, რომ ჩემს გულისტკივილს და შეშფოთებას ქართული მეცნიერების ბედით გაიზიარებს საზოგადოების გარკვეული ნაწილი.

უპირველეს ყოვლისა, შემაშფოთებელია მავანთა და მავანთა ცდითა და გარჯით საზოგადოების ფართო ფენებში ისეთი აზრის დამკვიდრება, რომლის მიხედვითაც ინტელიგენცია, კონკრეტულად კი მეცნიერები, განიხილება, როგორც საზოგადოების პარაზიტული ნაწილი, რომელიც ზედმეტ ტვირთად აწევს სახელმწიფოს. ამ აზრის გამავრცელებლები სარგებლობენ იმით, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი არ არის ჩახედული საქმის ვითარებაში და იჯერებს „კომპეტენტური" პირების, სავარძლებში მოკალათებული ჩინოვნიკების სხვადასხვაგვარ უპასუხისმგებლო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ, პოპულისტურ განცხადებებს ქართული მეცნიერების შესახებ. ასე ყალიბდება ქვეყანაში ნეგატიური დამოკიდებულება ერის ინტელექტუალური ელიტის მიმართ, იმათ მიმართ, ვინც ბოლო ათწლეულის განმავლობაში პრაქტიკულად თითქმის უხელფასოდ, გმირულად (არ მოვერიდები ამ სიტყვას) განაგრძობს თავისი საქმის კეთებას, იმ საქმისა, რომელიც მათი ღრმა რწმენით, ერის საკეთილდღეოდ არის მიმართული და ქვეყნის მომავალს ემსახურება. ლაპარაკია იმაზე, რომ პატარა ქვეყნისთვის დიდი მეცნიერება ზედმეტი ფუფუნებაა. ამაში, რა თქმა უნდა, არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ ვინ მოზომავს, რა მასშტაბის მეცნიერება უნდა ჰქონდეს საქართველოს, ვინ უნდა გადაწყვიტოს, რა ვუყოთ ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგში უდიდეს მონაპოვრებს. ხომ არ დადგა დრო, ჩავუკვირდეთ თომას ჯეფერსონის ზემოთ მოყვანილ ბრძნულ გამონათქვამს და ვიდრე ხელის ერთი მოსმით ხაზს გადავუსვამდეთ ქართული მეცნიერების მიღწევებს და ვოლუნტარისტულად გადავწყვეტდეთ მის ბედს, ამ საქმის რაციონალურად მოგვარება თვით მეცნიერებს მივანდოთ, რომლებიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი მომავალი განვითარების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით, გამოჰყოფენ პრიორიტეტებს და განსაზღვრავენ ქართული მეცნიერების პერსპექტივებს.

მეცნიერებათა აკადემიის „მუქთახორობისა" და სახელმწიფოს კისერზე მისი მძიმე ტვირთად ყოფნის პოპულარული აზრი ნამდვილად გაქარწყლდებოდა, საზოგადოებისათვის რომ ასეთივე მეთოდურობით ეცნობებინათ, თუ რა უჯდება სახელმწიფო ხაზინას ბიუროკრატიული აპარატის შენახვა, თანამდებობის პირთა მრავალგვარი მომსახურება, მათ შორის უსასრულო კომფორტული მივლინებები და შემდეგ შეედარებინათ იმ ხარჯებთან, რომლებიც მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს ხმარდება.

ცხოვრება გარდუვალად ვითარდება, მიდის წინ, მეცნიერება არა მხოლოდ მიჰყვება ამ პროცესს, არამედ სათანადო ხელშეწყობის პირობებში, ამ პროგრესის მამოძრავებელ ძალასა და აქტიურ სტიმულს წარმოადგენს. მაშ, რატომ გახდა საჭირო ქართული მეცნიერების დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში, რატომ გახდა არაპრესტიჟული სამეცნიერო საქმიანობა. ის, ვის ხელშიცაა დღეს ქართული მეცნიერების ბედი, უნდა დაფიქრდეს, თუ რა შედეგები მოჰყვება მეცნიერების ასეთ იგნორირებას. ვის და რატომ სჭირდება, რომ უძველესი კულტურის ქვეყანა თავისი ინტელექტუალური დონით ტრინიდადისა და ტობაგოს გვერდით აღმოჩნდეს? ხომ არ არის მიზანშეწონილი, არ ავჩქარდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას და მოფიქრებულად, ღრმა ანალიზისა და განსჯის საფუძველზე გავატაროთ საჭირო ცვლილებები. სხვებზე უფრო მეტად თვით მეცნიერებათა აკადემიამ, თავად მეცნიერებმა იციან, თუ რამდენი რამ არის შესაცვლელი, გასაუმჯობესებელი. ნორმალურ ვითარებაში ეს პროცესები საქმეში ღრმად ჩახედულმა ადამიანებმა შიგნიდან უნდა წარმართონ, ადგილობრივი პირობების, ეროვნული თავისებურებების, რეალური მდგომარეობისა და პერსპექტივის გათვალისწინებით.

შეიქმნა უცნაური სიტუაცია — საგაზეთო წერილებით, პარლამენტართა გამონათქვამებით, ოფიციალურ პირთა გამოსვლებით იქმნება ქართული მეცნიერების არასახარბიელო სახე. ნუთუ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში არავის აღარ აინტერესებს, რა სიახლეებია ეროვნული მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ახლა, როდესაც უდიდესი ძალისხმევაა მიმართული განათლების სისტემის სრულყოფისაკენ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოების განათლების ერთ-ერთი აუცილებელი ფორმაა სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაცია. ქართველ მეცნიერთა მიღწევების შესახებ ვიგებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობს და ოკეანეს გაღმა მოიპოვა აღიარება.

(იხ. მე-5 გვ.)

⊙ თაღლითობა

„თქვენ აქ დამელოდეთ, მე ახლავე ჩამოვალ..."

შემთხვევით ხალხთან საქმიანი ურთიერთობის გაბმა რომ არ ღირს, ალბათ, პატარა ბავშვებმაც იციან. თუმცა ჩვენში ჯერ კიდევ მრავლად არიან სავსებით ზრდასრული ადამიანები, რომლებიც ასეთ „ინკოგნიტო" „ბიზნეს-პარტნიორებთან" საქმის დაჭერას არათუ არ ერიდებიან, არამედ საკმაოდ სოლიდურ თანხებს და ძვირადღირებულ ნივთებს ენდობიან, მერე კი, სავალალო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში, არც აყოვნებს ხოლმე.

ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს განცხადებით მიმართა ნიკოლოზ მიქელაძემ. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ვინმე გოჩა ცეცხლაძემ თაღლითური გზით მისი 3600 დოლარი მიითვისა.

მოკვლეული მასალებით დადგინდა, რომ 2004 წლის 27 თებერვლიდან გიორგი ფაშალიშვილი გენერალური მინდობილობით ფლობდა დავით პაპოშვილის ავტომანქანა „ბმვ-525"-ს. 1 მარტს გ. ფაშალიშვილმა ეს ავტომანქანა „საქართველოს სახალხო ბანკში" 4500 დოლარად დააგირავა. ამის შემდეგ ივნისში, მისმა ნაცნობმა გოჩა ცეცხლაძემ ხსენებული ავტომანქანა, ყოველგვარი იურიდიული გაფორმების გარეშე, 9600 დოლარად ნიკოლოზ მიქელაძეს მიჰყიდა, თანაც ისე, რომ არაფერი უთხრა ავტომანქანის ბანკში დაგირავების თაობაზე.

2004 წლის ივნისში კი „ბმვ"-525" საქართველოს სახალხო ბანკმა, სესხის უკან დაბრუნების მიზნით, ნ. მიქელაძეს ჩამოართვა.

ამის შემდეგ, გ. ფაშალიშვილი და გ. ცეცხლაძე, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, თავს არიდებენ ფინანსურ პოლიციაში გამოცხადებას, მათი ადგილსამყოფელი ამჟამად დადგენილია და სისხლის სამართლის საქმეც აღძრულია.

გაცილებით უფრო უცნაური ამბავი შეემთხვა სიმონ მოშიაშვილს, რომლის განცხადება მომხდართან დაკავშირებით ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში ისანი-სამგორის შს სამმართველოს მე-2 განყოფილებიდან მიიღეს.

ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ ს. მოშიაშვილმა გაზეთ „სიტყვა და საქმეში" გამოაქვეყნა განცხადება მუსიკალური ცენტრის „პანასონიკის" 600 დოლარად გაყიდვის შესახებ. 24 ივლისს საღამოს მას ბინაზე უცნობმა პირმა დაურეკა და უთხრა, რომ მუსიკალური ცენტრის შეძენა სურდა. წინასწარი შეთანხმებით, ს. მოშიაშვილს სახლში უცნობი მამაკაცი ესტუმრა. ისინი შეთანხმდნენ მუსიკალური ცენტრისა და „ლჯ"-ის სისტემის ტელევიზორის 300 დოლარად ყიდვა-გაყიდვის თაობაზე. ამის შემდეგ მყიდველი წავიდა და ნახევარ საათში უკან მობრუნდა, თან ორი ავტომანქანა მოიყვანა. ს. მოშიაშვილს მყიდველმა ერთ-ერთი ავტომანქანის მძღოლი პირად მძღოლად წარუდგინა, ხოლო მეორე მძღოლზე უთხრა, თითქოს ისიც მას, ოღონდ არა პირადად ემსახურებოდა. საკუთარი თავი კი მყიდველმა ს. მოშიაშვილს ფინანსური პოლიციის თანამშრომლად გააცნო.

„ფორდის" მარკის ავტომანქანაში მყიდველ-გამყიდველმა ტელევიზორი და მუსიკალური ცენტრი ჩადეს, თავად კი „მერსედესში" ჩასხდნენ. შეთანხმების თანახმად, ორივე ნივთის საფასური მყიდველს თავის სახლში უნდა გადაეხადა, რომელიც თითქოსდა არაყიშვილის ქუჩაზე მდებარეობდა. „კომბინაციის" გასაძლიერებლად, მყიდველმა, ს. მოშიაშვილის გასაგონად, „ფორდის" მძღოლს, რომელშიც, როგორც აღვნიშნეთ, მუსიკალური ცენტრი და ტელევიზორი იდო, არაყიშვილის ქუჩაზე წასვლა და მათი იქ დალოდება დაავალა.

როგორც შემდგომი მოკვლევისას დადგინდა, მანამდე მყიდველს „ფორდის" მძღოლისათვის უთქვამს, რომ მასთან შესახვედრად მისულიყო არა არაყიშვილის ქუჩაზე, არამედ... ნავთლუღის ბაზართან, სადაც მან იგი თავიდანვე დაიქირავა. ამის შესახებ ს. მოშიაშვილმა, ცხადია, არაფერი იცოდა.

ამის შემდეგ „მყიდველი" და ს. მოშიაშვილი „მერსედესით" მივიდნენ შავი ზღვის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში, რომელშიც, მყიდველის თქმით, დედამისი ცხოვრობდა. დედასთან სტუმრობა კი მან იმით ახსნა, რომ ავტოფარეხიდან (რომლის გასაღები თითქოსდა „დედისთვის" უნდა გამოერთმია) გენერატორი უნდა გამოეტანა და არაყიშვილის ქუჩაზე „თავის ბინაში" უნდა წაეღო.

„მყიდველის" მანქანიდან გადასვლის შემდეგ ათ წუთში „მერსედესის" მძღოლთან საუბარში ს. მოშიაშვილმა გაარკვია, რომ იგი არა „მყიდველის" პირადი, არამედ კერძო ტაქსის მძღოლია. ეს კაცი კი საერთოდ პირველად მაშინ ნახა, როცა მან ის დაიქირავა. დაახლოებით 20 წუთის ლოდინის შემდეგ (როგორც შემდგომ აღმოჩნდა, სწორედ ეს „განდიკაპი" სჭირდებოდა „გადამგდებს") ს. მოშიაშვილმა გაარკვია, რომ საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზო, რომელშიც მისი „მუშტარი" შევიდა, გამავალი იყო. შედეგი, ცხადია, არც იმ კაცის კორპუსში ძებნას მოჰყვა...

ამის შემდეგ ტაქსის მძღოლმა ს. მოშიაშვილი ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მიიყვანა. იქ მათ მეორე ავტომანქანას მიაგნეს, რომელშიც მუსიკალური ცენტრი და ტელევიზორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ... თურმე, ეს „ბმვ"-ს მარკის ავტომანქანაც კერძო ტაქსი იყო, რომელიც მყიდველმა დაიქირავა და დათქმულ ადგილზე დალოდებაზე შეუთანხმდა. მძღოლიც მას შეთანხმებისამებრ დაელოდა, სადაც „მყიდველმა" 15-20 წუთში მიაკითხა. ამის შემდეგ ისინი გაემგზავრნენ ლილოს ბაზრობაზე, რომლის შესასვლელში დამქირავებელმა ტელევიზორი და მუსიკალური ცენტრი ურიკაზე გადატვირთა და წავიდა...

ორივე ტაქსის მძღოლი ჯემალ ბაზერაშვილი და ონიკ ბაკირიანი აცხადებენ, რომ დამქირავებელს ისინი არ იცნობენ, თუმცა მის ამოცნობას შეძლებენ...

იმ უცნობი „მყიდველი-გადამგდების" მიმართ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ახლა მთავარია, თაღლითს მიაგნონ და მას პასუხი აგებინონ.

ოთარ ტურაბელიძე.

◎ კომპეტენტური აზრი

მეცნიერება ერის კულტურის განუყოფელი ნაწილია

(მეოთხე გვერდიდან)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ინსტიტუტებში, უკიდურესი სიდუხჭირის მიუხედავად, დიდ და საინტერესო პრობლემებზე მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ მე არ მაგონდება შემთხვევა, ჟურნალისტები რომ დაინტერესებულიყვნენ ქართველი მეცნიერების მიღწევებით. ეს მათი ბრალი არ არის – მეცნიერება აღარ შედის პრესტიჟული თემატიკის სფეროში. რატომ ფიქრობენ, რომ ქართულ საზოგადოებას არ დააინტერესებს სიახლეები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ნუთუ არ შეიძლება ქართველ მეცნიერთა გამორჩეული მიღწევების პოპულარიზაცია. ამის პრაქტიკა არსებობდა და საზოგადოებაში ქართველი მეცნიერები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ.

სამეცნიერო ინსტიტუტების სახელები მხოლოდ მაშინ ჩნდება სატელევიზიო ეკრანებზე, როდესაც ლტოლვილთა სახელს ამოფარებული ადამიანთა ჯგუფები შეიჭრებიან და იერიშით იღებენ სამეცნიერო ინსტიტუტების შენობებს, არბევენ ლაბორატორიებს, ანადგურებენ დიდი გაჭირვებით მოპოვებულ მასალებს, აზიანებენ ძვირადღირებულ აპარატურას, შეურაცხყოფას აყენებენ და აბუჩად იგდებენ მეცნიერ თანამშრომლებს, რომელთა ძალისხმევით ამ გაუსაძლის პირობებში ჯერ კიდევ ხერხდება მოპოვებული სამეცნიერო მიღწევების შენარჩუნება. რა დასამალია, რომ მეცნიერ მუშაკებს ხშირად მათი მიზერული ხელფასი ტრანსპორტით სარგებლობის საშუალებასაც კი არ აძლევს, მაგრამ მეცნიერება მათი სასიცოცხლო საქმეა და ისინი, ყველაფრის მიუხედავად, მისი ერთგულნი რჩებიან. ჩვენ ოპერატიულად გვაწვდიან ინფორმაციებს სამეცნიერო ინსტიტუტების შენობების ამგვარი „დარბევების“ შესახებ (გავიხსენოთ ქიმიის, გეოლოგიის, ბოტანიკისა და სხვა ინსტიტუტების ამბავი), მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შევიტყვეთ, რომ ვინმესთვის პასუხი მოეთხოვათ ქართული მეცნიერების ხელყოფისათვის. ამგვარი ვანდალიზმი შეუძლებელი იქნებოდა, ხალხს რომ დაენახა სახელმწიფოს ზრუნვა ეროვნულ მეცნიერებაზე. სამწუხაროა, რომ სახელმწიფო, რომელსაც ევროპასთან ინტეგრირების პრეტენზია აქვს, რომელიც სხვადასხვა სფეროში ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებზე მიგვითითებს, არ ცდილობს ამ სტანდარტებს მიუახლოვდეს მეცნიერებისადმი დამოკიდებულების სფეროში, მეცნიერებაზე ზრუნვის საქმეში.

შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია – საქართველოში „აკადემიების“, „უნივერსიტეტების“ და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობამ ასტრონომიულ რიცხვს მიაღწია, კვლევით ინსტიტუტებში კი შემაშფოთებლად შემცირდა ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა. ნუთუ აქედან არ უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნები, ნუთუ სერიოზულად არ უნდა მივხედოთ ჩვენი მეცნიერების მომავალს? დროა დავფიქრდეთ, რა მემკვიდრეობას ვუტოვებთ მომავალ თაობებს. ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი, რომლითაც, სავსებით სამართლიანად, ასე მოგვქონდა თავი, ამგვარი მდგომარეობის გაგრძელების შემთხვევაში ნულზე შეიძლება დავიდეს. ის საერთაშორისო აღიარება, რომელიც ქართულმა მეცნიერებამ მოიპოვა დიდ სწავლულთა მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლების მოღვაწეობის შედეგად, უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს. ამისთვის კი ღრმად გააზრებული და მომავალზე გათვლილი სტრატეგიის არსებობაა საჭირო.

მეცნიერებისადმი დამოკიდებულების მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: 1941 წლის გაზაფხულზე ქართული კულტურის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – ქართული ხელოვნებათმეცნიერების მამამთავრის აკად. გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობით დაარსდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელმაც მსოფლიო სამეცნიერო სტანდარტების დონეზე აიყვანა ქართული ხელოვნების ძეგლთა დაცვისა და მათი კვლევის საქმე. ინსტიტუტის თანამშრომელთა თაობების მოღვაწეობის წყალობით ქართულმა ხელოვნებამ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში. 1991 წლის დეკემბერში, როდესაც ინსტიტუტს არსებობის ნახევარი საუკუნე უნდა აღენიშნა, მას თავს უბედურება დაატყდა, თბილისის აზბედითი მოვლენების დროს ინსტიტუტის შენობა ფერფლად იქცა. ქვეყანაში დატრიალებულმა უბედურებამ გაანადგურა კულტურის სამი კერა – პირველი საშუალო სკოლა, მხატვრის სახლი და გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც პირველი სკოლის პირდაპირ, ლესია უკრაინკას ქუჩაზე მდებარეობდა. დაიწვა ინსტიტუტში დაცული უნიკალური არქივები, მათ შორის ფოტოარქივი, ნახაზების დიდი კოლექცია, რომლებშიც ქართული ხელოვნების ათასობით ძეგლი იყო აღნუსხული, დაიწვა სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკებს შორის, დაიწვა გამოსაცემად გამზადებული წიგნები, თანამშრომელთა პირადი არქივები, მრავალწლიანი სამეცნიერო ექსპედიციების მასალები.

გავიდა ცამეტი წელი და ქართული კულტურის ეს უნიკალური კერა კვლავ უსახლკაროდაა. არავინ არ შეწუხებულა ჩვენი ტრაგედიით, არავის არ მოსვლია აზრად დახმარების ხელი გაეწვდინა ინსტიტუტისათვის, რომელსაც ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღვის ეროვნული კულტურის წინაშე. რითი უნდა აიხსნას ეროვნული სამეცნიერო კერის ბედისადმი ასეთი გულგრილობა? რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ დამოკიდებულებას – უსულგულობა? დაუდევრობა? სად დაიკარგა ქართველი კაცის ტრადიციული გულმხურვალება გაჭირვებაში ჩავარდნილი თანამოძმის მიმართ, – თანადგომის სურვილი? სოფლად რომ გლეხკაცს სახლი დაეწვებოდა, მთელი სოფელი დადგებოდა ფეხზე და აღადგენდა დამწვარ სახლ-კარს. ჩვენს ინსტიტუტს კი სიტყვიერი თანაგრძნობის გარდა არავითარი დახმარება არ მიუღია. ეროვნული მეცნიერებისადმი დამოკიდებულების ამაზე უფრო მჭევრმეტყველი მაგალითის მოყვანა ალბათ გამიჭირდებოდა.

მეცნიერებაზე და მის მომავალზე მსჯელობისას რატომღაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ქვეყნის სიდუხჭირეზე, მატერიალური სახსრების არარსებობაზე. მინდა შევახსენო იმათ, ვისაც ასე უყვარს თავის მოწონება ჩვენი სახელოვანი წინაპრების სახელებით და ისტორიული პარალელების მოყვანა, თუ რა უმძიმესი მდგომარეობა იყო საქართველოში მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებელი უდიდეს ძალისხმევას ახმარდა გელათის აკადემიის შექმნას და ზრუნავდა სწავლულ ქართველთა მოღვაწეობისათვის საუკეთესო პირობების შექმნაზე.

დადგა დრო, რომ შევახსენოთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც მეცნიერება ქვეყნის ცხოვრების რაღაც უსარგებლო დანამატად მიაჩნია (მას ხომ არავითარი პირდაპირი შემოსავალი ან მატერიალური მოგება არ მოაქვს ქვეყნისათვის!), რომ მეცნიერება, სხვა სულიერ ფასეულობებთან ერთად, ერის კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და რომ კულტურა მხოლოდ პოპ-ვარსკვლავთა კონცერტების აფიშების სიმრავლით როდი განისაზღვრება. ურწმუნოებით აღსავსე ათწლეულების შედეგად მოხდა ცნებათა აღრევა, ფასეულობათა გადაფასება, გამწვავდა სულიერების დეფიციტი. წარიშალა სწორი წარმოდგენები სიკეთესა და ბოროტებაზე, პატიოსნებასა და უკეთურობაზე, წესიერებასა და მზაკვრობაზე. იმისათვის, რათა არ დავკარგოთ სწორი ორიენტირები ქვეყნის აღმავლობისა და დემოკრატიზაციის გზაზე, უნდა აღდგეს ქართველი კაცის ღირსება, დღეისათვის შელახული და შეურაცხყოფილი. ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია, მაგრამ აუცილებელი და გარდუვალი. განა ნორმალურია, რომ როდესაც დღეს ლაპარაკია სიღატაკის ზღვარზე მდგარ საზოგადოების ნაწილზე, ამ სოციალურ ფენაში, ქუჩაში გამოსულ ხელგაწვდილ მათხოვართა შემდეგ, ქართველი მეცნიერები ივარაუდება, ამასთანავე, მეცნიერთა ყველა ფენა – ლაბორანტებიდან მოყოლებული, პროფესორების ჩათვლით. როგორც ჩანს, მათ, ვინც ამერიკისა და ევროპის სტანდარტებით აზროვნებს, არ იციან (ან არ უნდათ რომ იცოდნენ), თუ რა უფსკრულია ქართველ მეცნიერთა და მათი უცხოელი კოლეგების არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ საზოგადოებრივ მდგომარეობაში. ამიტომაც რეფორმების ჩატარების დროს სრულიად აბსურდულად ჟღერს მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითების მოხმობა.

დღეს წყდება ქართული მეცნიერების მომავლის ბედი. მისი პერსპექტივების დასახვის დროს ერთი უმთავრეს პირობათაგანია მეცნიერების განვითარების უწყვეტობა, მრავალწლიანი გამოცდილების, სამეცნიერო მიღწევების მემკვიდრეობითობა. ჩვენ ვდგავართ ამ მემკვიდრეობითობის დაკარგვის საფრთხის წინაშე. დრომ მოიტანა რეფორმების აუცილებლობა, მაგრამ რეფორმებმა უნდა დაგვანახოს მკაფიოდ გამოკვეთილი სტრატეგიის არსებობა, რომელიც გასაგები და მისაღები იქნება პირველ რიგში სამეცნიერო საზოგადოებისათვის. არცერთი ცივილიზებული ქვეყანა არ დაუშვებდა ამ სფეროში ზუსტად ჩამოყალიბებული იდეის არარსებობას. არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოში არ არსებობს საღი აზრი, რომელიც სწორად განჭვრიტავს კულტურაში, კონკრეტულად, მეცნიერებაში არსებულ ვითარებას, ვერ დაინახავს იმ საშიშროებას, რომლის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ.

ჩვენ დავიღალეთ ნათელი მომავლის აუსრულებელი იმედებით. სამეცნიერო მუშაობა, როგორც ნებისმიერი შემოქმედება, საჭიროებს დამშვიდებულ, საღ გონებას, ხვალინდელი დღის რწმენას, იმის შეგნებას, რომ შენი საქმიანობა აუცილებელია ქვეყნისათვის. ქართველი მეცნიერები უნდა გრძნობდნენ მათი შრომის საზოგადოებრივ აუცილებლობას, უნდა გაქრეს საშიში სინდრომი – ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის არაპრესტიჟულობის შეგრძნება. იმედია, ქართულ მეცნიერებას გამოუჩნდებიან ქომაგები, რომლებიც ეროვნულ კულტურაზე ზრუნვას გამოხატავენ არა მაღალფარდოვანი დეკლარაციებით, არამედ რეალური საქმეებით და ეროვნული მეცნიერების განვითარებას ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთ პრიორიტეტად აქცევენ.

ქართული მეცნიერების გარდაქმნის პროცესი გარდუვალია, მაგრამ ცვლილებების განხორციელება წუთიერ შედეგებზე კი არ უნდა იყოს გათვლილი, არამედ მომავლის კარგად გააზრებულ პერსპექტივებს უნდა ითვალისწინებდეს. ჩვენ არ გვაქვს ამ სფეროში შეცდომების დაშვების უფლება, რადგან მათი შედეგები შეუქცევადი იქნება და შთამომავლობა ამას არ გვაპატიებს. ქართული მეცნიერება ძლიერი ქართული სახელმწიფოს განუყოფელ, ორგანულ ნაწილად უნდა იქცეს.

ᲙᲘᲢᲘ ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

სერგეი ლავროვი: პუტინის რეფორმები დასავლეთს არ ეხება



ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა „რუსეთის საშინაო საქმე“ უწოდა იმ ადმინისტრაციულ რეფორმებს, რომელთა განხორციელების შესახებაც პარასკევს გამოაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა.

რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა ასეთი განცხადებით თავისებური პასუხი გასცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს, რომელმაც „რეიტერის“ სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „ვაშინგტონს კარგად აქვს შეგნებული, რომ აუცილებელია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ჩვენთვის დაუშვებელია, რომ ეს ბრძოლა მიმდინარეობდეს დემოკრატიული რეფორმების საზიანოდ“.

„გაოცებას იწვევს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ასეთი შეშფოთების მიუხედავად, ამერიკის ხელისუფლება ცდილობს მსოფლიოს შესთავაზოს დემოკრატიული რეფორმების განხორციელება ერთიანი ნიმუშით“, – მოჰყავს ლავროვის სიტყვები „იტარ-ტასის“ სააგენტოს.

ლავროვმა აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს აქვს საკუთარი გამოცდილება უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში და ამ გამოცდილებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ აუცილებელია დაბალანსებული მიდგომა ამ პრობლემისადმი.

როგორც საერთაშორისო მიმომხილველები იტყობინებიან, რუსეთში პოლიტიკური მოწყობის რადიკალური გარდაქმნისათვის გამიზნული პუტინისეული გეგმები სრული მოულოდნელობა იყო ამერიკის ადმინისტრაციისათვის.

გასულ კვირას ბუშის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისმა, სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა ბესლანში მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ იმსჯელეს თავიანთ რუს კოლეგებთან ერთად და გამოთქვეს სოლიდარობა, თუმცა, რუსეთის წარმომადგენელთაგან არავის უთქვამს თუნდაც ერთი სიტყვა პუტინის ასეთი განზრახვის შესახებ.

გასულ კვირას შეერთებული შტატების ზოგიერთმა ოფიციალურმა პირმა გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ პუტინი „ბესლანის ტრაგედიას იყენებს ავტორიტარიზმის ახალი ტალღის გასამართლებლად“.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკელთა შეშფოთებას, უწინარეს ყოვლისა, იწვევს რუსეთის მიერ გაკეთებული განცხადება შესაძლო პრევენტიული აქციების შესახებ, განსაკუთრებით კი იმის პერსპექტივა, რომ მოსკოვმა შეიძლება გამოიყენოს წინმსწრები დარტყმების მიყენებაზე დაფუძნებული ბუშის დოქტრინა და „სამხედრო კონტროლი აღადგინოს იმ მეზობელ ტერიტორიებზე, სადაც დიდი რაოდენობით ცხოვრობს რუსი მოსახლეობა“.

სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა რიჩარდ ბაუჩერმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ პუტინის მიერ გამოცხადებულმა პოლიტიკური გარდაქმნის გეგმამ ვაშინგტონში „შეშფოთება“ გამოიწვია. „საზარელი ტერორისტული აქტი, რომელიც რუსეთში მოხდა გასულ კვირას, ყოვლად გაუმართლებელია, – შენიშნა ბაუჩერმა, – ჩვენ კვლავ ვუცხადებთ სამძიმარს რუსეთის ხალხს და ვადასტურებთ, რომ მზად ვართ რუსეთთან ერთად ვითანამშრომლოთ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ შევისწავლით ვლადიმერ პუტინის მიერ გამოცხადებულ ღონისძიებებს, ვაპირებთ ისინი განვიხილოთ რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად“.

მსგავსი განცხადებები გააკეთეს ევროპის წარმომადგენლებმაც. ევროპის კომისიამ მოუწოდა ვლადიმერ პუტინს, დაიცვას დემოკრატია და ადამიანის უფლებები. უშიშროების სტრუქტურების რეფორმა რუსეთის საშინაო საქმეა, მაგრამ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა აუცილებელია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც ებრძვის ტერორიზმს, აღნიშნეს ევროკავშირის წარმომადგენლებმა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეთაურად წარდგენილი კანდიდატი „დამოუკიდებელი ვერ იქნება“

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების სენატის დაზვერვის საქმეთა კომიტეტის წევრმა დემოკრატიული პარტიისაგან განაცხადა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის პოსტზე წარდგენილი კანდიდატი პორტერ გოსი მჭიდროდ არის დაკავშირებული თეთრ სახლთან.

სენატორმა ჯეი როკფელერმა სენატში გამართულ მოსმენაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ კონგრესმენი გოსი ვერ იქნება ისეთი დამოუკიდებელი ფიგურა, რომელიც შეძლებს სადაზვერვო სამსახურებისადმი ნდობის აღდგენას.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სპეციალური სააგენტოები მკაცრად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების თავიდან აცილება.

გოსმა კომიტეტს განუცხადა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ამერიკის უშიშროების განმტკიცებისთვის. როგორც მოელიან, გოსს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეთაურის პოსტზე მომავალ კვირას დაამტკიცებენ. იგი შეცვლის ჯორჯ ტენეტს, რომელიც გადადგა 11 სექტემბრის მოვლენების გამომძიებელი კომისიის მოხსენების გამოქვეყნების წინ. კომისიის წევრებმა შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურები სერიოზული შეცდომების დაშვებაში დაადანაშაულეს.

გლობალურ დათბობას ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს ღონისძიებები ატმოსფეროში სათბურის გაზის გამოფრქვევის შემცირების მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო კატასტროფის წინაშე დადგება.

ლონდონის უაიტჰოლის საბანკეტო დარბაზში ბიზნესისა და მრეწველობის წამყვანი მოღვაწეების წინაშე გამოსვლისას, ტონი ბლერმა თქვა, რომ ბრიტანეთმა ამ საქმეში მაგალითი უნდა მისცეს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს. გლობალური დათბობის შედეგები იმდენად სერიოზულია, რომ ამან, შესაძლოა, შეუქმნას საფრთხე თვით კაცობრიობის არსებობას, მიაჩნია ტონი ბლერს.

„სათბობის გაზის გამოფრქვევა, რომელიც თან ახლავს ინდუსტრიალიზაციას და ამ ბოლო 200 წლის განმავლობაში პლანეტის მოსახლეობის საერთო რიცხვის 6-ჯერ გადიდებას, იწვევს გლობალურ დათბობას, რომელიც შემაშფოთებელი ტემპით იზრდება და ახლო მომავალში, შესაძლოა აღარ დაემორჩილოს კონტროლს. საქმე ეხება არა ათწლეულებს, არამედ მომავალი და, შესაძლოა, თვით ახლანდელი თაობის სიცოცხლესაც კი“, – თქვა ბრიტანეთის პრემიერმა.

ტონი ბლერმა აღიარა, რომ ეს რთული შიდაპოლიტიკური და საერთაშორისო-პოლიტიკური საკითხია, თუმცა, დასძინა, რომ ისარგებლებს მომავალ წელს ბრიტანეთის თავმჯდომარეობით „რვა ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოს“ კლუბში და არ დაიშურებს ძალისხმევას იმისთვის, რომ დაარწმუნოს სხვა ქვეყნები, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს საკითხი.

იაპონიაში ყვავილების მუსიკას ისმენენ

ᲛᲔᲑᲐᲚᲓᲔᲔᲑᲘ უკვე კარგა ხანია ამტკიცებენ, რომ ყვავილებთან საუბარი დადებით ზემოქმედებას ახდენს მცენარეების განვითარებაზე.

მაგრამ ახლა იაპონიაში გამოიგონეს მოწყობილობა, რომელიც ყვავილებს მისცემს მუსიკის მეშვეობით პასუხის გაცემის შესაძლებლობას.

ხელსაწყოს, რომელიც გამოიგონა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობათა დამამზადებელმა „Let's Corp“ კომპანიამ, ეწოდება „კა-ონი“, რაც იაპონურად „ყვავილების ხმას“ ნიშნავს. იგი შედგება მაგნიტისა და ყვავილის ქოთნის ფსკერზე დადებული კოჭისაგან.

„კა-ონი“ მიერთებულია კომპაქტდისკების ფირსაკრავთან, ტელევიზორთან ან სტერეოსისტემასთან და გამოსცემს ხმებს მცენარეების ღეროებისა და ფოთლებიდან.

„კა-ონი“ გამოიყენება ქორწილებისა და კონცერტების დროს ყვავილების კომპოზიციების გასახმოვანებლად. კომპანიის ხელმძღვანელი მასუმი გოტო აცხადებს, რომ ახალი გამოგონება კეთილმყოფელ გავლენას ახდენს მცენარეების ზრდაზე, სპობს მავნებლებს და ახანგრძლივებს ყვავილების სიცოცხლეს.

ბრაზილია „ჰაკერთა თავშესაფარი“ გახდა

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ გახდა მსოფლიო ჰაკერობისა და ინტერნეტ-თაღლითობის ცენტრი. ასეთი დასკვნა გამოიტანეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ექსპერტებმა, რომლებიც შეიკრიბნენ სამხრეთ ამერიკის ამ სახელმწიფოს დედაქალაქში, რათა გამონახონ ელექტრონულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საშუალებები.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 500-ზე მეტი ექსპერტი მონაწილეობს კიბერნეტიკული უკანონობის წინააღმდეგ მებრძოლ გამომძიებელთა პირველ საერთაშორისო კონფერენციაში.

ფედერალური პოლიციის გამომძიებელთა აზრით, ბრაზილია არის ის ქვეყანა, რომელშიც იქმნება ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის საიტების ორი მესამედი. იმ თანხის ოდენობა, რომელსაც ბრაზილიის მცხოვრებლები კარგავენ ინტერნეტში ფინანსური მაქინაციების გამო, აღემატება ბანკების „ტრადიციული“ ძარცვის შედეგად დანაკარგებს.

ამ სტატისტიკას ეთანხმებიან მთელი მსოფლიოს ექსპერტები. ისინი აღნიშნავენ, რომ ბრაზილიაში შარშან „გატეხეს“ 96 ათასი საიტი, რაც ექვსჯერ და მეტად აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

კიბერნეტიკულ დანაშაულობათა „აყვავებას“ ნაწილობრივ უკავშირებენ სუსტ კანონმდებლობას. თვით ბრაზილიაში ჰაკერობა დანაშაულად არ ითვლება და გამოძიების დაწყებისთვის პოლიციამ ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ თაღლითობა ნამდვილად მოხდა.

მრავალი ბრაზილიელი ჰაკერი თავს დამნაშავედ არ თვლის. ისინი აცხადებენ, რომ საიტების „გატეხვა“ უფრო ინტელექტუალური თამაშია, ვიდრე ძარცვა.

შარშან ჰაკერების მთავარი სამიზნე ამერიკული საიტები იყო.

მოკლედ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს აბსურდული სარჩელების აღძვრას. საქმე ეხება იმ შემთხვევებს, როცა მოქალაქეები სასამართლოში უჩიოდნენ მეტეოროლოგიურ სამსახურებს არასწორი პროგნოზისთვის, ან „მაკდონალდსს“ იმის გამო, რომ მის კაფეში სადილობის დროს, კლიენტს კერძით დაესვარა ტანსაცმელი და მოითხოვდნენ მორალური და ფიზიკური ზარალის ანაზღაურებას. ახლა ასეთი აბსურდისათვის ადვოკატებს დასჯიან.

* * *

ᲔᲠᲐᲧᲨᲘ საომარი მოქმედების დაწყების დღიდან დაიღუპა 1018 და დაიჭრა 7245 ამერიკელი ჯარისკაცი. ეს ოფიციალურად გამოაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა. მარტო გასულ კვირას პარტიზანული თავდასხმების შედეგად დაჭრეს 219 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, რომელთაგან 138-მა მძიმე ჭრილობები მიიღო.

* * *

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ „ივანი“ ხუთშაბათისთვის მიაღწევს შეერთებული შტატების სანაპიროს. გრიგალი თავს დაატყდება ლუიზიანის, მისისიპის, ალაბამისა და ფლორიდის შტატებს. ხელისუფლება ათიათასობით ადგილობრივ მცხოვრებს უსაფრთხო ადგილებში გადაბარგებას ურჩევს. გრიგალმა უკვე იმსხვერპლა 70-ზე მეტი კაცი, ყველაზე მეტად დაზარალდნენ გრენადისა და იამაიკის მცხოვრებლები.

* * *

ᲰᲘᲛᲐᲚᲐᲘᲡ მთებში იპოვეს 20 წლის წინათ უგზოუკვლოდ დაკარგული ტურისტების გვამები. ორი დაღუპული ამოიცნეს. ესენი არიან შვედეთის მოქალაქე, 19 წლის ლიტია მარგოტი და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ვიქტორ ძენი. ეს უკვე დაადასტურეს ინდოეთში შვედეთისა და ამერიკის საელჩოებმა.



* * *

ᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ერთ-ერთმა საროსკიპომ სასამართლოში უჩივლა ქალაქის ადმინისტრაციას. ქალაქის ხელისუფლებამ საროსკიპოს ჩამოართვა ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის უფლება, რაც გახდა კიდეც სარჩელის აღძვრის მიზეზი. საროსკიპო უკვე 14 წელია მოქმედებს და პოლიციამ მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ განახორციელა მასში ჩხრეკა და აღძრა სისხლის სამართლის საქმე პროსტიტუციის გამო.



* * *

ᲝᲠᲘ ამერიკული კომპანია – იარაღის მწარმოებელი და გამყიდველი – თანახმაა გადაიხადონ 2,5 მილიონი დოლარი ვაშინგტონელი სნაიპერის მსხვერპლთათვის კომპენსაციის სახით.

საქმე ეხება ორი წლის წინანდელ მოვლენებს, როცა მოკლეს 10 კაცი. დაღუპულებისა და დაჭრილების ოჯახების წევრებმა სასამართლოში აღძრეს სარჩელი ამ ორი კომპანიის წინააღმდეგ და ისინი დაადანაშაულეს გულგრილობაში, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს გამოიყენეს მათ მიერ წარმოებული იარაღი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ᲖᲐᲖᲐ ᲑᲔᲟᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐ

01 სექტემბერი 2004 წელი ქ. ქუთაისი

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲐᲒᲐ ᲮᲐᲥᲐᲚᲘᲐᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔ ᲠᲐ ᲡᲡ „ᲛᲔᲓᲔᲐᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲙᲝᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ,

ᲓᲐᲕᲐᲓᲒᲘᲜᲔ:

სააქციო საზოგადოება „მედეას“ მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.

სააქციო საზოგადოება „მედეას“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება.

სააქციო საზოგადოება „მედეას“ ქონების მართვის მიზნით დაინიშნოს გაკოტრების მმართველი დავით აპოლონის ძე ფრუიძე, დაბ: 1948 წელს, უმაღლესი განათლებით, მცხ. ქ. ქუთაისი, ბუხაიძის ქ. № 4/36.

გაკოტრების მმართველმა დაუყოვნებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა, სს „მედეას“ ქონება და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი.

განემარტოს გაკოტრების მმართველს, რომ იგი პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის და რომ მას დაეკისრება ზარალის ანაზღაურება სრული ოდენობით, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზარალი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული.

სააქციო საზოგადოება „მედეას“ ყველა კრედიტორს დაევალოს 2004 წლის 01 ნოემბრამდე წარმოადგინოს სასამართლოში თავიანთი მოთხოვნები თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. განემარტოს ყველა კრედიტორს, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

ყველა იმ პირს, რომელსაც სს „მედეას“ ქონების მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, ევალება 2004 წლის 01 ნოემბრამდე განაცხადოს გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ.

პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალი მოვალის, სს „მედეას“ ქონების მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, ეკრძალება ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება და ევალება მისი შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.

გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დღედ და საათად განისაზღვროს 2004 წლის 01 სექტემბრის 16 საათი.

კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებლად მოწვეულ იქნას კრედიტორთა კრება 2004 წლის 11 ნოემბერს 12 საათზე, ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რის შესახებაც ეცნობოს კრედიტორებს.

გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს „მედეას“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.

განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში.

განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ამავე სასამართლოში 12 დღის ვადაში მისი გამოქვეყნების დღიდან.

ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲐᲒᲐ ᲮᲐᲥᲐᲚᲘᲐ.

◉ სიმართლის ძიებაში

პრეზიდენტი გვიშველის, — იმედი აქვთ მხატვრებს

თორმეტ წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ მხატვრებს თავისი სამყოფელი თავზე ჩამოაქციეს – იგი 1991-92 წლებში თბილისის ომს შეეწირა. ომმა იმსხვერპლა შენობა, რომელშიც დაიწვა საგამოფენო დარბაზები, შემოქმედებითი სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, სტამბა, არქივი, კაფე, რესტორანი, საცავები, ქართველ მხატვართა უამრავი ნამუშევარი. არადა, უფროსი და საშუალო თაობის ქართული ხელოვნების დამფასებლებს კარგად ახსოვთ, რომ „მხატვრის სახლი" კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და ქართული სახვითი ხელოვნების აღმავლობის ხანა სწორედ მასთან იყო დაკავშირებული, სადაც მრავალ თაოსნობას და ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. აქ დაბინავებულ მხატვართა კავშირს კი, როგორც მხატვრები ამბობენ, ოქროს ხანა ედგა.

სახლის განადგურებამ არა მარტო მატერიალური, არამედ დიდი მორალური ზიანი მიაყენა მხატვრებს. ისინი ამ შენობაში 1976 წლიდან სახლობდნენ, როცა საქართველოს მთავრობის დადგენილებით საკავშირო ტურიზმის სამმართველოს კუთვნილი „ინტურისტის" შენობა (რუსთაველის გამზირი № 7) მათ ბალანსზე გადაეცათ.

ხანძარს მხოლოდ შენობის კედლები გადაურჩა. სახლის აღდგენა შეიძლებოდა, მაგრამ მხატვართა კავშირს მისი რესტავრაციისთვის სახსრები არ გააჩნდა. ამიტომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მოინდომეს ტერიტორიის ხელში ჩაგდება. შენობის გადარჩენილი კედლები დაშალეს, აგურ-აგურ გაიტანეს და საშენ მასალად გამოიყენეს – როგორც ამბობენ, პირველი საშუალო სკოლის მშენებლობაზე მოიხმარეს.

დრომაც დაალალატა მხატვრები, რაც ხანი გადიოდა, მათი სატკივარი მით უფრო იზრდილებოდა. მოვლენები ცუდად განვითარდა. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილებით (1994 წ. 24. II) დარჩენილი შენობის ნანგრევები მიწის ნაკვეთიანად, რომლის საერთო ფართი 4600 კვ. მეტრია, საკუთრების უფლებით „თბილისი სიტის" გადაეცა. 1997 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი იგი გადაელოცა სს „თბილისის უძრავი ქონების კომპანიას", რომლის დამფუძნებელიც სწორედ „თბილისი სიტი" იყო, თანაც 99 წლით (!), იჯარის ხელშეკრულების პირობის საწინააღმდეგოდ და ამასთანავე, კომპანია 20 წლით თავისუფლდებოდა იჯარისგან.

„მხატვრის სახლი" წარმოადგენდა ისტორიულ-კულტურულ ფასეულობას. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" დადგენილი წესით პრივატიზებას არ ექვემდებარება ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები... კანონით არც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტებით დაკავებული მიწის ნაკვეთების პრივატიზება შეიძლებოდა, მათ შორის იმ ნაკვეთებისა, რომლებზეც განლაგებულია სახელმწიფო ქონება. მაშასადამე „მხატვრის სახლი", როგორც კულტურული ფასეულობა, აღდგენას ექვემდებარებოდა, – ამბობს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გიორგი ჯანბერიძე.**

ამ უკანონობის საპასუხოდ ქართველმა მხატვრებმა 2003 წლის 24 თებერვალს წერილობით მიმართეს თბილისის საკრებულოს მაშინდელ თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს, აუხსნეს თავიანთი გასაჭირი და უკანონობის აღკვეთა სთხოვეს. მიხეილ სააკაშვილმა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ოქრუაშვილის დასკვნის საფუძველზე დააკმაყოფილა მხატვართა თხოვნა და „თბილისი სიტის" საქმიანობის განხილვის შედეგად 2003 წლის 18 მარტს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის ყველა უკანონო გადაწყვეტილება, რითაც მას მხატვრის სახლის ტერიტორია გადაეცა, ბათილად ცნეს.

ტერიტორიის დასაკანონებლად მხატვრებს დიდი ჯაფა დაადგათ. სასამართლო პროცესები მოიგეს ჯერ თბილისის საოლქო სასამართლოში, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში. 2004 წლის 17 ივნისს უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა: **„საქართველოს მხატვართა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირი" ცნობილი იქნეს თბილისში, რუსთაველის გამზირის № 7-ში მდებარე მის ბალანსზე აღრიცხული ქონებისა და 4600 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება".**

გაიხარეს მხატვრებმა. მათ მიიჩნიეს, რომ საქართველოს მთავრობისგან ეს იყო ქართული კულტურის მხარდამჭერი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მაგრამ, სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მოდავედ ახლა ეკონომიკის სამინისტრო იქცა, – დღეს იგი ქონების მართვის სამინისტროს ფუნქციასაც ასრულებს. მისი აზრით, „მხატვრის სახლის" ტერიტორია უძრავი ქონებაა და ამდენად, სახელმწიფოს საკუთრებაა, ამიტომ თვლიან, რომ უზენაესმა სასამართლომ ეკონომიკის სამინისტროს გარეშე გამოტანილი გადაწყვეტილების მიღებით დაარღვია სახელმწიფო ინტერესები და უზენაეს სასამართლოსვე მიმართეს, რათა წარმოებაში ხელახლა დააბრუნოს საქმე. ამის შესახებ მხატვრებმა ეკონომიკის სამინისტროდან გამოგზავნილი წერილით შეიტყვეს და გაოგნდნენ – როცა ახალი გარემოებები არ არსებობს, რატომ უნდა გადაისინჯოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ან სად იყო თავის დროზე სამინისტრო, როცა ეს სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა. მხატვრებმა ისიც შეიტყვეს, რომ ამჯერად ეკონომიკის სამინისტროს ამოფარებულია შპს „ჯი-ემ-თი უძრავი-ქონება", რადგან სამინისტრო უზენაეს სასამართლოში გაგზავნილი განცხადების ასლს სწორედ მას უგზავნის. თანაც, აღარ წყდება იმაზე საუბარი, რომ მათ კუთვნილ ტერიტორიაზე სასტუმროები ან ოფისები უნდა აშენდეს.

ახლახან მხატვართა კავშირმა 805 მხატვრის ხელმოწერით საქართველოს პრეზიდენტს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნულია: **„სამწუხაროა, რომ გამოჩნდნენ გარკვეული ძალები, ვინც მოწადინებულია მოახდინოს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზია, მათ შორის არიან ისინი, ვისაც ეკისრება, სრული პასუხისმგებლობა დანაშაულებრივ ქმედებათა გამო...**

სწორედ ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ინტერესების განხორციელებისათვის იბრძვის მხატვართა საზოგადოება, როდესაც ქალაქის ცენტრში „მხატვრის სახლის" ადგილზე გეგმავს დიდი კულტურული ცენტრის – განვითარებული ინფრასტრუქტურის, განახლებული ფუნქციების მქონე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის აგებას, რომლის ფონდებში თავმოყრილი იქნება ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მთელი პოტენციალი.

„მხატვრის სახლზე" ოცნებობდნენ მხატვართა თაობები ფიროსმანიდან დღემდე...

ჩვენი მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით 70 წლის მანძილზე საქართველოში არ აშენებულა სპეციალური სამუზეუმო შენობა...

თბილისის ომის დროს რუსთაველის ან ოპერის თეატრი რომ განადგურებულიყო, იმედი გვაქვს, არავის მოუვიდოდა აზრად მათთვის ტერიტორიის ჩამორთმევა, განსხვავებული დანიშნულების შენობის აგება. ვფიქრობთ, ანალოგიურად უნდა მოეპყრან მხატვრებსაც".

მსოფლიოში არ არსებობს ცივილიზებული ქვეყნის დედაქალაქი, რომ არ ჰქონდეს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ვრცელი მუდმივი ექსპოზიციის უქონლობა ქართულ ხელოვნებასთან ერთად სახეს უკარგავს და ჩრდილს აყენებს ჩვენს ერსაც და ქვეყანასაც. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის მნიშვნელობას განსაზღვრავს მისი უნიკალური ფონდები, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ჭეშმარიტი საგანძური, – ასე ფიქრობენ მხატვრები, ასე ფიქრობს ყველა, ვისაც ქართული კულტურის ბედი აღელვებს.

მხატვრებს ისევ პრეზიდენტის სამართლიანობის იმედი აქვთ.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

◉ გამოხმაურება

კავკასია ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

დისკუსიისთვის გამიზნულმა ელბერდ ბატიაშვილის სტატიამ („რას უქადის რუსული იმპერიალიზმი კავკასიას", „საქართველოს რესპუბლიკა", 1/IX.2004 წ.) ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთი მხრივ, დაყენებული პრობლემის სითამამით და სიღრმით, მეორე მხრივ კი, არგუმენტირებული პოლიტოლოგიური ანალიზით. მართლაც, ავტორისა არ იყოს, ბევრს შეიძლება კავკასიის ერთობის იდეა ფანტაზიად ეჩვენოს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: რუსეთის ნეოკოლონიალიზმი, კავკასიელებისადმი მისი დაუფარავი სიძულვილი და განუკითხაობა, რაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა ბესლანის სისხლიანი ტრაგედიის დროს, თავისებური კატალიზატორის როლს ასრულებს კავკასიელთა ფსიქიკაში ერთიანი ისტორიული ბედის შეგრძნების ფორმირებაში.

ეს არის, ჩემი აზრით, მთავარი მომენტი, რომელიც, ადრე თუ გვიან, რეალურს გახდის კავკასიელ ხალხთა ერთობას იმპერიულ ძალთა იმ ასიმილატორულ მცდელობათა აღსაკვეთად, რომელიც კავკასიელთა თვითმყოფადობას ემუქრება საუკუნეთა განმავლობაში. ვიმეორებ, ეს მთავარი და ძირითადი მომენტია, რამეთუ ხალხის ცხოვრებაში გადამწყვეტი სწორედ ფსიქიკური, სულიერი ფაქტორებია და არა უხეში ფიზიკური ძალა, რომლითაც ცდილობენ კავკასიელ ხალხთა თავისუფლებისმოყვარე სულის ჩახშობას. სტატიაში ბატონ ელბერდს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავს საილუსტრაციოდ, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მან ჯერ კიდევ ერთ თავის ადრეულ დისიდენტურ ნაშრომში („იმპერიის ისტორიული ბედი") 30 წლის წინათ განავითარა და რომლებიც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ პრაქტიკულადაც დაადასტურა. იმპერია ხშირად იცვლის არსებობის ფორმებს, როგორც იტყვიან „ტყავს", მაგრამ მისი შოვინისტური და დიდმპყრობელური არსი, როგორც წესი, უცვლელი რჩება.

ჩვენს შემთხვევაშიც რუსეთის იმპერიულ მისწრაფებებში სადღეისოდ არაფერი არ შეცვლილა. „ბოროტების იმპერია" ბოროტების იმპერიად დარჩა... დამაჯერებელი ისტორიული არგუმენტებით ამტკიცებს ამას ბატონი ელბერდი, მაგრამ, ჩემი აზრით, იმპერიული სულის გასაშიშვლებლად და ერთდროულად, კავკასიელ ხალხთა ერთობისა და სოლიდარობის განსამტკიცებლად აუცილებელია ისტორიის გარდა, წმინდა ლინგვისტური ფაქტორების მოშველიებაც.

კავკასიელ ხალხთა ერთობის ხაზგასასმელად სტატიაში გაკვრით არის მოხსენიებული იბერიულ-კავკასიურ ენათა არგუმენტიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ არგუმენტს მეტი თეორიული კვლევა და პრაქტიკაში გათვალისწინება სჭირდება, **„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს"**, წერს პოეტი და მართლაც, რუსული კოლონიალიზმის ერთ-ერთი მთავარი იარაღი ყოველთვის იყო რუსული ენის გაბატონება კავკასიაში. მისმა ამ ცდებმა გარკვეულ მიზანს კიდეც მიაღწია. მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში მან, ფაქტობრივად, რუსული ენის განუყოფელი ბატონობა დაამყარა. თვით კავკასიურ-იბერიულ ენათა ჯგუფის მეცნიერული კვლევაც კი მეორეხარისხოვან საქმედ იქცა. ამიტომ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი თავიდანვე ცდილობდა თბილისის უნივერსიტეტი ამ კვლევის ცენტრად გადაექცია. მან არნოლდ ჩიქობავასთან ერთად ჩამოაყალიბა ქართველ მეცნიერ-ლინგვისტთა სკოლა, რომელსაც ეს დიდი საერთო-კავკასიური მისია დაეკისრა. ეს სკოლა აერთიანებდა არა მარტო ქართველ მეცნიერებს, არამედ მასში კავკასიელი ხალხების არაერთი წარმომადგენელიც ერთიანდებოდა. ივ. ჯავახიშვილის მიერ დამკვიდრებული ეს ტრადიცია დღეს თითქმის დაიკარგა.

დადგა დრო, რომ უფრო მეტი ყურადღება და ძალისხმევა დაეთმოს დიდი ივანეს მიერ დაწყებულ ამ საქმეს. ვფიქრობ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ტრადიციის გაგრძელების სახით უნდა ჩამოყალიბდეს კავკასიოლოგიის სპეციალური ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფში შემავალ ყველა ენის და კავკასიელი ხალხების ისტორიის შემსწავლელ კათედრებს და მათ შესაბამის სპეციალობებს. გარდა შემეცნებით და მეცნიერული ღირებულებისა, ამას ექნება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულებაც: კავკასიელ ხალხებში გაიზრდება და განმტკიცდება ერთიანი ისტორიული ბედის შეგნება, რომელზეც ზევით იყო ლაპარაკი. კიდევ უფრო გამოკვეთილ ხასიათს მიიღებს შესატყვისი პოლიტიკური მიზანსწრაფვაც. ეს დღევანდელი ქართული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გახდეს.

გადავხედოთ კავკასიისა და შავიზღვისპირეთის ლინგვისტურ რუკას: ლაზისტანიდან დაწყებული, დაღესტნამდე ეს ვრცელი სივრცე მსოფლიო ენებსა და დამწერლობებს შორის ერთ-ერთი თვითმყოფადი და, ამავე დროს, ყველაზე ნაკლებად შესწავლილი არეალია. ამ „თეთრი ლაქების" შესწავლა, მეცნიერული ანალიზი და მათგან სათანადო დასკვნების გამოტანა მეტ ნათელს მოჰფენს კავკასიურ ფენომენს როგორც ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ისე განსაკუთრებით აწმყოსა და მომავლის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მიზანმიმართული და ორგანიზებული ხასიათი მიეცეს ამას.

მაგრამ მარტო ხელისუფლება ვერაფერს გააკეთებს, თუ მთელი ჩვენი საზოგადოება არ გააქტიურდა ამ მიმართულებით. ეს, რა თქმა უნდა, ინტელიგენციას ეხება უპირველესად. ჩვენი მხრივ, რუსთაველის საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ თსუ პოლიტოლოგიურ ცენტრთან ერთად მოაწყოს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე – **„კავკასია და კავკასიელები: წარსული, აწმყო, მომავალი".** მის მომზადებასა და გამართვაში შევეცდებით ჩავაბათ კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლებიც. კავკასიურ პრობლემებზე, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ჩვენ, კავკასიელებმა უნდა ვიფიქროთ, ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ და ამასთან, გადავწყვიტოთ კიდეც ეს პრობლემები.

ამ მხრივ შესანიშნავი იდეა მოგვცა ამას წინათ პრეზიდენტმა პუტინმა, პირდაპირ უკეთესს ვერც ვინატრებდით „ევრაზიურ ბალკანეთად" გადაქცეული კავკასიისთვის: თურმე ნუ იტყვით, ჩეჩნეთისა და სამხრეთ ოსეთის, ანდა, აფხაზეთის პრობლემების ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება. ვინც ამას აკეთებს და რუსეთს „ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაში" სდებს ბრალს, დიდ მკრეხელობას და ცოდვას სჩადის! რატომ, არ იკითხავთ?! – იმიტომ, რომ ჩეჩნეთში რეფერენდუმი „ჩაატარეს" და ჩეჩენმა ხალხმა რუსეთის ფედერაციაში დარჩენა და რუსეთთან ერთად „ძმური" ცხოვრება გადაწყვიტა, აფხაზებმა და ოსებმა კი ამ „რეფერენდუმებით" საქართველოსგან განდგომა და რუსეთთან შეერთება მოისურვეს! უკეთეს იურიდიულ თაღლითობას კაცი ვერც მოიფიქრებს...

მაგრამ ამასაც იტყვიან ხოლმე, – რასაც კაცი თავის თავს უზამსო... და ჩვენც დიდი სიამოვნებით ვიღებთ კავკასიელ ხალხებში რეფერენდუმის მოწყობის იდეას და ჩვენს მიერ განზრახული საერთო-კავკასიური კონფერენციის ერთ-ერთ ძირითად რეკომენდაციადაც მოვიაზრებთ მას, ოღონდ ერთი აუცილებელი წინაპირობით:

ეს რეფერენდუმი უნდა მოაწყონ არა ბატონმა პუტინმა და მისმა კავკასიურმა მარიონეტებმა, არამედ რეფერენდუმი უნდა გაიმართოს ევროკავშირის ეგიდით და საერთაშორისო დამკვირვებელთა მონიტორინგით. მაშინ ვნახავთ სძულთ თუ უყვართ კავკასიელთა დიდზე დიდ უმრავლესობას კავკასიელ ხალხთა სისხლში ამოსვრილი რუსეთის იმპერია და მისი თანამედროვე მესვეურები!

ღმერთმა ქნას, რომ რეფერენდუმით გადაწყდეს კავკასიის მომავლის პრობლემა, მაგრამ სანამ რუსეთის იმპერიული პოლიტიკა არსებობს და მისი დიდმპყრობელური შოვინისტური სული, მოვლენათა განვითარების ეს ცივილიზებული და სასურველი გზა და საშუალება ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა, არც გამორიცხული, თუ იმპერიული ამბიციებისაგან თავისუფალი ახალი პოლიტიკური ძალები – ე. წ. „ზაპადნიკები" მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. მანამდე კი ჩვენი, კავკასიელი ხალხების ყველაზე მთავარი იარაღი კავკასიელთა ერთობა და სოლიდარობაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ კავკასიელები, როგორც ილია ამბობს, „ქართველის დედაში", – „კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთის ფიქრსა ფიქრობს... და ეს ფიქრია მთელი კავკასიის თავისუფლება". მე ვეთანხმები ბატონ ელბერდს, რომ ილიას ეს დრამატული პოემა უნდა ითარგმნოს კავკასიელ ხალხთა ყველა ენაზე და განსცენიერდეს. ეს იქნება ყველაზე ეფექტიანი პასუხი „გათიშე და იბატონეს" იმპერიულ პოლიტიკაზე...

მიხეილ ქურდიანი,
პროფესორი, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი.

ყურადღება! კონკურსი

შპს „საქართველოს ფოსტა" აცხადებს კომერციულ კონკურსს შემდეგ საერთაშორისო ფორმებისა და ბლანკების დაბეჭდვაზე:

1.	CN16	2250 ცალი;
2.	CN31	7650 ცალი;
3.	CN33	7650 ცალი;
4.	CN37	14500 ცალი;
5.	CN38	27650 ცალი;
6.	CN43	4500 ცალი;
7.	CN47	4500 ცალი;
8.	CN34	1500 ცალი, წითელი;
9.	CN34	1500 ცალი, ლურჯი;
10.	CN34	1500 ცალი, თეთრი;
11.	CN35	1500 ცალი, წითელი;
12.	CN35	1500 ცალი, ლურჯი;
13.	CN35	1500 ცალი, თეთრი;
14.	CN36	1500 ცალი;
15.	CN36	1500 ცალი;
16.	CN36	1500 ცალი;
17.	CN55	750 ცალი;
18.	CN94	500 ცალი;
19.	იარლიყი ფ-10,	7650 ცალი;
20.	იარლიყი ფ-17,	1200 ცალი;
21.	საწარმოო ფორმა	4500 ცალი;
22.	აქტი ფ51-ა.	200 ცალი.
23.	ბლანკი „ტიტული"	2000 ცალი;
24.	ბლანკი „ბრძანება"	2000 ცალი;

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს (პრეტენდენტებს) გადაეცემათ პაკეტი აღნიშნული საერთაშორისო ფორმებისა და ბლანკების ნიმუშებით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო განაცხადი დალუქული კონვერტით. კონვერტში წარმოდგენილი უნდა იყოს:

1. პრეტენდენტის დასახელება და რეკვიზიტები;
2. წესდების ასლი;
3. მ. წ. სექტემბრის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
4. განაცხადი-თანხმობა კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე;
5. ხელშეკრულების პროექტი სათანადო ფასების (თითოეულ ფორმაზე, ბლანკზე და მთლიანად), გადახდის პირობების და შესრულების ვადის გათვალისწინებით.

შენიშვნა: კონვერტის გახსნის დროს, რომელიმე აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი მოიხსენება კონკურსში მონაწილეობიდან.

საკონკურსო განაცხადების მიღება და პრეტენდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს **მ.წ. 20 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე, დილის 10 სთ-იდან 17 სთ-მდე,** მისამართზე: **თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2, მე-3 სართული, შპს „საქართველოს ფოსტის" ცენტრალური ოფისის, კანცელარია.**

კონკურსი ჩატარდება **მ.წ. 01 ოქტომბერს, 14 სთ-ზე,** მისამართზე: **თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2, შპს „საქართველოს ფოსტის" ცენტრალური ოფისი.**

საერთაშორისო ფორმებისა და ბლანკების ნიმუშების პაკეტის მისაღებად გთხოვთ მოგვმართოთ ზემოაღნიშნულ მისამართზე, კანცელარიაში, მ. წ. 28 სექტემბრის 17 სთ-მდე.

საკონკურსო კომისია.

◉ რუსთავი - 60

კულტურის დედოფალი

რუსთავის გარიჟრაჟზე, როდესაც ნაქალაქარზე სწრაფად შენდებოდა მეტალურგიული გიგანტი, ახალი სახლები, ქუჩები და მოედნები, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან აქეთ მოეშურებოდნენ ქალიშვილები და ჭაბუკები, რომ მხარში ამოდგომოდნენ ახალი რუსთავის ამღორძინებელთ.

მათ შორის იყო ორი ფოთელი ვაჟკაცი, ორი ძმა, მოჭიდავეთა მსგავსად ჩაფსკვნილნი, ქედძლიერნი, სიკეთითა და სილაღით აღსავსენი – ივანე და როდიონ ტაბაღუები. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს სიჭაბუკის ქალაქის (ასე ეძახდნენ რუსთავს) მრავალფეროვან ცხოვრებაში. იყვნენ სიდიდით გამორჩეულნი, ქვრივობოლთა გამკითხავნი, პურ-მარილიანნი, ქვეყნის ბედზე მოფიქრალნი, მოამაგენი, მოჭირნახულეობით განთქმულნი. სამწუხაროდ, ისინი მალე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, მაგრამ ქალაქს დაუტოვეს ხუთი ვაჟკაცი. შემდეგ იმატა მათმა შთამომავლობამ...

რუსთავის კულტურის განყოფილების გამგე, სიცოცხლით სავსე, მომხიბლავი, ხალისიანი ქალბატონი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ფრიად დაკავებული გახლდათ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის, რომ გულითადად გვესაუბრა. იგი ჩემს კითხვებს საქმის ღრმა ცოდნით, სიყვარულითა და ტაქტით პასუხობს.

რუსთავი თავიდან ლითონის წარმოებით, ქიმიური პროდუქციით, სამრეწველო სიძლიერით და ქვეყნის უძირო ჭურჭლის ბარაქით ამოსავსებად იყო. შემდგომში მოვიდა ახალი თაობა, ახალი ინტელექტი და შესაშური მონაცემებით აღავსო ქალაქის კულტურული ცხოვრება. ორი მათგანი – რუსთავის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და ანსამბლი „რუსთავი" უცნობილესნი გახდნენ, მაგრამ დღეს აქაურობას კულტურის მრავალფეროვნება, ნიჭიერებით გაბრწყინებული შემოქმედება კვლავ ალამაზებს.

– ბატონ მერაბს, ქალაქის მერს ხელოვანთა მიმართ განსაკუთრებული სიყვარული აქვს და ეს წლევანდელი გაზაფხულის დღეთა მრავალმა მუსიკალურმა ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, – ამბობს კულტურის დედოფალი და თვალებს ისე მომაპყრობს, ვხვდები, ეს სულაც არ ნიშნავს უფროსისადმი გუნდრუკის კმევას. მართლაცდა, თუ ქალაქის ხელმძღვანელობამ მხარი არ აგიბა, მარტოხელა ენთუზიაზმით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით ფონს ვერ გახვალ – ქალაქი საკმაოდ აქტიური კულტურით ცხოვრობს. მიუხედავად, ეკონომიკური სიდუხჭირისა, რაც ჩვენი მამა-მარჩენალი საწარმოების უმოქმედობის შედეგია, სულიერება მაინც მაღალია. ჩვენი კულტურის უპირველეს ამოცანად ის მიმაჩნია, რომ მომავალ თაობას ვამცნოთ, ვინ ვართ, რანი ვიყავით, საიდან მოვდივართ, რომ მშობლიურ ფესვებს არ მოსწყდნენ. ის ფესტივალები, რაც სამუსიკო სასწავლებელში გაიმართა, სახალხო დღესასწაულები, ყოვლისმომცველი მუსიკალური ზეიმები, რითაც აღსავსე იყო გაზაფხულის დღეები, ჩვენი ახალგაზრდობის სულის საწვრთნელად იმართებოდა და მომავალშიც...

– ქალბატონი მაია, – სიტყვას ვაწყვეტინებ, რადგან კარგად ვუწყი იმ ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც უნდა ჩამომითვალოს, ისე შორს წაგვიყვანს, ათობით თაბახის ფურცელს შეიწირავს, თითქოს არაფერიო, **– წლევანდელი წელი რუსთავისთვის და არა მარტო ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი თარიღია. უდაბნოდქცეულ ნაქალაქარზე 60 წლის წინათ მოვიდა პირველი მშენებელი, ხოლო ომში გასაწვევად გამზადებული 5 ათასი ჭაბუკი სტალინის გადაწყვეტილებით, მეტალურგიული პროფესიების დასაუფლებლად მიავლინეს მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებში. ეს შემოდგომით აღინიშნება. თქვენი წვლილი როგორი იქნება?**

– დიახ, ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით შექმნილია და ფუნქციონირებს საიუბილეო კომისია, მზადებაც მრავალმხრივ წარიმართება. ასეთი ზეიმების გამოცდილება მართლაც დიდი გვაქვს. ზეიმი წელს რუსთავ-ქალაქობას დაუკავშირდება და ოქტომბერში აღვნიშნავთ. ჩვენ ვგეგმავთ ფრიად სერიოზულ ღონისძიებებს. პირველ რიგში, შევეხმიანებით პირველი თაობის მშენებლებს, მეტალურგებს. საბედნიეროდ, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ჩვენს გვერდითაა, საუკუნეს მიტანებულნი, ახალგაზრდობისთვის ცოცხალ მემატიანეებად, რუსთავის მეისტორიეებად გვევლინებიან. ნიკოლოზ ჭიპაშვილი, ვაჟა გიგიბერია, ვალერიან ვადაჭკორია... კიდევ ბევრნი და ბევრნი. ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის ყურადღების ცენტრში პირველთაობელთა მოფერება,

მაია ტაბაღუა.

მათი ღვაწლის დაფასება-აღიარება იქნება, თუმცა, როგორც ყოველთვის, დღესასწაული სრულიად სახალხო გახდება და მას გაალამაზებენ ჩვენი მუსიკოსები, კომპოზიტორები, ანსამბლები, შემოქმედებითი კოლექტივები. ისინი რომ გამორჩეულნი არიან, ეს ერთხელ კიდევ ვირწმუნეთ წელს გამართულ სამუსიკო სასწავლებელთა საგაზაფხულო ფესტივალის დღეებში.

– ახლაც საინტერესო კულტურის დღეები გამოვიდა...

– დიახ, მოეწყო საგუნდო მუსიკის ფესტივალი, რომელსაც ჩინებული შეფასება მისცეს თბილისიდან სტუმრად ჩამოსულმა პროფესიონალებმა. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი კომპოზიტორები, რომლებმაც მაღალი კრიტერიუმებით გამოავლინეს ფესტივალში გამარჯვებულნი. მათ გულწრფელად აღიარეს, რომ თბილისის სამუსიკო სკოლას რუსთავის სახლით სერიოზული კონკურენტი ჰყავს, რასაც ბატონი ანზორ ერქომაიშვილიც დაეთანხმა.

– ასეთ პატარა ქალაქში, როგორიც რუსთავია, ოთხი სამუსიკო სკოლა და ერთიც ხელოვნების სასწავლებელია.

– ეს ჩვენი მუსიკალური საზოგადოების დიდი დამსახურებაა. მათ უმძიმეს პირობებში, ლამის უხელფასოდ, უანგაროდ გამოიარეს ეს წლები და შეინარჩუნეს პროფესიონალიზმი. ათასობით ახალგაზრდა აზიარეს მუსიკალურ ხელოვნებას, რომელთაგან ბევრმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მათი ღვაწლი მართლაც დაუფასებელია. ისინი არც უშუქობას, არც უხელფასობას, არც ეკონომიკურ სიდუხჭირეს არ შეუშინდნენ. ჩვენი პედაგოგ-მასწავლებლები, მართლაც რომ, გმირულად იბრძოდნენ. მათ ხომ ასობით ახალგაზრდა გამოსტაცეს ქუჩას, და ზრდიან საუკეთესო თაობას. დიახ, მათ შეუძლებელი შეძლეს და მათით უნდა ვიამაყოთ.

ერთი მაგალითი – მესამე სამუსიკო სკოლაში შეიქმნა 50 მოზარდისგან შემდგარი ბიჭუნათა ორკესტრი, რომელთა უმრავლესობა ძნელად აღსაზრდელთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, ისინი ქუჩიდან ავიყვანეთ. იმ ორკესტრს მერია აფინანსებს. მათზე პირადად ზრუნავს ბატონი მერაბი. კიდევ რამდენიმე ასეთი მაგალითის მოყვანა შემიძლია. ან თუნდაც რად ღირს ჩვენი საბიბლიოთეკო სისტემის ადამიანთა თავდადება, როცა მათ არათუ წიგნადი ფონდი, არათუ შენობები, მკითხველიც შეინარჩუნეს. არადა, ყველამ იცის, თუ რას შეადგენს მათი ხელფასი...

ჩემდა საბედნიეროდ, თბილისიდან სტუმრები ჩამოვიდნენ, საქმიანად გაიხმეს ქალბატონი მაია და კვლავ ახალი ღონისძიება?! ჩვენი დიალოგიც აქ შეწყდა. არადა, კიდევ ბევრი სასაუბრო დაგვრჩა.

გივი ჯახუა.

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციის და შრომის დაცვის კათედრის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი – 1 საშტატო ერთეული;

2. მიკრობიოლოგიის, ბიოტექნოლოგიის და მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი – 1 საშტატო ერთეული.

3. ბიოორგანული ქიმიის კათედრის პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი – 1 საშტატო ერთეული.

4. ფიზიკის კათედრის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ან მეცნიერებათა კანდიდატი – 1 საშტატო ერთეული.

განცხადებების შემოტანის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოქვეყნებისა.

მისამართი: ქ. თბილისი, დიღომი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი.

განცხადება

7 ოქტომბერს 12 სთ-ზე მოწვეულია სს „სიღნაღიგაზის" აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს „სიღნაღიგაზი" ანგარიში 2003 წლის სამეურნეო და საფინანსო შედეგების შესახებ; 2. სს „სიღნაღიგაზი" წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება; 3. სს „სიღნაღიგაზი" სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის დანიშვნა; 4. სხვადასხვა.

კრება ჩატარდება **სიღნაღის რ-ნი, ქ. წნორი, სიხაშვილის ქ. № 86.**

სს „სიღნაღიგაზის" დირექცია.

№ 215, ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 2004 წელი.

◎ სოფტბოლი

XXVIII ოლიმპიური თამაშები, ფაქტობრივად, ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) გახსნა

ათენის ოლიმპიური თამაშების სრული სტატისტიკა ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა. სპორტული სახეობების რაოდენობა ცნობილია, მონაწილე ქვეყნების თუ საერთო მონაწილეთა რიცხვიც ვიცით, მაგრამ უცნობია ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა, უანგაროდ დამხმარეთა, მსაჯთა, ჟურნალისტთა და სტუმართა რაოდენობა. თანაც, აქ ჩამოსული ბრძანდებოდნენ: სპორტულ ფედერაციათა წარმომადგენლები, საპატიო სტუმრები და სხვა.

მათ შორის, ვინც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ათენის თამაშებზე მიიწვია ელადის დედაქალაქში იყვნენ ცნობილი პიროვნებები, ისეთები, როგორებიც არიან ჯორჯ ბუში-უფროსი, მისი მეუღლე ბარბარა, მათი ოჯახის წევრები, სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, ოლიმპიური ჩემპიონები და ა. შ.

სპორტული ფედერაციებიდან ათენში მივლინებულთა შორის გახლდათ სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა.

რამაზ გოგლიძე, სოკ-ის წევრი, მონაკოს პრინცი ალბერტი და სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი დონ პორტერი (აშშ);

ბატონი რამაზი, რომ იტყვიან, სპორტიდან მოსული კაცია. ახალგაზრდობაში რაგბის თამაშობდა, მერე პარტიულ სამუშაოზე იყო – საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი. სწორედ ამ დროს გამოავლინა მან სპორტისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა – მისი უშუალო მონდომებით რაიონში იმ წლებში აშენდა 100-მდე სპორტული ბაზა, სტადიონი, მოედნები, მარტივი სპორტნაგებობები...



რამაზ გოგლიძე ჯორჯ ბუშ-უფროსთან ერთად;

მერე იყო და, უკვე სპორტში პირველ პირად დანიშნეს – 1982 წლიდან საქართველოს სპორტკომიტეტს ხელმძღვანელობდა. უნარიანად, გულიანად, საქმის ცოდნით და სიყვარულით...

მერე ამ სფეროდან თითქოს თვალს მიეფარა, მაგრამ არა, მაინც სპორტთან დარჩა – საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის ბეისბოლის ფედერაციას, უკანასკნელ წლებში კი უკვე სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა აირჩია თავის ვიცე-პრეზიდენტად ევროპიდან.

რამაზ გოგლიძის – უკვე დაბრძენებული სპორტული მუშაკის – შესახებ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ ჩვენი შეხვედრა ეძღვნება ათენი-2004-ის ირგვლივ მის შთაბეჭდილებებს, ოლიმპიური თამაშების შესახებ მოსაზრებებს, რომლებიც, ვფიქრობ, მკითხველებს დააინტერესებს.

ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციისთვის გამოყოფილ მის კაბინეტს, რომელიც უშუალოდ „ლოკომოტივის" სტადიონის წინაა, კარგად ეტყობა მეურნე კაცის, საქმიანი ადამიანის, მზრუნველი მასპინძლის ხელი. უამრავი აფიშის, ფოტოსურათების გვერდით განლაგებულია სპორტის ამ სახეობისთვის აუცილებელი ინვენტარის მინიატიურული ასლები, სამახსოვრო საჩუქრები, თასები, – საცნობარო ლიტერატურის უზარმაზარი ტომები...

ბატონმა რამაზმა საუბარი იმით დაიწყო, რომ საერთოდ აგვიხსნა სოფტბოლის რაობა, მისი გავრცელების არეალი.

– უკვე მესამე ოლიმპიური თამაშებია, რაც სპორტის ეს სახეობა პროგრამაში შეიტანეს, – გვიხსნის მასპინძელი. – ათენში შეჯიბრებათა პირველი დღე, სწორედ სოფტბოლით გაიხსნა. ბურთი თამაშში შეიყვანა ოლიმპიადის საპატიო სტუმარმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა). სტადიონზე მასთან ერთად იყვნენ ბარბარა ბუში (პრეზიდენტ ბუშის დედა), მათი ოჯახის წევრები, სხვა უამრავი სტუმარი და, უბრალოდ, მაყურებლები.

– როგორც ჩანს, ამერიკაში საკმაოდ პოპულარულია ეს თამაში.

– არა მარტო ამერიკაში. გეტყვით, რომ მსოფლიოში არსებობს სოფტბოლის 147 ფედერაცია. იგი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ, სპორტის მასობრივ სახეობად. მას თამაშობენ როგორც ქალები, ასევე კაცები, თანაც – ასაკის შეუზღუდავად. საქართველოში რომ ამ თამაშმა ფეხი მყარად მოიკიდოს, ამაზე ჩვენი ფედერაცია ზრუნავს. მისი მომავლით დაინტერესდა კულტურისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი, რომელიც საერთაშორისო ფედერაციის მიწვევით ეწვია აშშ-იაპონიის თამაშს და მის დაწყებამდე შეასრულა პირველი საპატიო ტყორცნა. მატჩმა მინისტრის აღტაცება გამოიწვია – მოეწონა როგორც ორთაბრძოლა, ისე იქაური სიტუაცია და, საერთოდ, აღტაცებული დარჩა სოფტბოლით. იმედია, მისი შთაბეჭდილებები სასიკეთოდ წაადგება სპორტის ამ სახეობის განვითარებას ჩვენთან.



საერთოდ, ეს თამაში ქართულ ხასიათში ზის და, ვფიქრობ, მას საქართველოში დიდი მომავალი ექნება!

– მაინც, რით „ზის" ჩვენს ხასიათში?

– ჯერ ერთი, გადასარბენი მანძილები მოკლეა ბეისბოლთან შედარებით, თამაშისას სრულდება ძალიან საინტერესო კომბინაციები ისე, როგორც ვთქვათ, ჭადრაკში. დახლართული ვარიანტები და მათი ჭკვიანურად შესრულება მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს. ყურადსაღებია ისიც, რომ სოფტბოლი გუნდური ოლიმპიური თამაშია, თანაც ერთობ გავრცელებული ქალთა შორის. ოლიმპიადაში, სხვა სახეობათაგან განსხვავებით, მონაწილეობს მსოფლიოს ყველა საუკეთესო სპორტსმენი.

მოგეხსენებათ, ჩინეთმა მოიპოვა უფლება 2008 წლის ოლიმპიური თამაშების პეკინში გამართვისა. ამ ქვეყანამ მიაღწია, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი იქვე მოეწყოს უკვე აგებულ ოლიმპიურ ბაზაზე.

– გავიგეთ, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაში შეტანილი წვლილისთვის თქვენ დაუჯილდოებიხართ.

– დიახ. ამის შესახებ გაზეთი „ლელო" უკვე წერდა, მაგრამ ამაზე სასაუბროდ როდი შევხვედით დღეს ერთმანეთს...

– ალბათ, უფრო ოლიმპიური ათენის შთაბეჭდილებები გსურთ, რომ გაგვიზიაროთ.

– პირდაპირ ვიტყვი: ოლიმპიური თამაშების შესახებ საუბარი შეიძლება საათობით, თუმცა მთავარი მოკლედაც ითქმის. მე, მაგალითად, ამ სამი წლის წინათაც ვიყავი ათენში. არაფრით იყო გამორჩეული. დღეს კი სულ სხვა ათენი დავინახე, ისე შეცვალა ქალაქი ოლიმპიადამ. შეიქმნა სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა, აშენდა უამრავი სპორტული ნაგებობა, გზები, სატრანსპორტო კვანძები, გაჩნდა უახლესი ტრანსპორტი, სპეციალურად ღია მეტროც კი გაიყვანეს. რაც მთავარია, შეიცვალა ხალხის მენტალიტეტი, ქვეყანა აშკარად გარდაიქმნა. ყველამ იგრძნო ახალი სისხლი, ენერგია, საბერძნეთი დიდი გარდაქმნების გზაზე დადგა.

– ათენში, ალბათ, ბევრი საქმიანი ადამიანიც ჩამოვიდა...

– იაპონურმა „ჰიუნდაიმ", მაგალითად, 10 ათასი მსუბუქი ავტომანქანა ჩამოიყვანა, რომლებიც ოლიმპიადას მოემსახურა. ბევრი გაყიდა – მათი გაყიდვიდან შესული თანხები მოხმარდება საბერძნეთში სოციალური პრობლემების გადაჭრას. პირადად მე იქ შევხვდი იაპონური სპორტული ინვენტარის დამამზადებელი ფირმის „მეზუნოს" ხელმძღვანელებს და სამომავლოდ გარკვეული დახმარების იმედიც მომცეს.

– ყოველივე ეს და კიდევ სხვა მრავალი მომენტი ალბათ მრავალ ემოციას, შთაბეჭდილებას იწვევდა...

– დაუმატეთ ამას ოლიმპიური სოფელი, სადაც ერთდროულად 5 ათასი ადამიანი იკვებებოდა, თანაც უგემრიელესი საჭმლით. ახლა „ვოლონტიორებს" არ იკითხავთ? ათასობით ბერძენი ქალ-ვაჟი უსასყიდლოდ ემსახურებოდა უთვალავ სპორტსმენს, მსაჯს, ჟურნალისტს, სტუმარ-მასპინძელს. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურმა თამაშებმა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დიდი დახმარება გაუწია უმწეო და ხელმოკლე ადამიანებს, საერთოდ, ბერძენ ხალხს.

– ჩვენების შესახებ რას იტყოდით? ჩვენი სპორტის მესვეურები როგორღა იყვნენ?

– პირდაპირ გეტყვით, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, სეოკის წარმომადგენლები, საერთოდ ქართული სპორტის მესვეურები დღე-ღამეს ასწორებდნენ, თავს ევლებოდნენ სპორტსმენებს.

– შედეგიც, როგორც ვხედავთ, დამაკმაყოფილებელია.

– შეფასება უკვე გააკეთეს ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებმა და ეს ცნობილი ამბავია, მაგრამ მე მაინც მინდა ოლიმპიურ თამაშებს საერთოდ, და კონკრეტულად, ათენისას მივუბრუნდე. როდესაც ათენმა XXVIII თამაშების უფლება მიიღო, დაიწყო ერის აღორძინება, საბერძნეთი თითქოს ალექსანდრე მაკედონელის დონეზე აღდგა. საბერძნეთში 10 მილიონი მცხოვრებია, ათენის ხელისუფლებმა მოახერხეს მთლიანად ერის კონსოლიდაცია; დარაზმეს მსოფლიოში მიმოფანტული ყველა ბერძენი ამ უდიდესი, მათთვის მართლაც ეპოქალური მოვლენის მაღალ დონეზე მოსაწყობად და მიაღწიეს კიდეც მიზანს.

საქართველოში ამჟამად 4-5 მილიონი კაცია. იმ პოლიტიკის განუხრელად გატარების შემთხვევაში, რისთვისაც ნაბიჯებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაჟინებით, დიდი მოთმინებით დგამს, ქართველთა სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობა საგრძნობლად გაიზრდება. სულ არ მიმაჩნია უტოპიად, რომ ერთ მშვენიერ დღეს თბილისშიც დაიგეგმოს ერთ-ერთი ოლიმპიური თამაშების გამართვა. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვაქვს მსხვილი საერთაშორისო ტურნირების ორგანიზების გამოცდილება სპორტის მრავალ სახეობაში. გაიხსენეთ ბაკურიანის ოლიმპიურ ქალაქად წარდგენისთვის დიდი ზრუნვის ფაქტი. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, ეს რომ განხორციელებულიყო...

* * *

ბატონ რამაზთან ჩვენი საუბარი, ბუნებრივია, ბევრ სხვა საინტერესო საკითხსაც შეეხო, მაგრამ მოახლოვდა საქართველო-ალბანეთის მატჩის დაწყების დრო და იძულებული გავხდით, ერთმანეთს დავშვიდობებოდით. წარმატებები ვუსურვეთ ერთურთს და ჩვენს ფეხბურთელებს. ეს კი შესრულდა იმ საღამოს, ახლა საკითხავია – გაიმართება თბილისში ოლიმპიური თამაშები არცთუ შორეულ მომავალში?

ღმერთმა ყოველივე კარგი ოცნება აგვისრულოს!

ანზორ ბასილაია.

დაინტერესებული მაყურებლები;

სურათებზე: ასეთია სოფტბოლი – [illegible]

◎ ფეხბურთი

პირველი ნაბიჯი

ჩემპიონთა ლიგამ სტარტი აიღო და მერე როგორი! უმთავრესმა ფავორიტებმა, მართალია, მძაფრ ბრძოლაში, მაგრამ მაინც მოიგეს გასვლითი თამაშები. იყო გამოუყენებელი პენალტებიც, თანაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ისეთი ვარსკვლავები შეცდნენ, ვიერი და რონალდინიო რომ არიან. დანარჩენზე, მოდით, ჯგუფების მიხედვით ვისაუბროთ.

„ე" ჯგუფი
„არსენალი" – „ეინდჰოვენი" 1:0.
გოლი: ვიეირა.
„პანათინაიკოსი" – „რუსენბორგი" 2:1.
გოლები: გონსალესი (2); იონსენი.

მადრიდის „რეალში" ვიეირას ჩაშლილი კონტრაქტის შემდეგ „მეთოფეები" ახალ სეზონს იმ ძირითადი ბირთვით შეხვდნენ, რომელმაც შარშანდელი წარმატებები გამოჭედა. ერთადერთ სიახლეს ძირითად შემადგენლობაში ახლახან დამკვიდრებული ესპანელი მარცხენაფლანგელი რეიესი წარმოადგენს, რომელიც პრემიერლიგის საწყის ხუთ ტურში ხუთი გატანილი გოლით გამოირჩა, მაგრამ ამჯერად გადამწყვეტი სიტყვა ისევ ძველმა გვარდიამ თქვა – ანრის ტრადიციულ გარღვევას მეკარის ბაქანზე ჩაწოდება და ჰოლანდიელ მცველთან ბრძოლაში ვიეირას მიერ გატანილი გამარჯვების გოლი მოჰყვა. მთლიანობაში მეტოქეებმა არცთუ შთამბეჭდავი სანახაობა შემოგვთავაზეს – ეტყობა, თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში მოგროვებული ქულათა მაქსიმუმი მათი ამჟამინდელი კონდიციების შესაფასებელ ბარომეტრად ვერ გამოგვადგება.

„ვ" ჯგუფი
„შახტიორი" – „მილანი" 0:1.
გოლი: ზეედორფი.
„სელტიკი" – „ბარსელონა" 1:3.
გოლები: სატონი; დეკუ, ჟიული, ლარსონი.

თამაში თამაშს მისდევს, კახი კალაძის ადგილი კი „მილანის" წლევანდელ ძირითადში არა და არ ჩანს. ეტყობა, „ჯვაროსანთა" კაპიტანმა მოთმინებითა თვისითა უნდა დაიბრუნოს საკუთარი პოზიცია. რაც შეეხება ვიზიტს დონბასში, კარლო ანჩელოტის გუნდს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მატჩის მოსაგებად. მდგომარეობა ვერც მინდვრიდან სრნას გაძევებამ გამოასწორა – მასპინძლები 84-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ საპატიო ზავს. მეხი შევჩენკოს მცდელობით გავარდა – თანამემამულესთან ჭიდილში უკრაინელთა მცველმა ბურთი კი გამოიტანა საჯარიმოდან, მაგრამ პირდაპირ ზეედორფს დაასვა „ცაციაზე". არადა, ამ იერიშის წინ ვუკიჩის შორეულ გასროლას დიდას ბავშვური შეცდომა მოჰყვა, მაგრამ მსაჯმა ეს გოლი რატომღაც არ ჩათვალა.

შედარებით იოლად მიაღწია წარმატებას კატალონიის სიამაყემ, თუმცა დროის ერთ მონაკვეთში მასაც შეექმნა გარკვეული პრობლემები. ეს მაშინ მოხდა, როცა ჟიულის მოცელვისთვის დანიშნული პენალტი მარშალმა მოიგერია (რონალდინიო). ამ დროს სტუმრები წინ იყვნენ – 1:0 და საგრძნობ უპირატესობას დებიუტიდანვე ფლობდნენ. გუნდის ლიდერის უხეირო დარტყმამ ფრანკ რაიკაარდის შეგირდები ხანმოკლე ნოკდაუნში გაგზავნა და სატონმა ანგარიში გაათანაბრა. საბედნიეროდ, ესპანეთის ვიცეჩემპიონთა თავკაცი გონს მალე მოეგო, ორივე თავდამსხმელი (რონალდინიო, ეტოო) შეცვალა და გაუმართლა კიდეც – თავი „სელტიკის" ქომაგთა ყოფილმა კერპმა ლარსონმა ისახელა.

„ზ" ჯგუფი
„ვალენსია" – „ანდერლეხტი" 2:0
გოლები: ვისენტე, ბარახა.
„ინტერი" – „ვერდერი" 2:0.
გოლები: ადრიანო (2).

ამ ჯგუფში ყველაფერი სპეციალისტთა მიერ გამოთქმული პროგნოზის შესაბამისად დაიწყო. ეს არცაა გასაკვირი – ყველაზე თანაბარი ძალის კლუბებით ხომ სწორედ „ზ" ჯგუფია დაკომპლექტებული, რომლებიც ქულათა უმეტესობას, ალბათ, საშინაო მატჩებში დააგროვებენ.

„თ" ჯგუფი
„პორტუ" – „ცსკა 0:0.
„პარი სენ-ჟერმენი" – „ჩელსი" 0:3.
გოლები: ტერი, დროგბა (2).

ფერეირა, კარვალიუ, დეკუ, ალენიჩევი – აი, ამ ფეხბურთელებს და მთავარ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს შეელია „პორტუს" უფროსობა ლიგაში ამასწინანდელი ტრიუმფის შემდეგ. შედეგიც სახეზეა – მოსკოველ არმიელებთან შინ დაკარგული ორი ქულა სათუოს ხდის არათუ მორიგ მიღწევას, არამედ ჯგუფიდან გასვლას. საილუსტრაციოდ მოგახსენებთ, რომ ოლიჩმა ერთი წუთის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ მოახვედრა ბურთი ვიტორ ბაიას კარის ძელს.

რაც შეეხება პორტუგალიელებით გამდიდრებულ „ჩელსის", მან პარიზში გაინავარდა. სიმბოლურია, რომ „დუბლი" საფრანგეთიდან წლეულს აბარგებულმა დროგბამ შეასრულა.

შემდეგ ტურში ითამაშებენ:
***„ა" ჯგუფი:** „რუსენბორგი" – „არსენალი", „ეინდჰოვენი" – „პანათინაიკოსი".*
***„ბ" ჯგუფი:** „მილანი" – „სელტიკი", „ბარსელონა" – „შახტიორი".*
***„გ" ჯგუფი:** „ვერდერი" – „ვალენსია", „ანდერლეხტი" – „ინტერი".*
***„დ" ჯგუფი:** „ჩელსი" – „პორტუ", ცსკა – „პარი სენ-ჟერმენი".*

გია პლატონიშვილი.

◎ მინი ფეხბურთი

ზაურ კალოევის მემორიალ-ზე

სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" ათ დღეს გრძელდებოდა მინიფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირი, რომელიც 60-იანი წლების თბილისის „დინამოს" პოპულარული ცენტრალური თავდამსხმელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ზაურ კალოევის ხსოვნას მიეძღვნა. ასპარეზობის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი (თავმჯდომარე იროდი ბექაშვილი).

ზაურ კალოევის პრიზის გათამაშების დასკვნით მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მინიფეხბურთელთა გუნდები. დაძაბული ორთაბრძოლა 3:2 მოიგეს შინაგან საქმეთა სამინისტროს (მწვრთნელი თამაზ ფანცულაია) ფეხბურთელებმა, რომლებსაც მთავარი პრიზი ზაურ კალოევის მეუღლემ, ქალბატონმა ლუიზამ გადასცა. მეორე ადგილი 10 ქულით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (მწვრთნელი ზვიად ახვლედიანი) სპორტსმენებმა დაიკავეს. მესამე ადგილზე 9 ქულით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (მწვრთნელი შალვა ცომაია) ნაკრები გავიდა.

საუკეთესო მეკარის პრიზი ხვდა ირაკლი მარგველაშვილს (ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო), საუკეთესო მცველისა – ვალერი დეკანოსიძეს (თავდაცვის სამინისტრო). 14 გატანილი ბურთით საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა თემურ გიორგაძეს (შსს), ყველაზე ტექნიკურ გუნდად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (პროფკომიტეტის თავმჯდომარე ზაურ გოშაძე) ნაკრები მიიჩნიეს, საუკეთესო მწვრთნელის პრიზით თენგიზ ფანცულაია (შსს) დააჯილდოვეს.

გამორჩეულ ფეხბურთელებს იროდი ბექაშვილმა გადასცა ვეტერანი სპორტული ჟურნალისტის შალვა ქირიას წიგნი („ვარდები მიხეილ მესხისათვის"), სადაც უხვად არის დასტამბული ფოტოები და მასალები ზაურ კალოევის შესახებ.

შოთა ბოკერია.

სურათზე: გამარჯვებულები და პრიზიორები.

◎ ყოველი მხრიდან

ბობი ფიშერი თავშესაფარს ითხოვს

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, ამერიკელი დიდოსტატი ბობი ფიშერი წლეულს ივლისში იაპონიის სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს ვადაგასული პასპორტის გამო. ექსჩემპიონმა ამომავალი მზის ქვეყნიდან გასახლების თავიდან ასაცილებლად დიდი ხნის მეგობარ მიიკო ვატაიზე დაქორწინება სცადა, მაგრამ ბობის აქაც პასპორტმა შეუშალა ხელი.

ფიშერმა ბოლო ხერხს მიმართა – შვეიცარიის მთავრობას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, მაგრამ, უცხოური პრესის ცნობით, ბობის შვეიცარიის მოქალაქეობას არ მისცემენ.



დაიკარგა შრი-ლანკის გუნდი

გერმანიაში შრი-ლანკის ხელბურთელთა მთელი გუნდი დაიკარგა. 23 სპორტსმენი და მწვრთნელები ბავარიაში იმყოფებოდნენ საწვრთნელ შეკრებაზე. მათი უკვალოდ გაქრობის შემდეგ გერმანიის პოლიცია იმედოვნებდა, რომ დაკარგულებს ტყეში აღმოაჩენდნენ, მაგრამ ძიება უშედეგოდ დამთავრდა. უკვე ფიქრობენ, რომ მთელი გუნდი საფრანგეთში გაემგზავრა. საამისო საბაბს ნახმარ თეთრეულში აღმოჩენილი ბარათი იძლევა: მასში ინგლისურად წერია, რომ შრი-ლანკელ ხელბურთელებს სამშობლოში დაბრუნება არ სურთ, მათ საფრანგეთში დარჩენა გადაწყვიტეს.

კლიჩკოები ავსტრიისკენ ისწრაფვიან

გერმანიაში მცხოვრები მოსკოველი ძმები – ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოები ავსტრიაში გადაბარგებას აპირებენ. ლიცენზიის მისაღებად მათ უკვე დაწერეს განცხადება და ახლა მხოლოდ გერმანიის პროფესიონალ მოკრივეთა კავშირის თანხმობაა საჭირო. „წლის ბოლომდე აუცილებელ დოკუმენტებს თუ ვერ მივიღებთ, იანვრიდან კლიჩკოები უკვე ავტომატურად გახდებიან ჩვენი ორგანიზაციის წევრები", – განაცხადა ავსტრიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა.

კლიჩკოები გერმანიიდან გადაბარგების ერთ-ერთ მიზეზად ყოფილ პრომოუტერ კლაუს-პეტერ კოლთან და კლუბთან კონფლიქტს ასახელებენ.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ეს სურათი 50 წლის წინათაა გადაღებული. მასზე აღბეჭდილია თბილისის № 7 რკინიგზის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი. ეს ბიჭები, დღეს უკვე კაცები, კვლავაც ახლობლები და მეგობრები არიან.

მარცხნიდან, პირველ რიგში — ნოდარ თორაძე, გივი ლეკიშვილი, ვერა ადამია (კლასის დამრიგებელი), ოთარ ცინცაძე.

მეორე რიგი — გია ყანჩელი, ნოდარ ვარდია, ზაურ ქოქრაშვილი, ვაჟა მამაგეიშვილი და ალექსანდრე ტატიშვილი.

ფოტო მოგვაწოდა ალექსანდრე ტატიშვილმა.

სამეგრელოს მხარე

რა საიდუმლოს ინახავს ეგრისის მთიანე-

სპელეოლოგიურ-გეოფიზიკური დაკვირვებანი შურუბუმუს მღვიმე-

შურუბუმუს სახელწოდებით ცნობილი მღვიმე მდებარეობს მინგარიის კირქვულ მასივში (ჩხოროწყუს რაიონი). იგი არის დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი კარსტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მდებარეობს ოდიშის (ეგრისის) ქედის სამხრეთ ფერდობის პერიფერიულ ნაწილში, მდინარეების — ხობისა და ტეხურის ხეობებს შორის.

შურუბუმუ მეგრულად სულის დასაბადებელ (ოდაბადე), სულის ადგილის დედას ნიშნავს.

კარსტული პირობების მიხედვით, რელიეფის ფორმებიდან მინგარიის მასივში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წიფურიისა და ოყუნვარის სახელწოდებით ცნობილ ქვაბულებს. მათგან, წიფურიის ქვაბულში (სინკლინში) კარსტული პროცესების ვერტიკალური განვითარება დაახლოებით 700-1500 მეტრის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო ოყუნვარში — 450-600 მეტრის ფარგლებში.

უხვი ატმოსფერული ნალექების მიუხედავად, წიფურიისა და ოყუნვარის ღრმულები თითქმის მთლიანად მოკლებულია ზედაპირზე გამდინარე წყლებს. აქ მხოლოდ წყლის ნაკადულის რამდენიმე გამოსასვლელი გვხვდება. სამაგიეროდ, ისინი მდიდარია მიწისქვეშა წყლებით; ისინი კი აქ გაედინება მასივში არსებულ მრავალრიცხოვან სიღრუეში.

თანამედროვე პერიოდში მინგარიის მასივში თხუთმეტამდე მღვიმეა გამოვლენილი (ლ. მარუაშვილი, 1964; ბ. გერგედავა, 1968, 1987, 1989). ესენია: შურუბუმუს, კარიერის, ქოყოს, ოცინდალეს, მეანდრულის, წიფურიის, შქერიანის, თუნთიშ-გარამის, მუღუზის, კურზუს, საიდეს, ოჯოგეს.

ახლო წარსულში, სპელეოლოგ ბორის გერგედავას (1989 წ.) მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ მდ. ხობისწყლის (ლუგელას ხეობა) მარცხენა ნაპირზე მდებარე შურუბუმუს მღვიმიდან გამომავალ წყლებს კავშირი აქვს წიფურიის ქვაბულში არსებულ სიღრუეებთან, უკვე (2004 წ.) დადასტურდა ევროპელი მკვლევარების მიერ წყლის შეღებვის შედეგად.

გეოფიზიკური მეთოდით, შურუბუმუს მღვიმის მიდამოებში ჩვენი დაკვირვებები შედგა 1989 წელს გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგის გივი ჯაშის მიერ.

საკვლევი ობიექტის რთული ოროჰიდროგრაფიული პირობები არ იძლეოდა გეოფიზიკური სამუშაოების მთელი სისრულით გაშლის შესაძლებლობას. ამასთან, დღევანდელ პირობებში გეოფიზიკური გამოკვლევების ინტერპრეტაციის მეთოდები შემუშავებულია ჰორიზონტალური განფენილობის რელიეფისა და შრეებისთვის. მიუხედავად ამისა, შურუბუმუს კარსტული მღვიმის მიდამოებში ჩატარებული გამოკვლევები მოპოვებული მასალების ხარისხობრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

შურუბუმუს ქვაბული ვიზუალურად დედამიწის ზედაპირზე, ფაქტობრივად, არ ფიქსირდება, მაგრამ მისი არსებობის გარკვეული ნიშნები აღინიშნება ხეობის მარცხენა ნაპირზე, სადაც კირქვის მასივის ვერტიკალური და დამრეცი კედლები დანაპრალებულია და სიღრმიდან ისმის წყლის ხმაური. ნაპრალში ჩაგდებული ქვის მასალიდან გამოწვეული ექოს მიხედვით, შეიძლება მიახლოებით ვივარაუდოთ ამ ადგილებში კარსტული სიცარიელის ზომები.

გეოფიზიკური გამოკვლევები ჩატარდა ელექტრული ზონდირების („ვეზ“), და, ნაწილობრივ, სიმეტრიული ელექტრული პროფილირების („სეპ“) და ბუნებრივი ელექტრული ველის („ზევ“) მეთოდებით.

საველე გამოკვლევებში უშუალოდ მონაწილეობდნენ ადგილობრივი ენთუზიასტები ი. ფიჩხაია, ა. სიჭინავა და სხვები, რომელთა ყოველდღიური ყურადღება და საქმისადმი ინტერესი განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს.



შურუბუმუს მღვიმის შესასვლელთან განლაგებული „ვეზ“-ის რაოდენობრივი ინტერპრეტაცია, რელიეფის სირთულის გამო, როგორც აღინიშნა, არ ხერხდება, მაგრამ მკვებავი ელექტროდების („აბ“) თითქმის ყველა გაშლისას დაფიქსირდა განსაკუთრებით მაღალი რიგის ხვედრითი ელექტრული წინაღობა (3000-5000 ომ. მ-ს ფარგლებში), რაც მნიშვნელოვნად აღემატება იქ არსებული ქანების ხვედრით ელექტრულ წინაღობას (იგი პარამეტრული გაზომვების მიხედვით არ აღემატება 1000 ომ. მ-ს) და, ამდენად, სიცარიელის არსებობაზე მიუთითებს.

„ვეზ“-ის მონაცემის ასე თუ ისე სრული რაოდენობრივი ინტერპრეტაცია ჩატარდა ხეობის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული „ვეზ“-ისთვის, სადაც ლუგელას სამანქანო გზის გასწვრივ, რელიეფი მნიშვნელოვნად არის დენუდირებული, ანუ გადარეცხილი. ამ მონაცემების მიხედვით, დედამიწის ზედაპირიდან 30-50 მეტრზე აღინიშნება ხვედრითი ელექტრული წინაღობის გაზრდა 3000-5000 ომ. მ-დე, რაც მიუთითებს გზის გასწვრივ კარსტული სიცარიელის არსებობაზე. სიმეტრიული ელექტროპროფილირების მიხედვით დადგინდა, რომ მაღალი წინაღობის მქონე გარემო (მეორე ფენი) ვრცელდება 2 კმ-ის მანძილზე, რაც მიგვანიშნებს ჰორიზონტული მიმართულებით კარსტის დიდ ფართობზე გავრცელებას და კავშირს ხეობის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე არსებულ სიცარიელეებს შორის.

სამწუხაროდ, მოპოვებული გეოფიზიკური მასალის სრული დამუშავება არ მოხერხდა, რაც გამოწვეული იყო იმ პერიოდში ქვეყანაში არსებული სოციალური პირობებით. ამასთან ერთად, დაკარგული აღმოჩნდა საველე მასალის გარკვეული ნაწილი.

მიგვაჩნია, რომ სასურველია შურუბუმუს და მის ირგვლივ არსებული მღვიმეების — მინგარიის კირქვული მასივის შესწავლის გაგრძელება გეოფიზიკური მეთოდებით, რაც მნიშვნელოვან ფინანსებთან არის დაკავშირებული.

როგორც თანდართული ნახაზიდან ჩანს, შურუბუმუს მღვიმის შესასვლელი ქვის გრანდიოზული (40-50 მ. სიმძლავრის) ნაზვავით არის ჩაკეტილი, რომლის ფსკერზე წყლის ნაკადი გაედინება (მასში აგრეთვე იგრძნობა ჰაერის მასათა სუსტი მოძრაობაც). ჩვენ, მკვლევარები და ადგილობრივი ენთუზიასტები რამდენიმე წელიწადია ვცდილობთ მღვიმის შესასვლელის გახსნას, მაგრამ იგი დღემდე მიუღწეველი გახდა. შურუბუმუს მღვიმის შესასვლელის გახსნით კი იგი, შესაძლოა, სამომავლოდ, ტურისტებისთვის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტი გახდეს.

ბორის გერგედავა,
სპელეოლოგი;
გივი ჯაში,
გეოფიზიკოსი.

რედაქციისაგან — შურუბუმუს მღვიმის გახსნის მსურველ ორგანიზაციებს, ბიზნესმენებსა და ენთუზიასტებს ვთხოვთ მონაწილეობა მიიღონ ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს მღვიმე თავისი სიდიდით და მშვენიერებით ათონის მღვიმეს დაჯაბნის.

გიხაროდეთ!

ვაჟიანობა შვილს რუსეთში ვაცნობეთ

— დათო უცხოეთში სამუშაოდ დროებით არის წასული, მის მეუღლეს ლამარას ახლახან ბიჭი — ლევანი შეეძინა. ეს ამბავი დათოს მაშინვე ვაცნობეთ. ჩემმა შვილმაც გაიხარა და გვითხრა, აქ ვერ ვძლებ, მალე უკან უნდა დავბრუნდეო. ჩემი ვაჟი უკვე მეორე შვილის და ისიც ბიჭის მამაა. პირველიც ვაჟი ჰყავს 5 წლის უშანგი (ჩემი სახელი დაარქვეს). დათომ ოჯახი სიყვარულით შექმნა და ჩვენც ერთ ოჯახად ვცხოვრობთ. ჩვენი სიმდიდრეც ისინია, ასე ვთვლით მე და ჩემი მეუღლე.

ვფიქრობ და ასეც მწამს, ყველაფერი წარმავალია — ფულიც, ოქროც, თანამდებობაც, მდგომარეობაც — შვილები და შვილიშვილებია ერთადერთი, რომელიც საქართველოს სიყვარულით უნდა გავზარდოთ.

მიხარია, რომ ორი ბიჭის მამა, ჩემი დათო შორს ვერ ძლებს და მალე დაბრუნდება (ასეთია ბატონო ქართველის ბუნება, სამშობლოდან შორს წასული ვერ ძლებს), მადლობა თბილისის მე-4 სამშობიარო სახლის მედპერსონალს ჩემი რძლისადმი სათანადო ყურადღების გამოჩენისთვის, გვაცნობა თეთრი წყაროდან უშანგი აფციაურმა. ამ სამშობიარო სახლში კი, რომელიც ორთაჭალაში მდებარეობს, ხშირად ჩამოჰყავთ ორსული ქალები დედაქალაქის მოსაზღვრე რაიონებიდან, მარნეულიდან, თეთრი წყაროდან, ქალაქ რუსთავიდანაც.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

— რა იყო, ბიჭო, რა დანგრეულივით დადიხარ და ცხვირ-პირი ჩამოგტირის, მოხდა რამე?
— გუშინ გოგოსთან ერთად პარკში ვსეირნობდი და თავს მანიაკი დაგვესხა...
— სექსუალური?
— ბისექსუალური!

* * *

— რას ინებებთ? — ეკითხება ოფიციანტი კლიენტს.
— სამი კვერცხი მინდა!
— ეჰ, ვის არ უნდა სამი კვერცხი, მაგრამ სად არის...

* * *

— მეგობარო, ხუთი ლარი გაქვს? არა? შენც იტყვი, კაცი ვარო. შენს ასაკში ხალხი ოლიმპიურ ჩემპიონებს ასიათასობით ლარს ჩუქნის!

* * *

ფული აფუჭებს ადამიანს, რომელსაც იგი სხვებს აქვს.

* * *

— ასი მილიონი დოლარი რომ გქონდეს, რას გააკეთებდი? — ეკითხებიან მიხოს.
— არაფერს.
— როგორ, არაფერს?
— რაში დამჭირდებოდა რაიმეს გაკეთება?

* * *

ოპტიმისტი თვლის, რომ ეს სამყარო სამყაროთა შორის საუკეთესოა. პესიმისტი კი შიშობს, რომ ეს მართლაც ასეა.

* * *

— ოი, მაპატიეთ, კინაღამ თქვენს სათვალეზე დავჯექი, — ბოდიშს იხდის ზონზროხა ქალბატონი.
— არა უშავს, მას ამაზე უარესებიც უნახავს!

* * *

— ასი მილიონი დოლარი რომ გქონდეს, რას იზამდი? — ჰკითხეს მეგრელს.
— ვალებს გავისტუმრებდი.
— დანარჩენს რას უზამდი?
— დანარჩენს მერე გავისტუმრებდი!

გამოიცა

გზასავალზე გაცოცხლებული ეპიზოდები

უბის საუნჯე — ასე შეიძლება ეწოდოს ახლახან გამომცემლობა „მწერლის“ მიერ დასტამბულ გიორგი ბოგველიშვილის პატარა წიგნს „ის, რაც წარსულმა შემოინახა“, სადაც ავტორს ცხოვრებისეულ ეპიზოდურ სურათებში, ერის უკვდავი შვილების: ერეკლე მეფის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის და სხვათა სახეები მოთხრობებში ისე დამაჯერებლად და შთამბეჭდავად გაუცოცხლებია, რომ უნებლიედ მათი ლამაზი და დაუვიწყარი ცხოვრების მომსწრე და მონაწილე ხდები...

მწერალმა და ჟურნალისტმა გიორგი ბოგველიშვილმა საინტერესო გზა განვლო, „ცხრა ათეულ წელს გადააბიჯა; ბრძოლით განვლო მან დიდი სამამულო ომის ცეცხლოვანი გზა, ფრონტის ხაზზევე შეითვისა ჟურნალისტის პროფესია და მას შემდეგ შემოქმედებითად მოღვაწეობს... რედაქტორობდა ჟურნალ „საქართველოს ბუნებას“ და გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგედაც მოღვაწეობდა“, — ამბობს წიგნის შესავალში მწერალი სილოვან ნარიმანიძე.

მაგრამ მშობლიური კუთხის, წინანდლის სიყვარული ბატონ გიორგის ცხოვრების გზაზე თანამგზავრად მუდამ თან სდევდა. ამაგიც დიდი დასდო მშობლიურ მხარეს. მარტო იმის დავიწყება არ ეგების, „ალექსანდრეობა“ რომ დაუწესა წინანდლელებს და ამ მადლიან მიწაზე ასტუმრა, აზიმა და აგალობა ქართველი და უცხო მიწის შემოქმედნი.

ასეთია იგი ბუნებით: მოკრძალებული, კეთილი, მაგრამ საქმიანი და გულიანი კაცი, რომელსაც კალამიც უჭრის და მარჯვენაც. მისი განვლილი, დაკეცილი გზასავალი კი, როგორც ბატონი სილოვანი ამბობს: „დაუმარცხებელი სიცოცხლის ზეიმია“.

ბატონ გიორგის დაძარღვულმა მარჯვენამ იმდენი იღვაწა, რომ ერთ წიგნად შეკრული ჩვენი მამულიშვილების ლამაზი მოსაგონარი შექმნა და მათი ცხოვრებისეული ეპიზოდებით აგვავსო.



„... ლეონიძემ სადღეგრძელო მოათავა. ტიხონოვის ჯამს ჯამი მიუჯახუნა და გვერდით მდგომ სათვალეებიან მეგობარს შეუძახა“:

— გაუბედე სიმონ, გაუბედე, თავანკარა წინანდალია, დედის რძესავის შეგერგება!...

თვალს ვერ ვაშორებდი სამთა სერობას; ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ადამიანები კი არა, ციდან მოსხლეტილი ვარსკვლავები ციმციმებდნენ ლალისფერ ჭავლში“. ნაწყვეტი მოთხრობიდან „სამთა სერობა“

„... ბარათაანთ პატარა ბიჭი გაუნძრევლად იდგა ღვთისაგან კურთხეულ ბაგრატოვანთა ჭერქვეშ. იდგა და სულ უფრო ღრმად იძირებოდა მოზღვავებულ ფიქრთა მორევში“. მოთხრობიდან („არწივის ნაბუდარზედა“)

... ფურცელი ფურცელს მიყვება: „ღამის სტუმარი“, „ცალთვალა მეზვრე“, „მუხა“, „სახსოვარი“, „ნატყვიარმა თვალმაც გამოიხედა“, „ტამალიის ტყე“, „სარედაქციო დავალება“, „შინდისფერი ვაგონი“ და სხვა.

გვჯერა, რომ ამ პატარა საუნჯეს მომავალშიც მუდამ ეყოლება მკითხველი, რადგან ეს მოთხრობები ავტორმა ჩვენი ქვეყნის იმ დიდ კორიფეებს უძღვნა, რომლებიც ერის სულიერებას დარაჯობდნენ.

ცისანა სიხარულიძე.

ტელევიზია. ხუთშაბათი, 16 სექტემბერი

07.55 მოამბე **08.10** ღამის მოამბე (გამ.) **09.00**, **12.00**, **15.00**, **20.00**, **23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "**არასერიოზული კაცი**" (**მ**) **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** სერიალი "**ზღვის რაჯა**" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ჟან რენო" **15.20** "პოლიტიკური მკვლელობები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "**უპიტრები**" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "**ზღვის რაჯა**" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "**ხაფანგი**" (**მ**) **1**-ლი ს.

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" მე-**4** ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" **21.30** "ეძიე ქალი" **22.00** მხ. ფილმი "**სიყვარული, ხანძარი და პომპიერო**" (**მ**)

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუტები" **09.40** სერიალი "**შეყვარებული ქალები**" **11.00** დოკ. ფილმი **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.25** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი "**შავი რაინდი**" **15.25 ფეხბურთი 17.05** სერიალი "**მაშველები**" **18.20** "ტელელიპუტები" **18.55** სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" **19.45** სერიალი "**შეყვარებული ქალები**" **22.00** "ხალხის პირისპირ" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "**ტერმინატორი-2**: **სასამართლო დღე**". მთ. რ-ში: არნოლდ შვარცენეგერი (**18**).



მეუღლე ლილი მაღრაძე, შვილები ცისანა, თამაზი, მაია, რძალი ვალენტინა, სიძეები იური ტაბუცაძე, პაატა კაკაბაძე, შვილიშვილები ირაკლი, პაკო, ნატო გველესიანები, გიორგი, ნინო ტაბუცაძეები, ნათია, დადუ, ანუკა კაკაბაძეები, შვილთაშვილები თემური, მარი გველესიანები, დედმამიშვილები მერი, ლილი, ზურაბი, ზალიკო ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი
პავლე ივანეს ძე გველესიანი.
პანაშვიდი 16, 17 IX 16 სთ. დაკრძალვა 18 IX 15 სთ. გამოსვენება თაბუკაშვილის 42.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ცნობილი კარიკატურისტი
მურთაზ აბაშიძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი გულწრფელად თანაუგრძნობს ბატონ თენგიზ ცერცვაძეს დედის
ია კუხალაშვილი-ცერცვაძის
გარდაცვალების გამო.

ს ს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ ცერცვაძეს დედის
ია კუხალაშვილი-ცერცვაძის
გარდაცვალების გამო.

ცისანა შარტავა, ნანა ნაცვლიშვილი, მერცია ბოსტოღანაშვილი, ლალი ჭილაია, მანანა მალანია მწუხარებით იუწყებიან
ია კუხალაშვილი-ცერცვაძის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფენია და კალისტრატე შარტავები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ თენგიზ ცერცვაძეს დედის
ია კუხალაშვილი-ცერცვაძის
გარდაცვალების გამო.

ანა თოფურია ოჯახით მწუხარებით იუწყება
ია კუხალაშვილი-ცერცვაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დღის კალენდარი 16 სექტემბრისთვის

ამოდის 06.40, ჩადის 19.09
(ამოდის 14.02, ჩადის 22.19

წლის 260-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 106 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება მღვდელმოწამე ანთიმოზისა — ნიკომიდიელ ეპისკოპოსისა და მისთანა მოწამე თეოფილე დიაკონისა, დოროთესი, მარდონისა, მიგდონისა, პეტრესი, ინდისისა, გორგონისა, ზენონისა, დომნა ქალწულისა და ექვთიმესი (302); ღირსი თეოქტისტესი, თანამმარხველისა დიდისა ექვთიმესი (467); მღვდელმოწამე არისტიონისა — ალექსანდრიელ ეპისკოპოსისა; წმიდა იოანიკესი — სერბიის პატრიარქისა (1349); წმიდა თებე დიაკონისა (I); მოწამე ვასილისა ნიკომიდიელისა (309).

დაიბადნენ:

1921 — ოთარ ჯაფარიძე, ისტორიკოსი, აკადემიკოსი.
1930 — ნოდარ გურაბანიძე, თეატრმცოდნე, პროფესორი.
1387 — ჰენრიხ IV, ინგლისის მეფე, უბადლო მეომარი.
1462 — პიეტრო პომპონაცი, იტალიური აღორძინების ერთ-ერთი წამყვანი ფილოსოფოსი.
1745 — მიხეილ კუტუზოვი, რუსი მხედართმთავარი. გარდაიცვალა 1813 წელს.
1953 — მიკი რურკი, ამერიკელი კინომსახიობი.

გარდაიცვალნენ:

1380 — კარლოს V ბრძენი, საფრანგეთის მეფე.
1498 — ტომაზო ტორკვემადა, ესპანეთის პირველი დიდი ინკვიზიტორი.
1824 — ლუდოვიკო XVIII, საფრანგეთის მეფე.
1911 — მიხეილ თამარაშვილი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.
1932 — რონალდ როსი, ინგლისელი პარაზიტოლოგი.
1977 — მარია კალასი, ოპერის გამორჩენილი მომღერალი.

მოვლენები:

1812 წელი — ხანძარი ნაპოლეონისთვის დატოვებულ მოსკოვში.
1848 წელი — საფრანგეთის ყველა ტერიტორიაზე გაუქმდა მონობა.
1940 წელი — ამერიკაში გამოვიდა კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ.
1967 წელი — საბჭოთა კავშირმა სემიპალატინსკში ბირთვული გამოცდა მოაწყო.
1978 წელი — ქალაქ თებესში (ირანი) მომხდარმა მიწისძვრამ 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.
1987 წელი — მონრეალში 24 ქვეყანას შორის დაიდო ხელშეკრულება ოზონის შრისათვის საშიში ქიმიურ ნივთიერებათა გამოშვების შეწყვეტის შესახებ.
2000 წელი — გაიხსნა ოლიმპიური თამაშები სიდნეიში (ავსტრალია).

ღირსსახსოვარი დღეები:

ოზონის ფენის დაცვის საერთაშორისო დღე
მექსიკა — დამოუკიდებლობის დღე
პაპუა-ახალი გვინეა — დამოუკიდებლობის დღე
მალაიზია, სინგაპური — დამოუკიდებლობის დღე.
უკრაინა — გამომგონებლის დღე.
უკრაინა — ფარმაცევტის დღე.

„მედია-ნიუსი“.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **სპარტაკ ქოჩულია.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**